ქართველობის ვადასარწმუნად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№295 (354) 2-9 დეკემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

ამერიკამ უნდა შეცვალოს თავისი საგარეო პოლიტიკა

წარსულის გახსენება წარსულში ჩარჩენას არ ნიშნავს

ინტერვიუ დაიბეჭდა „დილის გაზეთში“, 2001 წლის 19 სექტემბერს

– ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარ ტერაქტს?

– ეს იყო გაუგონარი ტრაგედია. ამერიკაში ბევრი მეგობარი და კოლეგა მყავს. მთელი ღამე არ მეძინა, ვცდილობდი, ყველას დავკავშირებოდი, რადგან ვიცოდი, სავაჭრო ცენტრში ჩემი მეგობრებიც დადიოდნენ. პირადად ჩემთვის ეს დიდი ტრაგედიაა. დაიღუპა ათასობით უდანაშაულო ადამიანი. სწორედ ამიტომ საჭიროა დღეს ითქვას: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა. ის, რაც მოხდა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერორისტული აქტია მსოფლიოს ისტორიაში. მასშტაბი წარმოუდგენლად დიდია, რაც იმის მაჩვენებელია, რამდენად დამანგრეველი და ტრაგიკული შეიძლება იყოს ტერორისტთა მოქმედება. ამიტომაც არის, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ცივილიზებულ საზოგადოებაში ყველაზე აქტუალურ საკითხად არის მიჩნეული. სამწუხაროდ, თვითონ აშშ ძალიან ხშირად უგულებელყოფდა ამ ბრძოლის აუცილებლობას.

– ამგვარ მკვეთრ განცხადებას მკვეთრი არგუმენტები სჭირდება.

– კი ბატონო, ეს ის ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იქცა ერთადერთ ზესახელმწიფოდ. მის ისტებლიშმენტში გაიმარჯვა კონცეფციამ, რომლის თანახმადაც, აშშ უნდა იყოს მსოფლიოს ხელმძღვანელი, მსოფლიოს მმართველი.

– ბუშის ხელისუფლებას გულისხმობთ?

– არა მარტო; ადრეც იყო ამისი საწყისები, თუმცა, ბოლო ათი წლის განმავლობაში პოლიტიკურ ელიტაში განსაკუთრებულად გამყარდა აზრი, რომ ამერიკამ უნდა მართოს მსოფლიო, რომ მას აქვს უფლება, ესა თუ ის სტატუსი მიანიჭოს ნებისმიერ ქვეყანას. მაგალითად, მას შეუძლია დემოკრატიული უწოდოს იმ ქვეყანას, რომელიც მის მიმართ კეთილგანწყობილია. ხდება პირიქითაც, სახელმწიფო შეიძლება დემოკრატიულია, ან მასთან მიახლოებული, მაგრამ თუ თბილი ურთიერთობები არა აქვს აშშ-თან, მას არადემოკრატიულად გამოაცხადებენ. ამერიკას ცალსახად მიაჩნია, რომ მსოფლიო უნდა შეეგუოს მის მიდგომებს, გადაწყვეტილებებს. მათი მცდელობა, ჩაერიონ ქვეყნის საშინაო საქმეებში, ნებისმიერი რეგიონის პრობლემატიკაში და მართოს სამხედრო-სტრატეგიული პროცესები, მიუღებელი აღმოჩნდა მთელი მსოფლიოსთვის და სწორედ ამან გამოიწვია მასშტაბური უკმაყოფილება. ეს შეეხება არა მარტო ახლო აღმოსავლეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, არამედ, ევროპასაც. ევროპა მივიდა იმ ზღვრამდე, როცა უკვე აუტანელია ამერიკის ჟანდარმის როლი და ფუნქცია. ამერიკა დაჟინებით ცდილობს, ხაზი გაუსვას იმას, რომ ევროპაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მისი შეიარაღებული ძალები. სწორედ ამ მტკიცებას მოჰყვა ბალკანეთის კრიზისი, რომელიც ბევრად ტრაგიკული იყო სერბი ხალხისთვის, ვიდრე ეს ტერორისტული აქტი. ასე რომ, აშშ ქმნის ვითარებას, რომლის მსხვერპლიც თვითონ ხდება. დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ ერთ ტერორისტულ აქტზე, მაგრამ მოვა დრო, როცა ამერიკას საკუთარი იმპერიალისტური პოლიტიკა უკან შეუბრუნდება და ტრაგიკულ შედეგამდე მივა.

– დემოკრატიის ჟანდარმი არ შეიძლება არსებობდეს?

– ჟანდარმი დემოკრატი ვერ იქნება. ამერიკელებს რატომღაც ჰგონიათ, რომ დემოკრატიის ის მოდელი, რაც მათთვის არის მისაღები, მისაღები უნდა იყოს მთელი მსოფლიოსთვის. ამის შესაბამისად, მათთვის წარმოუდგენელია, რომ ნებისმიერ ერს შეიძლება ჰქონდეს თვითმყოფადობა, საზოგადოების არსებობის საკუთარი კანონები. მათ მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ერების უნიფიცირება და ამის მიღწევა მათი მსოფლიო ამოცანაა. მსოფლიო არ შეეგუება ამ მიდგომას და ყოველთვის შეეწინააღმდეგება მას. ამ შეურიგებლობის მსხვერპლი კი შეიძლება გახდეს არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო.

– მაგრამ ეს წინააღმდეგობა ამ ათი წლის წინათ საბოლოოდ დაიშალა...

– თუ გაიხსენებთ, ედუარდ შევარდნაძე იმ პერიოდის შესახებ ხშირად უსუსურ არგუმენტებს გვთავაზობს, როცა ამტკიცებს, რომ **„პერესტროიშჩიკებთან“** ერთად დაშალეს ერთ-ერთი ზესახელმწიფო და ამით თავიდან აიცილეს მესამე მსოფლიო ომი. ეს არის უსუსური თეზისი. პირიქით, როდესაც არსებობდა ორი ცენტრი, ისინი ერთმანეთს ანეიტრალებდნენ და აწონასწორებდნენ ვითარებას. როცა მეორე მხარე გაქრა, აუცილებელი იყო ისეთი მექანიზმების შექმნა, რაც აღადგენდა ძველ ბალანსს. ეს ვერ მოხერხდა.

– ეს ვითარება არ გაუთვალისწინებია ამერიკას?

– ის, ვინც ამას აკეთებდა, აკეთებდა არა მარტო უნიჭოდ, არამედ პასუხისმგებლობის გარეშეც. ესეც ბუნებრივი იყო, რადგან გორბაჩოვიც და შევარდნაძეც პროვინციული აზროვნების და დაბალი განათლების ხალხია.

– ამერიკელებიც?

– სხვათა შორის, ამერიკული მხარეც. თავის დროზე ამერიკის ინტელექტუალურ ელიტაშიც არაერთხელ დაისვა ეს საკითხი: ჩვენ არ უნდა დავშალოთ ის მეორე ძალა, თუ არ მოვიფიქრებთ მეორე, სანაცვლო სისტემას, ანუ ურთიერთთანასწორობის მექანიზმებს. ეს იქნებოდა მსოფლიო უსაფრთხოების ახალი სისტემა. მაშინ ეს კონცეფცია არ მიიღეს.

– მაგრამ ბალანსირების ფუნქცია სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ იკისრონ.

– ამის მტკიცება სასაცილოზე სასაცილოა. გაერო თავის დროზე იყო ადგილი, სადაც საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. სხვა ფუნქცია გაეროს არ ჰქონია. როგორც კი მეორე ძალამ შეწყვიტა არსებობა, გაეგო, რომ ეს ფუნქციაც დაკარგა. ის საბრალო კოფი ანანი, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში დადის, უსუსურია და სხვა არაფერი. არავის, ვინც ოთხმოციანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში წყვეტდა მსოფლიოს ახალი გადანაწილების საკითხებს, არ ეყო ინტელექტუალური ძალა, სრულყოფილად მოეგვარებინა პრობლემა. სწორედ ამან შექმნა მესამე მსოფლიო ომის რეალური პერსპექტივა და, თუ დროზე ვერ მოიძებნა ის მექანიზმები, რაც ამ ძალებს გააწონასწორებს, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია.

– რატომ? რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– ერთი ქვეყანა, როგორი ძლიერიც უნდა იყოს, ვერ შეძლებს მსოფლიო უსაფრთხოების დაცვას. ამის მაგალითია ის კატასტროფა, რაც ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მოხდა. წლების განმავლობაში ამერიკელები აფინანსებდნენ ტერორისტებს თითქმის მთელ მსოფლიოში. თალიბებს ავღანეთში ამერიკა აფინანსებდა. ინდოეთში ტერორისტულ ორგანიზაციებს ამერიკელები აფინანსებდნენ. მთელ მსოფლიოში ფუნდამენტურ ორგანიზაციებსაც ისინი უწყობდნენ ხელს. იმავეს აკეთებდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში, სხვადასხვა ქვეყნის ხელით, მაგრამ კონტროლს მაინც ამერიკული დაზვერვა ახორციელებდა. გახსოვთ ირანგეიტის გახმაურებული ამბები? ირანისთვის მიყიდულ იარაღში აღებული ფული მთლიანად ნიკარაგუას ტერორისტებთან წავიდა. შემდეგ მოჯაჰედები, მათი ომი ავღანეთის მთავრობის წინააღმდეგ. აშშ-მა 3 მილიარდი დოლარი ჩადო ამ ომში. 10 მილიარდი გაიღეს კოლუმბიის ნარკობარონებმა. ნახეთ, რა კომპანიაში და ვისთან ერთად მოქმედებს ამერიკა. ავიღოთ, თუნდაც, ავღანეთის ცნობილი ლიდერი ჰეკმატიარი. იგი ნარკობიზნესის მეფეა. ამერიკაში შესული ჰეროინის ერთი მესამედი ავღანეთიდან მიდის. ცეერუ მას 1994 წლამდე აფინანსებდა, მერე თალიბებზე გადაინაცვლა და მათი დაფინანსება დაიწყო. გაიხსენეთ ინდონეზია, რამდენჯერ მოუწყო ამერიკამ ტერაქტი კანონიერ პრეზიდენტს, რომელსაც ხალხი აღმერთებდა?! ამ მაგალითების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება.

– მაგრამ თუ ოპონენტი გეტყვით, რომ თქვენ მიერ დასახელებულ ყველა ქვეყანაში ამერიკა დემოკრატიას იცავდა?

– ვერ დაგეთანხმებით. მაშინ გაიხსენეთ საშინელი მაბადუ ზაირში. ის იყო ნამდვილი დიქტატორი, მაგრამ აშშ მხარს უჭერდა. უჭერდა იმიტომ, რომ ამნაირი ტერორისტები ურჩევნია იმ დამოუკიდებელი ქვეყნის ხელმძღვანელობას, ვისაც ამერიკის დიქტატი თვალში არ მოსდის. გამოდის, რომ ამერიკა ამჯობინებს თუნდაც ტერორისტს, თუ ის თავისიანი ტერორისტია. ერთხელ ამერიკის პრეზიდენტმა ერთ-ერთი ქვეყნის ლიდერზე ასეთი რამ თქვა, მართალია, ის ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალაა. ეს მიდგომა უნდა გამოირიცხოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკიდან. ეს არ არის მარტო ჩემი აზრი. ასე ფიქრობს დღეს ამერიკული ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი. თქვენ ნახავთ ძალიან მალე, როგორ შეიცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ბუშის ხელისუფლებისა და საგარეო პოლიტიკის მიმართ. ჩვენ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამერიკა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაზე აწარმოებდა თავდასხმას. ხშირად აცხადებენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ომი არ ყოფილაო. იყო და, სხვათა შორის, არცთუ ცოტა – 70 ომი. უმეტეს მათგანში მონაწილეობდა აშშ. კაცობრიობის წინაშე ჩადენილია ისეთი დანაშაული, რომელიც არ წაიშლება კაცობრიობის მეხსიერებიდან: ხიროსიმა, ნაგასაკი, ლიბია, ერაყი, ვიეტნამი, პანამა... რატომ ერევი შენ? იმ ხალხს ჰყავს ის ხელისუფლება, რომელიც მოსწონს და უნდა. რაღა შორს მივდივართ, გაიხსენეთ, რა იყო საქართველოში 1992 წელს. ზვიად გამსახურდია, მოსწონდა თუ არა ამერიკას, ხალხის მიერ იყო არჩეული. მხოლოდ ხალხის ნებით უნდა წასულიყო ხელისუფლებიდან. არა, ამერიკამ და მისი ზეწოლით რუსეთმაც მიიჩნიეს, რომ უფლება აქვთ, ჩაერიონ საშინაო საქმეებში და გააძევონ ქვეყნიდან პრეზიდენტი. აი, ასეთი მიდგომებით ცხოვრობს ამერიკა, სამაგიეროდ, აცხადებს, რომ ცხოვრობენ დემოკრატიის პრინციპებით და საერთოდაც, ეს ქვეყანა დემოკრატიის ციტადელია. მათი დემოკრატია ვიღაცისთვის არადემოკრატიაა. ეს ორმაგი სტანდარტები დაღუპავს ყველაფერს. კიდევ უნდა გავიხსენოთ ერთი მაგალითი: ჰაიტი. რა იყო ეს, მხოლოდ შიდა კონფლიქტი და არავის უქმნიდა რეგიონში საშიშროებას, მაგრამ მაინც შევიდნენ... ისე, როგორც სომალიში. აღარაფერს ვამბობ სერბეთზე. აიღეს და დაბომბეს ევროპის ცენტრი, ხალხი, ცივილიზებული ქვეყანა. დახოცეს ათასობით მშვიდობიანი მოსახლე, გაანადგურეს მართლმადიდებლური ეკლესიები. ამის მიუხედავად, ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა, იყო ედუარდ შევარდნაძე, მართლმადიდებელი ადამიანი. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბომბავდნენ იმ ბომბებით, რომელიც აკრძალულია, რაკი ურანს შეიცავს.

– ეს თქვენი ანტიამერიკული განწყობაა?

– არანაირად, მე არ მახასიათებს ანტიამერიკული განწყობები. პატივს ვცემ ამერიკულ კულტურას, მაგრამ არ მინდა, ეს კულტურა ჩემს ქვეყანაშიც გაბატონდეს. ჩემი კულტურა ბევრად მნიშვნელოვანი მგონია.

– შეიძლება თუ არა, ამ ტერაქტს ამერიკისგან მოჰყვეს საპასუხო მოქმედებები სხვადასხვა რეგიონში?

– ამერიკელები არ არიან გენეტიკურად მებრძოლები. მათ ბევრად ურჩევნიათ, საკუთარ ხელისუფლებას მოსთხოვონ, შეცვალოს ის პოლიტიკა, რომელიც ასეთ ტერორისტულ მოქმედებებს იწვევს, ვიდრე მტერს დაუწყონ შებრძოლება. ერთი დოკუმენტიდან რამდენიმე ნაწყვეტს შემოგთავაზებთ და ამით ბევრი რამ იქნება ნათქვამი. ეს არის ამერიკის უსაფრთხოების სტრატეგია XXI საუკუნეში. ნახეთ, რა ტერმინებია მასში გამოყენებული: ამერიკული გლობალური ლიდერობა, ამერიკული სამხედრო აღმატებულება და მისი შენარჩუნება, ამერიკამ უნდა გაავრცელოს საკუთარი ფასეულობები მთელ მსოფლიოში, ჩვენ შეგვიძლია და ვალდებული ვართ შევინარჩუნოთ ამერიკის წამყვანი როლი... აი, ამის წინააღმდეგი ვარ სწორედ, ისე, როგორც ნებისმიერი ერის ნორმალური წარმომადგენელი. ამიტომ ვამბობ, რომ ამერიკამ უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა და შეეგუოს იმ ამბავს, რომ მსოფლიოში არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თავისუფალი ერები, რომლებსაც აქვთ ეროვნული თვითმყოფადობა, განვითარების საკუთარი გზა და ტრაექტორია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ფოთის ციხე-სიმაგრეების შესახებ არსებული ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების გაანალიზებით მკვლევარი მ. პაჭკორია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქ ციხე თურქებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა აეგოთ. **„წინააღმდეგ შემთხვევაში XVI საუკუნეში აგებული ციხე ამ დროისათვის (ე. ი. XVIII საუკუნისათვის) „ზედ ზღვის პირზე“ არ იქნებოდა რიონის მოქმედებისაგან ხმელეთის თანდათანობით წინ წაწევის გამო“** (პაჭკორია 1974: 19). კითხვებზე – **„რად დასჭირდათ თურქებს ფოთში ახალი სიმაგრის აგება, როცა ასეთი მათ აგებული ჰქონდათ XVI საუკუნის დასასრულს? იქნებ ეს ციხე ჟამთა გავლენით ან საომარი ოპერაციების დროს დაზიანდა და გამოუსადეგარი გახდა?“,** – მკვლევრის პასუხი ასეთია: XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან თურქები იწყებენ ზღვიდან დაშორებული ძველი სიმაგრის თანდათანობით აღდგენას. ამასთანავე, სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტის უფრო საფუძვლიანი გამაგრების მიზნით, მდინარის შესართავთან, ზღვის მახლობლად, მათ დაუწყიათ პატარა სიმაგრის საჩქაროდ აგება (იქვე: 19-20). მ. პაჭკორია იმოწმებს მოგვიანო ხანის დოკუმენტსაც, კერძოდ, ტოპოგრაფ გორშაკოვის მიერ 1828 წელს ინსტრუმენტალურად გადაღებულ რუკას, რაზეც ფოთის ორი ციხეა გამოსახული, ხოლო თვით რუკის სახელწოდებაა **„ფოთის დიდი და პატარა სიმაგრეების გეგმა“** (იქვე: 20).

XIX ს-ის 70-იან წლებში ფოთის სიმაგრეები დაუშლიათ და სამშენებლო მასალის ნავსადგურისა და ქალაქის საჭიროებისათვის გამოყენება გადაუწყვეტიათ. ძველი დიდი სიმაგრისაგან გადარჩენილი კოშკის რესტავრაცია და გადაკეთება ნიკო ნიკოლაძეს განუხორციელებია (იქვე: 21).

ფოთს ვხვდებით სხვა ქართულ წერილობით წყაროებშიც. მალაქია კათალიკოზის (1616-1639 წწ.) მიერ შედგენილ **„შეწირულების წიგნში“** მოიხსენიება ლევან დადიანის მიერ ეკლესიისათვის შეწირული ფოთელი მეთევზენი (ქსძ III, 1970: 500-501). XVII საუკუნის თურქი ისტორიოგრაფი ქათიბ ჩელები კავკასიის რუკაზე აღნიშნავს პუნქტს ფოთის სახელწოდებით. სოფლის აღმნიშვნელი ჰუსონით რუკაზე პუნქტის აღნიშვნა მკვლევარ გ. ალასანიას აფიქრებინებს, რომ ესაა დღევანდელი პატარა ფოთი ქალაქ ფოთის მახლობლად (ქათიბ ჩელები VII, 1970). თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ დროისთვის ფოთს, როგორც ქალაქს, თავისი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა და დაკნინებული იყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქათიბ ჩელების რუკაზე აღნიშნული პუნქტი „ფოთის“ სახელწოდებით უნდა გულისხმობდეს სწორედ ამჟამინდელ ქალაქ ფოთს და არა სოფელ პატარა ფოთს.

რაინეგსის ცნობით, ქალაქ ფოთისათვის ხშირი ომი იმართებოდა იბერიისა (იმერეთის – ი. კ.) და გურიის პროვინციის მთავართა შორის, **„სანამ საბოლოოდ თურქებმა არ მიიტაცეს ეს ქალაქი“** (რაინეგსი 2002: 137).

ვახუშტი მსჯელობს პალიასტომის ტბის ადგილმდებარეობაზე და შენიშნავს: **„კუალად ფოთის სამზღვრით, ზღვს კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღუას მდინარე ამისივე. იქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან, ტბასა შინა განსუენებისათვს. იპყრობის თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხუნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“** (ვახუშტი IV, 1973: 790).

ბატონიშვილს არც ამ ტბის სამეურნეო თავისებურება გამორჩენია მხედველობიდან. მისთვის ის თქმულებაც ყოფილა ცნობილი, პალიასტომს რომ „ნაქალაქევად“ მიიჩნევს.

გამბას დაკვირვებით, მეთევზეობით განთქმული პალიასტომის ტბა (**Baleastone**) მდებარეობს გურიას, სამეგრელოსა და ფოთის ციხესიმაგრის მომიჯნავე ტერიტორიას შორის (იქვე: 139).

თქმულების ერთი ვარიანტი ჯერ კიდევ 1651 წელს ჩაუწერიათ იმერეთში მოსულ რუსეთის ხელმწიფის ელჩებს – ტოლოჩანოვსა და იევლევს (ელჩობა... 1926: 155-156). ცნობილია ამ ლეგენდის კიდევ რამდენიმე ვარიანტი. ერთი მათგანი გასულ საუკუნეში ჩაწერა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა (მოთხრობა **„პალიასტომის ტბა“**), მეორე იური სიხარულიძემ გამოაქვეყნა 1957 წელს (სიხარულიძე №114, 1957). მესამე გურამ გრიგოლიას ჩაუწერია სოფ. საგვიჩიოში (სენაკის რ-ნი) (გრიგოლია 1973: 55).

ამ თქმულებას 1969 წელს სპეციალური წერილი მიუძღვნა მიხეილ ჩიქოვანმა, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევდა **„ტბის ფსკერზე არქიტექტურული ნაშთების“** არსებობას (ჩიქოვანი 1969). ძველ ფაზისს, **„მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც“** პალიასტომის ტბაშივე გულისხმობდა გ. გრიგოლიაც (გრიგოლია 1973: 54). ხალხური ეტიმოლოგია პალიასტომს **„პავლიას ტომის“** სახენაცვალ ფორმად მიიჩნევს.

სახელწოდების მეცნიერული ახსნა პირველად დიუბუამ სცადა. იგი მას კომპოზიტად თვლიდა და ადვილად არჩევდა ბერძნულ სიტყვებს – პალაიოს **„ძველი“** და სტომა **„შესართავი“** (დიუბუა III, 1889: 71-72). **„თუ ეს ისაა,** – დასძენს მკვლევარი, – **რომელსაც ფაზისი ერთვოდა, ამას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, თუ არა შორეულ ხანაში, ვინაიდან სტრაბონი ქალაქ ფაზისზე საუბრისას ნათლად აღნიშნავს მის ტბას, ზღვასა და მდინარეს შუა მდებარეობას, რაც გვიჩვენებს, რომ ფაზისს ჯერ კიდევ მაშინ, ისევე როგორც დღეს, ჰქონია ტბისაგან დამოუკიდებელი მიმართულება“** (იქვე).

„პალიასტომის“ ბერძნულ წარმომავლობას იცავს ნ. ცერცვაძე; თუმცა დიუბუასგან განსხვავებულ ახსნას გვთავაზობს: ამ კომპოზიტის პირველ სიტყვაში იგი პალას (ბრძოლა, ომი) გამოყოფს, ხოლო მეორეში – ტომოსს (მკაცრი) და ტბის სახელს ქართულად **„მკაცრ ბრძოლად“** განმარტავს (ცერცვაძე 1970: 3).

„პალიასტომის“ ასეთი ახსნა, ავტორისავე აზრით, **„ზუსტად გამოხატავს მის ბუნებას“** (იქვე). მას აქ ტბის ე. ნინოშვილისეული დახასიათება აქვს მხედველობაში. მართალია, იგი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ სახელწოდების ეტიმოლოგიის არც ეს ვერსიაა სარწმუნო.

მ. თავდიშვილის აზრით, ამ კომპოზიტის პირველი სიტყვა (**„პალია“**) **„პა“** და **„ლია“** კომპლექსად უნდა დაიშალოს. თუ ამას მივიღებთ, მაშინ **„ლია“** შინაარსიც (ჭაობი, საფლობი) ნათელია. პალიას განსაზღვრავს ლიას მნიშვნელობა. რაც შეეხება **პა** კომპლექსს, იგი ავტორს **ბას** სახეშეცვლილ ფორმად მიაჩნია და მას კნინობითობის ან კლასკატეგორიის ნიშნად თვლის. მ. თავდიშვილის აზრით, **ბა/პა** ხშირად ერთმანეთის მაგივრობას სწევს და **პა**-ს ადგილას შეგვიძლია ვიგულისხმოთ **ბა**, და პირიქით. ამ გაგებით პალიას მეორე დათანაბრადღირს ფორმად ავტორი ბალიას მიიჩნევს, რასაც თავისი მნიშვნელობით ინდოევროპულ სიტყვა **„ბოლოტოს“** უკავშირებს. ამრიგად, პალიასტომის პირველი კომპონენტის მნიშვნელობას გაიაზრებს, როგორც ჭაობს, ხოლო ბოლო კომპონენტი ტომი იგივე **ბ** ბგერადაკარგული ტომბია, ანუ ტბა (თავდიშვილი №10, 1973: 6).

IV. 5. ᲮᲝᲑᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐ

IV. 5. 1. ჰიდრონიმი **„ხობისწყალი“**. უნაგირას მთასა და ჭანისწყალს შორის მდებარე ტერიტორიას ვახუშტი ასე აღწერს: **„ფოთის ჩდილოთ კერძ შესდის ზღვას ხორგისწყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა. გამოსდის მასვე წინხსენებულს კავკასს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამავ წყალზედ, მთის ძირში, უნაგირას ჩდილოთ, არს ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ წყლის ჩდილოთ, მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა“** (ვახუშტი IV, 1973: 778).

ხობისწყალი სათავეს იღებს სოფ. მუხურში (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი), ზ. დ. 2326 მ-ზე, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე და წარმოადგენს ჩხოროწყუსა და ხობის მუნიციპალიტეტების მთავარ საწყლოსნო არტერიას. მდინარის სიგრძე 150 კმ-ია, აუზის ფართობი – 1340 კმ. მთავარი შენაკადებია ოჩხომური, ჭანისწყალი და ხანაძგა. ჰიდრონიმის ადგილობრივ, არაოფიციალურ ვარიანტებად გავრცელებულია ხობწყარი და ხოპწყარი, რასაც ადასტურებს ჩხოროწყუსა და ხობის მუნიციპალიტეტების ტოპონიმიური მასალაც. წერილობით წყაროებში მოიხსენიება მდინარე და პუნქტი ხობის//ხოფის სახელწოდებით. ა. ლამბერტის მსჯელობით, ადგილს სახელი **„ხოფი“** მდინარისგან მიუღია. **„ტეხურს ანუ სიგამეს მოსდევს ხობო (ჩობო),– წერს მისიონერი,– რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ – ხოფი (ჩოპი). ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირ-ნაირი თევზებით და ნავით სავალია იმ ადგილამდი, რომელსაც ჰქვია ხოფი (ჩოპი). ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდება ხოფი. აქ არის ეკლესია, რომელიც წინათ საეპისკოპოსო იყო“** (ლამბერტი 2011: 200). მისივე რუკაზე აღნიშნულია მდინარე ხოფი (ჩოპის).

გერმანელი მოგზაურისა და მეცნიერის – გიულდენშტედტის ნაშრომშიც ოდიშის მდინარეებს შორის დასახელებულია ხობისწყალი, ხოლო ოდიშის სოფლებს შორის – ხობი. იქვე აღნიშნულია, რომ სენაკი და ხობი ორივე პატრიარქისაა (იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი), ხოლო ამ უკანასკნელში არის დიდი ეკლესია (გიულდენშტედტი I, 1962: 321, 325).

IV. 5. 2. ხორგა. ფოთის ჩრდილოეთით, შავ ზღვასთან უსახელო მდინარის შეერთების მარჯვენა მხარეს, რუკაზე მეცნიერი აღნიშნავს პუნქტს ხორგის სახელწოდებით. ეს მდინარე, ვახუშტის თქმით, ხორგისწყალია, რასაც, თითქოს, სახელი მიუღია ზღვის კიდეზე მდებარე დაბის – ხორგის სახელწოდების მიხედვით (სიხარულიძე, კეკელია V, 2013: 69-70). მაგრამ საქმე ისაა, რომ ხორგა თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, ხობისწყლის ორივე ნაპირას. აკონკრეტებენ: გამოღმა და გაღმა პირველი ხორგა, გამოღმა და გაღმა შუა ხორგა. ხორგის თემის ცენტრს გამოღმა პირველი ხორგა წარმოადგენს და მდ. ხობისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 11 მ-ზე მდებარეობს; ხობს 8 კმ-ით არის დაშორებული. გამოღმა შუა ხორგა ხობისწყლის ორივე ნაპირზე, პირველ ხორგასა და ქარიატას შუა მდებარეობს. თემის ცენტრია და კიდევ ორ სოფელს – გაღმა შუა ხორგასა და ყორათს აერთიანებს. გამოღმა შუა ხორგა ეწოდება სოფელს გამოღმა პ. ხორგასა და გამოღმა ქარიატას შუა, ხობიდან ყულევისკენ მიმავალ გზაზე, ხობისწყლის მარჯვენა მხარეს; ხობს 11 კმ-ითაა დაშორებული და ზ. დ. 9 მ-ზე მდებარეობს. გაღმა შუა ხორგა სოფელია ოდიშის დაბლობზე და ხობისწყლის მარცხენა ნაპირზეა. ხობს დაშორებულია 12 კმ-ით, ჭალადიდის რკინიგზის სადგურს – 5 კმ-ით, და ზ. დ. 10 მ-ზეა. გაღმა პირველ ხორგად იწოდება სოფელი ხობისწყლის მარცხენა მხარეს, რაც ახალსოფლის თემში შედის, ზ. დ. 10 მ-ზეა და ხობს 7 კმ-ით არის დაშორებული.

ირკვევა, რომ ყულევსა და ხობს შორის მდებარე ვრცელი ტერიტორია ხობისწყლის ორივე ნაპირას, ხორგად იწოდებოდა (ცხადაია II, 2007: 139).

სოფელი ხორგა მოიხსენიება გვიანი შუა საუკუნეების არაერთ წერილობით დოკუმენტში. ლამბერტი 1654 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნავს პუნქტს ხორგას (ჩორგას) სახელწოდებით. ხორგა გამოსახულია იმავე წლის ე. წ. **„ლათინურენოვან რუკაზეც“**. როგორც ჩანს, სოფლის დაკონკრეტება გაღმა და გამოღმა ხორგად ახალი მოვლენა არაა. XVIII ს. დასაწყისით დათარიღებულ საეკლესიო გადასახადების გადამხდელთა სიაში მოიხსენიება გაღმა ხორგას მცხოვრები თაბუნია ხოჭოლავა, ბესია გიგიბერია, ინალუხუ ლეფონავა, ბაბაკოჩი, ხახუ, გურიკავა, ბეჯია და შოშიტა ბერაიები, ქომოკორდა არცანდია და მისი ძმისწული, **„ჯაიანისსეული კაცი“** გონჯი ავშილავა (კაკაბაძე I, 1921: 116; ხობის მონასტერი 2000: 48). ლევან III დადიანის მიერ 1675 წელს შედგენილი შეწირულების წიგნიდან ირკვევა, რომ ოდიშის მთავარს ბიჭვინთის ღვთისმშობლისთვის შეუწირავს სოფ. ხორგა; ამასთანავე, **„ხორგას სამი ნავი ვაჭარი თუ მოვიდეს, ერთი ბაზარგანი ვაჭარი სახობოს კაცისას დადგებოდეს...“** (კაკაბაძე I, 1921: 76, 77). ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ, საეკლესიო გადასახადების გადამხდელთა სიაში დასახელებულია **„ხორგას თავს დასტურაია ჭუჭუ და გაბრიელ“** (იქვე: 116). გიორგი თავდგირიძის მეუღლის – ხვარამზე ბატონიშვილის მიერ 1715-1730 წწ. დათარიღებული **„შეწირულების წიგნი“** გვამცნობს ბიჭვინთის ღვთისმშობლისთვის შეწირულთა ვინაობას. ესენი გახლავთ ხორგას მცხოვრები ბარდღალეი და დოხვადი ბერიების ოჯახი (კაკაბაძე I, 1921: 119). გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში აღნიშნულია, რომ **„ხორგას საკუტალიოს“** მცხოვრები გოჯი აფშილავა ცოლ-შვილითა და მამულით მერაბ ჯაიანს ბიჭვინთისთვის შეუწირავს (იქვე: 144).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ხორგაში აფხაზთა კათალიკოსის სასახლის არსებობის შესახებ XVII-XVIII სს. სხვა არაერთი ისტორიული დოკუმენტით დასტურდება, რაზეც ყურადღებას ამახვილებს მკვლევარი თამაზ ბერაძე (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 58). 1696-1701 წლებით თარიღდება მამია დადიან-გურიელის შეწირულობის წიგნი, საიდანაც ირკვევა, რომ **„ხორგას ნაპარკაო სასახლე ცხრა კვამლის კაცით კათალიკოზს დავითს ნემსაძეს წულუკიძისაგან ეყიდა და... ჩვიდმეტად კვამლს კაცად გაეხედა...“** (კაკაბაძე I, 1921: 87).

აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 წლის სიგელში დასახელებულია **„ხორგას ნაპარკევის სასახლე“** და ზემოთ მოხმობილი დოკუმენტიდან ცნობილი პიროვნებანი: **„აზნაურისშვილი მორდებ გეგებერიაი ორის მოსახლე გლეხითა“,** ჭუჭუ და მამაში დასტურაიები, **„ძმებითა და სახლკარითა“;** სოგიჯუმა ხოჭოლავა, სარჯელია და ბაბადიში ხაზავები. ბეჟან წულუკიძისგან ნაყიდი გლეხები გრიგოლ ნემსაძეს თურმე **„შეუწირავად დარჩომოდა“.** ბერაიების ოთხი კომლი გიორგი მიქელაძეს ასევე ბიჭვინტისთვის შეუწირავს. დოკუმენტიდან ირკვევა სხვა შეწირულ პირთა ვინაობაც (იქვე: 90, 91).

ხორგის სასახლე **„ნაპარკავისა“** და **„ნაპარკეოს“** ფორმით დასახელებულია აგრეთვე XVIII ს. კიდევ ორ დოკუმენტში (იქვე: 101, 103). გიულდენშტედტის ცნობით ხორგა სოფელია ოდიშში (გიულდენშტედტი I, 1962: 325).

ამრიგად, XVII-XVIII საუკუნეების უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული სოფელი ხორგა, რაც ხობისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობს, წარმოადგენდა აფხაზეთის კათალიკოსის ერთ-ერთ რეზიდენციას. ხორგის სახელით ცნობილი იყო ვრცელი ტერიტორია ყულევსა და ხობს შორის. ამიტომ ვახუშტის ცნობა დაბა ხორგის **„ზღვის კიდესა ზედა“** მდებარეობის შესახებ, ვფიქრობთ, რომ სწორი უნდა იყოს, ოღონდ ერთი გარემოების გათვალისწინებით: სახელოვანი მეცნიერის მსჯელობა, რომ მდ. ხორგისწყალმა აღნიშნული სახელი **„მოიგო“** დაბა ხორგისაგან, არასწორია, ვინაიდან ხორგის მახლობლად მდინარე ამ სახელწოდებით არ მოედინება და შეცდომით დასახელებული ხორგისწყალი სწორედ მდ. ხობისწყალი უნდა იყოს (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 58).

IV. 5. 3. ჭაქვინჯი. ვახუშტის რუკებისა და ნაშრომის მიხედვით **„ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა“** მდებარეობს ხორგისწყლის (ალბათ ხობისწყლის) აღმოსავლეთით, მაგრამ ეს შეცდომაა, და როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, აღნიშნული პუნქტი მდებარეობს ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე (იქვე: 58).

მეცნიერს თვით ციხის სახელწოდებაც განსხვავებული ფორმით აქვს მოცემული. უფრო ადრინდელ, ლევან II დადიანის 1640 წლის წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერაში დასახელებულია **„ჭაქვინჯის“,** ხოლო მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – **„ჭაქვიჯის“** ფორმით. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე აღნიშნულია **„ჭაქვიჯი“;** ნ. დადიანი რამდენჯერმე ასახელებს ტოპონიმ **„ჭაქვიჯს“** (დადიანი 1962: 236). გიულდენშტედტი ოდიშში მიუთითებს ჭაქვინჯის ციხეს (გიულდენშტედტი 1962: 188, 199, 325).

ახლანდელ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, ზუგდიდიდან 16 კმ დაშორებით, ზ. დ. 130 მ სიმაღლეზე, ნარაზენისა და ჯიხასკარის საკრებულოებს შორის, მდებარეობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ჭაქვინჯის სახელწოდებით. ციხე აგებულია ჯიხაშკარის ტერიტორიაზე, რაც გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოეყო ჭაქვინჯის სასოფლო საბჭოს. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცნობარის მიხედვით აღნიშნული სოფლის ოფიციალური სახელწოდებაა ჯიხასკარი, ხოლო თვით ციხე-სიმაგრე, რაც სოფლის ცენტრის დასავლეთით, მაღალ გორაზე დგას, **„ჯიხას“** სახელითაა ცნობილი. აქვე წყაროს ჯიხანწყუს ეძახიან (ჭანისწყლის მარჯვენა შენაკადის – ჯაბახ(ი)ლეს სათავე), სახნავს – ჯიხა(შ)ფერდს, ხოლო ჩაის ფართობს **„ჯიხაშ ჩაის“** ეძახიან (ცხადაია II, 2007: 404, 405).

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ღვთიური მისიით დატვირთული საქართველო!

ამონარიდი მ. ქართველის წიგნებიდან

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში არსებული ანტიქრისტიანული (ანტიმართლმადიდებლური) ბოროტი და ცოდვილი მასონურ-კოსმოპოლიტური მოძღვრებები, იდეოლოგიები და მათი წარმომშობი აგარი დამწერლობები და ენები მოისპობიან და დაიხრჩობიან მათ მიერვე აღძრული ცრუ ინფორმაციის ოკეანეში, ხოლო ნოეს შვილები **ქამი** (სვანური ქართული ენა), **სემი** (მეგრული ქართული ენა) და **ოიაფეთი** (იბერიული ქართული ენა) უვნებლად გადაურჩება ანტიქრისტეს ცრუ ინფორმაციის წყალდიდობასა და გრიგალს. შესაბამისად, გადაურჩება ნოეს ეფუთი, მოსეს თორა და ქრისტეს სახარება, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის არსობის პურს, ამიტომ გვეუბნება მაცხოვარი – ***„ჭამეთ ჩემი ხორცი პურია იგი“***. პირობითად (ალეგორიულად), ნოეს ეფუთი და სვანური ენა წარმოადგენს **ფქვილს**, მოსეს თორა და მეგრული ენა წარმოადგენს **ცომს**, ხოლო ქრისტეს სახარება და იბერიული ენა კი – **პურს**, ამიტომ აჭმევენ ადამიანს ხორბლის წადილს მიცვალებულთა მოხსენიების დღეს. ხორბალი, ფქვილი, ცომი და პური განუყოფელია. შესაბამისად, ქართული სამება დამწერლობა (ლაზარე), სამება ენა (ლაზარე), სამი მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (ლაზარე) ერთიანია და განუყოფელია. ამინ!

მესამე მსოფლიო ომი (აპოკალიფსი) და სიცრუის ოკეანის არსებობა დედამიწაზე, ავტომატურად დამთავრდება ქრისტეს მეორე მოსვლით, რომელიც წინასწარმეტყველია ბიბლიის დაბადების წიგნის 6, 7, 8 და 9 თავში.

გენიოსი შოთა რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანი“** წარმოადგენს ქართული სულის სახარებას, ანუ პოეზიის რანგში გადმოცემულ ძველი და ახალი აღთქმის სულიერ მისიას და საქართველოს (ლაზარეს) სულიერ მისიას მთელს მსოფლიოში. ფრიდონში იგულისხმება სვანური ქართული ენა, პატრიარქი ნოე და მისი პირველი მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (კაბადონი). ავთანდილში იგულისმება მეგრული ქართული ენა, პატრიარქი მოსე და მისი მეორე მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (კაბადონი). ტარიელში იგულისხმება იბერიული ქართული ენა, მაცხოვარი იესო ქრისტე და მისი მესამე მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (კაბადონი). სამი მართლმადიდებლური რჯულის წიგნი და სამი პატრიარქი არის კაცობრიობის სულის ქორწილის თამადა და მეფე. ამიტომ უწოდებენ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ერთმანეთს მეფეებს.

როსტევან მეფეში იგულისხმება ქართული მართლმადიდებლური ინსტიტუტი (წმიდა მარიამი). თინ-ა-თინ-ში იგულისმება ძველი აღთქმა, ნეს-ტან-დარე-ჯანში იგულისხმება ახალი აღთქმა, ფატმანში იგულისმება ისლამურ-მაჰმადიანური რელიგია და ყურ-ანი (მოლა+წამოდი), რომელსაც შეუყვარდა ავთანდილი (მოსეს თორა), ანუ ყურანი, გადაწერილია ძველი აღთქმიდან. ამიტომ ეუბნება უსენი ავთანდილს: **„ჩვენა ვართ მიდიელნი ვაჭარნი, არასდროს გვისვამს მაჭარი (სახარებას ნაზიარები არა ვართო), ჩვენ ჩვენი რჯულის არა გვაქვს ნაჭარი, არამედ გვაქვს გადმონაჭარი“** (ყურანი ძველი აღთქმიდან გადავწეროთო).

ასმათში იგულისხმება მარიამ ღვთისმშობელი, რომელიც მფარველობს ტარიელს (ტარი=გასაღები და ელი=მამა ადამის ხალხს), ანუ მფარველობს იბერიული ქართული სახელმწიფო ენით მლოცველ სრულიად საქართველოს. ავთანდილი და ტარიელი მეგობრდებიან ანუ მეგრული ქართული და იბერიული ქართული ენა იხსენებენ ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიას და მიდიან ფრიდონთან (სვანური ენასთან) და მას აღიარებენ მეფედ.

ქაჯეთის ციხეში იგულისხმება ურიამასონების ბოროტი მსოფლმხედველობა და სიმართლის (ქრისტეს) მოძულე პოლიტიკურ-ეკონომიკური სახელმწიფო სისტემა, რომლის აგენტებს: პაპებს, პატრიარქებს და ქრისტიანული ეკლესიის სამღვდელოებებს ნესტან-დარეჯანი (სახარება) ციხეში გყავთ გამომწყვდეული. ამიტომ გვეუბნება ბრძენი რუსთაველი: ***„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან არიან ერთად კრებულნი, კაცნი, გრძნობის მცოდნენი, ზედა გახელოვნებულნი, ყოველთა კაცთა მავნენი, იგი არ-ვისგან ვნებულნი..*** .“ ქაჯეთის ციხეა თანამედროვე სასულიერო პირები და პოლიტიკოსები. ისინი კაცობრიობას უმალავენ ქრისტეს მეორედ მოსვლასა და მის მიერ კაცობრიობის განთავისუფლებას უმეცრების მონობისაგან. საბოლოოდ ურია-მასონები მარცხდებიან და დედამიწაზე მეფედ მოდის მესია. ამინ

ადრე გითხარით, რომ ქრისტეშობამდე სამასი (300) ათასი წლის წინ ღვთის ნებით შეიქმნა მართლმადიდებლურ-გიორგიანული ინსტიტუტი, რომელმაც თავისი ღვთიური მოდვაწეობით შექმნა სრულყოფილი სამება დამწერლობა ლაზარე და სვანური (ქამი) სასულიერო-საგანმანათლებლო ენა. ქრისტეშობამდე დაახლოებით თოთხმეტი (14) ათასი წლის წინ ამ ინსტიტუტიდან გამოვიდა პატრიარქი **ადამი**, რომელმაც თავის თავს და მამა ღმერთს კოდური შიფრით უწოდა **ადამ** (19/46, მამრობითი სქესი 23 ქრომოსომა პლუს მდედრობითი სქესი 23 ქრომოსომა უდრის 23+23=46=ადამ). ამიტომ მამრობითი სქესი და მდედრობითი სქესი ორივე არის **ადამი** –ანი და არა ადამი და ევა. ევა მამა ღმერთის სხეულს ნიშნავს, შესაბამისად თითოეული ადამიანი თავის თავშია ადამი (სული) და ევა (სხეული), ეს აქსიომაა.

ჩვენგან უკუ ათვლით თექვსმეტი (16) ათასი წლის წინ პატრიარქმა ადამმა დაწერა პირველი მარტივი რჯულის წერილი სვანურ ენაზე (ქამი), შეადგინა სასულიერო-საგანმანათლებლო პროგრამა (აბელი) და საერო-სახალხო (ხორციელთა) საგანმანათლებლო პროგრამა (კაენი). შესაბამისად დედამიწის ზურგზე თანდათანობით ჩამოყალიბდა სულიერი (აბელი) და ხორციელი (კაენი) მოძღვრებები, სწავლებები და ინსტიტუტები. ამიტომ გვასწავლის მაცხოვარი **იესო**: ***„მიეც ღმერთს ღვთისა და კეისარს კეისრისა“***-ო, ანუ მიეცი სულს ღვთის სიტყვა და მიეცი ხორცს შესაბამისი საკვები (სიტყვაო).

პატრიარქი ადამიდან ნოემდე დაახლოებით რვა (8) ათასი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ცხრა პატრიარქი: (ცხრა არიელი ქართველი ქურუმი), პატრიარქ ადამზე გვეუბნება წმიდა წერილი: **„ჯერ კიდევ მინდვრის ბუჩქიც არ იყო დედამიწაზე (**ანუ განათლება არ იყო დედამიწაზე), **ერთი ღერი ბალახიც არ იყო აღმოცენებული, რადგან არ უწვიმია დედამიწაზე და კაცი (**ადამი) **არ იყო, რომ მიწა დაემუშავებინა... გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი** (კაცი) **მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“.** (დაბ. 2,5-7).

პატრიარქი **ადამის** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის პროგრამამ, რჯულის წერილის ნორმებმა, ოჯახმა და სახელმწიფომ ნოემდე ცხრაჯერადი რეფორმა – რეორგანიზაცია განიცადა. პატრიარქი ადამის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 930 წელიწადს, რომელსაც რეფორმა – რეორგანიზაცია ჩაუტარა პატრიარქმა შეთმა.

პატრიარქი **შეთის** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 912 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა ენოშმა.

პატრიარქი **ენოშის** მიერ დაარსებულმა განათლების სიტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 905 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა კაინანმა.

პატრიარქი **კაინანის** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 910 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა მახაელმა.

პატრიარქი **მახაელის** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 895 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა იარედმა.

პატრიარქი **იარედის** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 962 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა ენოქმა.

პატრიარქი **ენოქის** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 365 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა მეთუშალახმა (მეთუსალმა).

პატრიარქი **მეთუშალახის** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 969 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა ლამექმა.

პატრიარქი **ლამექის** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 777 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა ნოემ.

პატრიარქი **ნოეს** მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 950 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა სემმა.

პატრიარქი ადამი და ნოემდელი პატრიარქები მოღვაწეობდნენ თანამედროვე რაჭის **ონის** (იქვეა სოფელი ბეთლემი) მიდამოებში, ანუ მოღვაწეობდნენ მდინარე **რი-ონის** (ფასის, ფასისის) სათავე ადგილმიდამოებში. ძველ აღთქმაში ნახსენები მზის ქურუმთა ქალაქი **ონი** არის რაჭის ონი, რომელიც იყო საქართველოს პირველი დედაქალაქი (იერუსალემი). იგი არის ისრაელისა და იერუსალემის დედამიწიერი სახე (ხატი) და კაცობრიობის (ისრაელის თორმეტი ტომის) პირველი სასულიერო ცენტრი.

პატრიარქმა ნოემ დედაქალაქი რაჭის ონიდან (რაიონიდან) გადაიტანა მდინარე ტეხურის ხეობაში და იქ გააშენა სასულიერო ცენტრი ბეთლემი და ქალაქი ციხე-სიმაგრეს **ნო**-ქალაქი, ნოქალაქევი, ნოეს ქალაქი, ნოეშ-ქალაქი. ამით საფუძველი ჩაუყარა სვანური ენიდან (ქამი) მეგრულ სასულიერო ენაზე გადასვლის უმტკივნეულო მისიას. მდინარე ტეხურის ბეთლემი და ნოქალაქევი არის კოსმოსური ისრაელისა და ბეთლემის დედამიწიერი სახე (ხატი) და კაცობრიობის (ისრაელის თორმეტი ტომის) მეორე სასულიერო ცენტრი.

ბიბლიური სამოთხის ოთხ მდინარეში იგულისხმება: რიონი, ტეხური, მტკვარი და არაგვი. შესაბამისად მოცემულ მდინარეთა ირგვლივ არსებული ტერიტორია – მამული არის კოსმიური ისრაელის ხატი.

მურმან ხუბულავა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ტელეფონების შემკეთებლიდან მილიონერობამდე

ვალერი მელაძე რუსული **"ფორბსის"** 20 ყველაზე მდიდარი რუსი მომღერლის რეიტინგში მეშვიდე ადგილს იკავებს. თავის დროზე, როცა რუსულ შოუბიზნესში პირველ ნაბიჯებს დგამდა, პროდიუსერმა ევგენი ფრიდლიანდმა ქართულ გვარზე უარის თქმა შესთავაზა და რუსული ვერსიაც მოუძებნა – მელადოვა. პროდიუსერი შიშობდა, რომ დამწყებ მომღერალს რუსეთის დიდი სცენის დაპყრობაში ქართული გვარი ხელს შეუშლიდა.

"ამას არასდროს და არაფრის სანაცვლოდ არ დავთანხმდებოდი. ეს ჩემი ოჯახისა და ჩემი გვარისადმი უპატივცემულობა იქნებოდა. მართალია, ბოლო დროს რუსეთში ქართველებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ხალხი ყოველთვის სიყვარულით მხვდება და ჩემი ქართველობის გამო არასდროს მიგრძვნია უხერხულობა“, – იხსენებს უკვე ცნობილი მომღერალი და წარმატებული ბიზნესმენი ვალერი მელაძე. ძმები მელაძეების სახელი საქართველოში 90-იანი წლების ბოლოსკენ გახდა საქვეყნოდ ცნობილი, როცა ვალერი მელაძის ჰიტმა ათასობით მსმენელი მოხიბლა. თუმცა ცოტამ თუ იცის, რომ რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავის **„მეორე პროფესია“** ბიზნესია. უკვე წლებია, მუსიკალურ სფეროში საქმიანობის გარდა, ქართველი მომღერალი კომერციული საქმიანობითაც არის დაკავებული და მოსკოვში რამდენიმე პოპულარული კლუბის, მათ შორის მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი **„რიტმ ანდ ბლიუზ კაფეს“** მფლობელია, რომელსაც ანდრეი მაკარევიჩთან ერთად ფლობს. წლების წინ კი **"ინვესტტორგბანკის"** დირექტორთა საბჭოს წევრიც იყო.

მომღერლისა და ბიზნესმენის წარმატებული კარიერის შედეგად ვალერი მელაძე რუსული **"ფორბსის"** 20 ყველაზე მდიდარი რუსი მომღერლის რეიტინგში მეშვიდე ადგილს იკავებს. მის ქონებას **"ფორბსი"** წელს 7,3 მილიონ დოლარად აფასებს, თუმცა შარშან ქართველი მომღერალი 5 მილიონი დოლარის მფლობელი იყო.

თავად მომღერალი იშვიათად საუბრობს თავის ბიზნესსა და მილიონებზე. რამდენიმე წლის წინ კი, როცა რუსული ესტრადის ვარსკვლავი ქართველი მილიონერების სიაში მოხვდა 150 მილიონი დოლარით, ვალერი მელაძემ აღნიშნა, რომ მისი ქონება ქართულ პრესაში ერთობ გადაჭარბებულად შეაფასეს. **"ისეთი ქონება მომაწერეს, რაც არასოდეს მქონია და ალბათ, ამხელა თანხას სიცოცხლის ბოლომდე ვერ დავაგროვებ",** – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავმა.

ვალერი მელაძე 1965 წელს, ბათუმში დაიბადა. ბავშობაში ერთნაირად იტაცებდა მუსიკაც და სპორტიც, ამიტომ მშობლებმა მუსიკალურ სკოლაში ფორტეპიანოს განხრითაც შეიყვანეს და ცურვის შესწავლაც დააწყებინეს. თუმცა, მომავალი მომღერლისთვის ეს გატაცებები საკმარისი არ გამოდგა – მალე საავიაცო წრეზე დაიწყო სიარული და კოსმოსში გაფრენაზე ოცნებობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ვალერი მელაძემ მუშაობა ტელეფონების შემკეთებლად დაიწყო, თუმცა მალევე მიხვდა, რომ ეს მისი პროფესია არ იყო. ტელეფონების შეკეთების შემდეგ გემთმშენებლობამ გაიტაცა და სწავლა უკრაინაში, ნიკოლაევის გემთმშენებელ ინსტიტუტში გააგრძელა. სწორედ უკრაინაში, ნიკოლაევში მცხოვრებ ძმასთან ჩასვლის შემდეგ, დამწყები გემთმშენებელი მიხვდა, რომ მისი შინაგანი მოთხოვნილება მუსიკა იყო.

"ბიზნესით მხოლოდ იმიტომ ვარ დაკავებული, რომ ჩემი ოჯახის მომავალი უზრუნველვყო. მუსიკა კი ჩემი შინაგანი მდგომარეობის გამოხატვაა და არა – ბიზნესი“, – იტყვის მოგვიანებით.

უკრაინაში გადაბარგებულმა ძმებმა მელაძეებმა პროდიუსერ ევგენი ფრიდლიანდის დახმარებით მალე მოიპოვეს პოპულარობა. 1989 წელს ნიჭიერი ძმები მელაძეები მიიწვიეს ჯგუფში **"დიალოგი"**. ვალერის სიმღერები უკრაინაში მალე გაჰიტდა და 1993 წელს მისი, როგორც სოლო მომღერლის, დებიუტი შედგა. მელაძის პირველი ჰიტი იყო რომანსი, რომლის წყალობითაც ის 1994 წლის აღმოჩენად დასახელდა. მალე ნიჭიერი მომღერალი რუსეთის პრიმადონას, ალა პუგაჩოვას ყურადღების ცენტრში მოხვდა, რაც უკვე იმას ნიშნავდა, რომ ძმები მელაძეებისთვის დიდ რუსეთში გზა ხსნილი იყო. საყოველთაო აღიარება კი ვალერი მელაძეს 1995 წელს გამოსულმა ალბომმა მოუტანა, რომელიც მაშინვე ჰიტად იქცა.

18-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ვალერი მელაძე წელს ოფიციალურად დაშორდა მეუღლეს, ირინა მელაძეს, რომელთანაც სამი შვილი ჰყავს. პირველ ცოლთან ურთიერთობები ქართველ მომღერალს მას შემდეგ დაეძაბა, რაც ათზე მეტი წლის წინ ჯგუფ **"ვიაგრას"** აწ უკვე ყოფილი ვოკალისტი ალბინა ჯანაბაევა მელაძესთან ბექ-ვოკალისტად მივიდა. **"ვიაგრას"** სოლისტობამდე და პოპულარობამდე, ალბინა ჯანაბაევა 2004 წელს ბიჭის დედა გახდა. რუსულ შოუბიზნესში ამას მალევე მოჰყვა ხმები, რომ ბავშვის მამა ვალერი მელაძე იყო. თუმცა, ამ ფაქტს ოფიციალურად არც ალბინა ადასტურებდა და არც – ვალერი მელაძე, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა. რუსულ მედიაში ხშირად იწერებოდა, რომ ქართველი მომღერალი მეოთხე შვილს მალავდა, მაგრამ 2009 წელს ვალერი მელაძემ აღიარა, რომ ჰყავს შვილი ალბინა ჯანაბაევასგან, ამ ზაფხულს კი **"ვიაგრას"** ყოფილ სოლისტთან მეორე შვილი, ლუკა შეეძინა.

ვალერი მელაძე ხშირად ხუმრობს ხოლმე, რომ ქართველია, რომელმაც 11 წელი გაატარა უკრაინაში, დაამთავრა რუსული სკოლა და არის რუსეთის სახალხო არტისტი. ერთხელ იმაშიც გამოტყდა, რომ ქართულს კარგად ფლობს. თუმცა მშობლიურ ენაზე საუბარი საჯაროდ ერიდება, რადგან თავს არიდებს შეცდომებით საუბარს და ამიტომ ქართულად ლაპარაკს არაფხიზელ მდგომარეობაში ამჯობინებს.

მ. ჯავახიშვილი

თეონიმ არტემიდეს ეტიმოლოგიისათვის

ფუძეს ამ თეონიმისა **„არტემი"** ჩვენ ვუკავშირებთ კოლხურ სიტყვას **„ქართამი"**, რაც ალიო ქობალიას **„მეგრულ ლექსიკონში"** განმარტებულია, როგორც **„გვირგვინოსანი", „შარავანდედიანი".**

სიტყვა **„ქართამი"** მომდინარეობს სიტყვიდან **„ქართა"**, რაც ქობალიას ლექსიკონში განმარტებულია როგორც: წრე, დისკო, ორბიტა; ბაკი, ბაკმი (მთვარისა); შარავანდედი, გვირგვინი; ბაკი, შემორაგვული ადგილი პირუტყვისათვის;...

აი, რას წერს ამ სიტყვის შესახებ ლადო ალფენიძე (გაზეთი **„ერი და საზოგადოება"**, 1997, თებერვალი, გვ.10): **„მე ჩავატარე სამეცნიერო ექსპედიცია ოდიშში და შევისწავლე კოლხური სიტყვის "ქართას" ყველა მნიშვნელობა. აღმოჩნდა, რომ „ქართა" ჰქვია მეგრულად არა მხოლოდ შემოღობილ ბაკს და „ბოსელს", არამედ „მთვარის გვირგვინს", „მთვარის წრეს". ჩემ მიერ ამის აღმოჩენა გადატრიალებას უდრიდა."** ბატონმა ლადომ ვერ შეამჩნია თეონიმ **„არტემიდე"**-ში სავარაუდო ფორმანტ **„ქართა"**-ს არსებობა, თორემ ამ ფაქტს აუცილებლად თავისთვის ჩვეული ნიჭიერებით აღნიშნავდა. ხოლო, თუ ვის უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი ამ სიტყვის (ქართა) **„აღმოჩენაში"** ლადო ალფენიძეს თუ ალიო ქობალიას, ამ საკითხს ჩვენ არ შევეხებით და პრინციპში ამას არც უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ჩვენი ვარაუდი არტემიდეს კოლხობაზე, რომ რეალურია და ეს თეონიმი მომდინარეობს ფორმანტ **„ქართამი"**-დან, სჩანს იქიდანაც, რომ არტემიდე მთვარის ქალღმერთია, ხოლო **„ქართა"** ქობალიას მიხედვით ნიშნავს – ბაკმს (მთვარისას), ხოლო ალფენიძის მიხედვით **„მთვარის გვირგვინს", "მთვარის წრეს".**

მოვიყვანოთ ქალღმერთ **„არტემიდეს"** განმარტება აკაკი გელოვანის **„მითოლოგიური ლექსიკონიდან:" „არტემიდე (არტემის, – იდოს) – ზევსის და ლეტოს სახელოვანი ასული, აპოლონის ტყუპი და, დიდი დელოსელი ქალწული ... ბერძენთა ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი ღვთაება... ეტიმოლოგია სადავოა: „დათვის ქალღმერთი", "დედოფალი", "მკვლელი".**

თუ ჩვენი ეტიმოლოგია საბოლოოდ გამართლდება, რისი იმედიც გვაქვს, მაშინ ზემოთ მოყვანილი ეტიმოლოგიები **(„დათვის ქალღმერთი", „დედოფალი", „მკვლელი")** სადაო კი არა, აბსოლიტურად მიუღებლები გახდებიან.

არტემიდე რომ კოლხურ (პელაზგურ) სამყაროს განეკუთვნება, რაც მტკიცდება ამ თეონიმის კოლხური წარმომავლობით, ეს ასევე, მტკიცდება პირველი თაობის დიდი ღმერთის კრონოსის სახელის ეტიმოლოგიიდანაც (ღორონ-თ-ი კრონ-ოს-ი), ხოლო კრონოსი მითოლოგიის მიხედვით ზევსის მამა იყო, რომელიც (ზევსი) თავის მხრივ არტემიდეს მამად გვევლინება. ე.ი. არტემიდე, როგორც მისი სახელის ეტიმოლოგიით, ასევე **„გენეალოგიით"** კოლხურ სამყაროს განეკუთვნება.

განსაკუთრებით ძლიერი იყო არტემიდეს კულტი ეფესოში. ტაძარიც იქ ჰქონდა საუკეთესო (არტემისიონი), ქვეყნიერების მეშვიდე სასწაულად წოდებული, ჰეროსტრატემ რომ დაწვა.

აქ მინდა დავსვა შეკითხვა. იმიტომ ხომ არ დაწვა ჰეროსტრატემ არტემიდეს ტაძარი ეფესოში, რომ ის პელაზგური (კოლხური) წარმოშობის იყო? უნდა ითქვას, რომ ჰეროსტრატეები რომ არ ყოფილიყვნენ, არც ღვთაებათა და მეფეთა ეტიმოლოგიები იქნებოდა საძიებელი და იმ შორეული სამყაროს იდილია დღევანდლამდე მოაღწევდა.

როგორც ვხედავთ, კოლხებს (პელაზგებს) არა მარტო თავიანთი ღვთაებები გააჩნდათ, არამედ გააჩნდათ თავიანთი საოცრებები (სასწაულები), რომელთაც მსოფლიოს შვიდ საოცრებას ვუწოდებთ. ამათგან, როგორც დგინდება არტემიდეს ტაძარი ეფესოში უკვე რიგით მესამეა. ე.ი. მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის, როგორც მინიმუმი სამი კოლხურ სამყაროს განეკუთვნება, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ორს: ეგვიპტის პირამიდებს და ჰალიკარნასის მავზოლეუმს, ამათ შესახებ ჩვენ ვწერდით ჟურნალ **„ცოტნეიდელში"** (ჟურნალი **„ცოტნეიდელი"**, III , 2008-2010, გვ. 204-205).

გამახსენდა ამ ბოლო ხანებში მაღაზიათა ქსელ **"ბიბლუსში"** წიგნებად გამომავალი **„ჩვენი ღირსებანი"** (სულ 6 წიგნია გამოცემული). წარმოდგენილი მაქვს თუ რა რეზონანსი იქნებოდა და რა სახეს მიიღებდნენ ეს წიგნები თუ მათში გათვალისწინებული იქნებოდა ის თემები და ის საკითხები, რაზედაც ჩვენ გვაქვს საუბარი.

ახლა კი მოვუბრუნდეთ ისევ ქართამს.

ქართამი, რომ ღმერთთა და მეფეთა გამონაკლისი სახელი არაა, ეს სჩანს ლადო ალფენიძის ნაშრომიდნ, რომლიდანაც სოლიდურ ამონარიდს აქვე შემოგთავაზებთ (ლადო ალფენიძე, რჩეული თხზულებანი, ტომი III , გვ. 442-443): **„ლეონტი მროველი თავის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთ მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა", რომლითაც იხსნება „ქართლის ცხოვრება", ახსენებს ქართლის მეფეს, რომლის სახელია ქართამი. „ქართლის ცხოვრებაში" ორი ქართამი ჩანს. პირველი ქართამი, როგორც ლეონტი მროველი წერს, ძმისშვილია ქუჯისა, ქუჯის ციხის პატრონისა, მეორე ქართამი მისი შთამომავალია. ქართამი-უმცროსი ქართლის მეფეა...**

რას ნიშნავს ქართამი? ქართველური ლექსიკონის მიხედვით, როგორც დავინახეთ, „ქართა" „მთვარის გვირგვინს" ნიშნავს, ხოლო ქართამი „მთვარის გვირგვინოსანს" .

ქართ+ამი ქართველურში, კოლხურში იგივეა, რაც „ქართ+იანი" სალიტერატურო ენაში".

ლოგიკური იქნება – აგრძელებს ბატონი ალფენიძე – თუ ვიმსჯელებთ ასე: **„ქართამი" – „მთვარის გვირგვინოსანს"** ნიშნავს. ქართამი მეფეა, ან ტახტის მემკვიდრე უფლისწულია. ხომ არ მიგვანიშნებს ეს იმ ფაქტზე, რომ ქართლში, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, მეფე ღვთისგან ხელთდასხმულად ითვლებოდა, სამეფო ძალაუფლება ღვთის წყალობად იყო მიჩნეული?!

ეს ალბათ საჭირო იყო იმისთვის, რომ მეფის შიში ჰქონოდათ, ტახტისთვის ბრძოლა ყველა დიდებულს თუ მდაბიოს არ გაებედა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რატომ დაარქვეს ქართამი მაინცდამაინც ქუჯის ძმისშვილს? სხვა მეფენიც ხომ ქართამები – მთვარის ქართიანები, მთვარის გვირგვინოსნები იყვნენ?

ალბათ იმიტომ, რომ ქართლის მეფეს ბართომს, როგორც ლეონტი მროველი წერს, ძე არ ესვა, გარდა ასულისა. ამიტომ ქუჯის ძმისშვილი დედით ფარნავაზიანი... ქართამი მოიყვანეს ქართლის ტახტის მემკვიდრედ ქუჯის ციხიდან. ქართლის სამეფოში ვინმეს ეჭვი რომ არ შეეტანა მის უფლებებში, მის მეფურ წარმოშობაში, მას ხაზგასმით დაარქვეს ქართამი. ამას მოითხოვდა წარმართი ქართველის ლოგიკა – ის ქართამია, ის ღვთის ხელთდასხმული გვირგვინოსანი მეფეაო.

ქართ+ამ+ი **„კოლხიზმია" „ქართლის ცხოვრებაშიც",** ლეონტი მროველთან. **„ქართიზმი"** იქნებოდა **„ქართიანი"** რომ ერქვას."

როგორც ამ ამონარიდიდან ვტყობილობთ **„ქართლის ცხოვრებაში"** ფიქსირდება ორი უმაღლესი სახელმწიფო ჩინი ტიტულით **„ქართამი",** რომელი ტიტულიც წმინდა კოლხური წარმომავლობისაა, რაც არანაირ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგანაც მიუხედევად იმისა, რომ **„ქართლის ცხოვრებაში"** ფაქტობრივად არ არის ნახსენები სიტყვა **„იბერი"** და მითუმეტეს **„კოლხი",** ეს ნაწარმოები ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც დამახინჯებული **„იბერიის ცხოვრება"** ან კიდევ **„კოლხეთის ცხოვრება".** მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ, აქ კი მთავარია ის რომ **„ინფორმაციის გაჟონვის"** გამო ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ **„ქართლში"** მოღვაწეობდა ორი ქართამი.

მაგრამ **„ინფორმაციამ გამოჟონა"** არა მარტო **„ქართლის ცხოვრებიდან"** არამედ ბერძნული მითოლოგიიდანაც, საიდანაც შევიტყვეთ, რომ ასეთი ეპითეტით (ქართამი) იმკობოდნენ არა მარტო მეფენი, არამედ ოლიმპოს ღმერთებიც კი.

ჩვენთვის საზოგადოდ ცნობილია, რომ პელაზგური (კოლხური) სამყარო წინ უსწრებდა ელინურ-ბერძნულ სამყაროს. მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ყველაფერს ამას დამტკიცება სჭირდება. თეონიმ არტემიდეს ჩვენეული ეტიმოლოგია ამ მტკიცების კიდევ ერთი მცდელობაა. ამ მიმართულებით ჩვენ მომავალშიც შეძლებისდაგვარად გავირჯებით, რათა ის, რაც ვერ შეძლეს თუ ვერ მოასწრეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა, ჩვენმა თაობამ ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს (ცნობილია გამოთქმა: **„გოლიათის მხრებზე მჯდომი, გოლიათზე შორს იყურებაო"**), რათა ჩვენმა შემდგომმა თაობებმა, მოეხსნებათ რა არასრულფასოვნების კომპლექსი, ამაყებმა და წელგამართულებმა იარონ ამ ქვეყანაზე.

ნუგზარ კვაშილავა,
"ფაზისი"-ს აკადემიის ნამდვილი წევრი

"საქართველოს ინტერესები მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ერთხელ განისაზღვრა – მეფე ერეკლე მეორის მიერ, როცა მან ხელი გეორგიევსკის ტრაქტატს მოაწერა" – *არნო ხიდირბეგიშვილი რუსეთის რადიოტელეკომპანია „МИР"-ის კითხვებს პასუხობს*

ალექსეი მელნიკოვი: რა მიზნით განათავსებს **ნატო** საქართველოში საწვრთნელ ცენტრს? და რამდენად კანონზომიერია ეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო **ნატო**-ს წევრი არ არის?

არნო ხიდირბეგიშვილი: მოდი, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ყველაფერი უმალ თავის ადგილას დადგება. **ნატო** – ესაა აშშ, საწვრთნელი ცენტრი – ესაა აშშ-ის სამხედრო ბაზა, საქართველო კი ტერიტორიაა, და არა სახელმწიფო.

ასე რომ – საქართველოში ბოევიკების საწვრთნელი ცენტრის განთავსება, რომელთა მეშვეობითაც აშშ **„არაბულ გაზაფხულს"** – სახელმწიფო გადატრიალებებს ახორციელებს მთელ მსოფლიოში, წარმოადგენს **ნატო**-ში საქართველოს ინტეგრაციის გეგმის შემდგომ ნაწილს. ოღონდ არა საქართველო შედის ნატოში, არამედ **ნატო** – საქართველოში.

რაც შეეხება კანონზომიერებას, მათთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს? როგორ უნდა ვისაუბროთ კანონზომიერებასა და აშშ-ზე?! თუ ეს არ შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო სამართალი კვლავაც იგნორირებული იქნება აშშ მიერ, სანამ რუსეთი მუდმივად თავის მმართლებლის პოზიციაშია...

ალექსეი მელნიკოვი: რაში ხედავთ საქართველოს ინტერესს, მის ტერიტორიაზე **ნატო**-ს საწვრთნელი ბაზა განათავსონ?

არნო ხიდირბეგიშვილი: საქართველოს ინტერესები მთელი მისი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იქნა განსაზღვრული – მეფე ერეკლე მეორეს მიერ, როცა მან ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს. ამიტომ დღეს კანონზომიერია ვისაუბროთ მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური წრეების ინტერესებზე – პოზიციისა და ოპოზიციის, პრემიერ ღარიბაშვილის ამჟამინდელ მთავრობასა და პრეზიდენტ სააკაშვილის წინა ხელისუფლების, რომლებიც ერთმანეთსა და აშშ-ის ინტერესებს ემთხვევა. ამიტომ საქართველო აუცილებლად იქნება ინტეგრირებული **ნატო**-ში. და დღეს აშშ რუსეთს უკვე აღარ შეხედავს, მეტიც – რაც მეტად აღშფოთდება რუსეთის ფედერაცია – მით უფრო გააქეზებს აშშ-ს.

ალექსეი მელნიკოვი: როგორც ფიქრობთ, მზად არის კი **ნატო**, მხარი დაუჭიროს საქართველოს შეიარაღებით? ქართული არმიისთვის ხომ ამერიკული იარაღის მიწოდებაზე ჯერ კიდევ ქვეყნის თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ალასანია საუბრობდა.

არნო ხიდირბეგიშვილი: ალასანიამ საქართველოს სურვილის შესახებ, განეთავსებინა თავის ტერიტორიაზე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, შედარებით ახლახან – **ნატო**-ს უელსის სამიტზე განაცხადა. აშშ კი საქართველოს იარაღს აწვდის ჯერ კიდევ 2004 წლიდან – მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა **„გააცურა"** პუტინი ბათუმში ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით. ორი-სამი **„პეტრიოტი"**, ჟანგიანი **„იროკეზები"**, მსუბუქი მობილური შეიარაღება, **„ჰამერები"** რადიოაპარატურით – ამ ყველაფრის ხილვა და დათვლა რუსეთის არმიას 2008 წლის აგვისტოში შეეძლო. ანუ, მხოლოდ ის შეიარაღება, რომელსაც ქართველი დაქირავებული ჯარისკაცები ავღანეთსა და მალიში უნდა ფლობდნენ, სადაც საქართველო **ნატო**-ს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი კონტრიბუტორია.

თუმცა, **„ქართული არმიის მშენებლობაზე"** ან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სიტემებზე საუბარი არასერიოზულია. იმიტომ, რომ, ისეთი რამ, როგორიც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაა, მრავალი ელემენტისგან შედგება, რომელიც ამავდროულად უნდა იყოს **ნატო**-ს სიტემასთან ინტეგრირებული. ვინ დაკავდება ამით საქართველოში?!

ალექსეი მელნიკოვი: უელსში **ნატო**-ს სამიტზე საქართველოს თანამშრომლობის ე. წ. განსაკუთრებული პაკეტი შესთავაზეს. რა შედის აღნიშნულ პაკეტში კიდევ, საქართველოს ტერიტორიაზე ალიანსის საწვრთნელი ცენტრის განთავსების გარდა?

არნო ხიდირბეგიშვილი: ალბათ, პამპერსები და სურნელოვანი ხელსახოცები. თუმცა, თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ეს ყველაფერი უკვე გვსმენია: **„MAP-ზე მეტი"** სააკაშვილის დროს, ახლა კი **„ოქროს ბარათი"** და **„მეტი ნატოსაქართველოში"**... ყველაფერი, რის გაკეთებაც აშშ-ს საქართველოს ტერიტორიაზე მოეპრიანება, გაკეთდება კიდეც – იმ ფორმატითა და კომპლექტაციით, რომელსაც პოლიტიკური სიტუაციის განვითარება უკარნახებს.

ალექსეი მელნიკოვი: და, თქვენი აზრით, რამდენად მალე შეიძლება საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სრულუფლებიანი წევრობის იმედი ჰქონდეს?

არნო ხიდირბეგიშვილი: ვინმეს შეუძლია ნატოს სრულუფლებიანი წევრების დასახელება?! ისტორიაში როდისმე ნატოს ჯარების სარდალი ყოფილა არაამერიკელი?! სწორედ სარდალი წარმოადგენს საკვანძო ფიგურას, რომელიც ალიანსის სამხედრო შემადგენელს ხელმძღვანელობს, ხოლო ნატოს გენმდივნები საქართველოს პრეზიდენტ მარგველაშვილს წააგავან, რომლებიც მის პოლიტიკურ შემადგენელს ახმოვანებენ.

თუ ოფიციალურ წყაროებს დავეყრდნობით, აშშ-ის პრეზიდენტიცა და გენმდივანი ანდერს ფოგ რასმუსენიც შედარებით ახლო წარსულში აცხადებდნენ, რომ უახლოეს 20 წელიწადში საქართველოს იმედი არ უნდა ჰქონდეს არა მარტო **ნატო**-ს წევრობის, არამედ წევრობის სამოქმედო გეგმის, ე.წ. MAP-ის მიღებისაც. უფრო მკაფიოდ როგორ უნდა განემარტათ?!

და საერთოდ, რაში სჭირდებათ ჩვენი პრობლემები, როცა საქართველოს პოლიტელიტას ერთმანეთში ნამდვილი ქასთინგი აქვს გაჩაღებული თემაზე „ვინ უფრო დიდი ევროატლანტია?". ამიტომ ბაზა – კი, ბატონო, მაგრამ წევრობა – არა!

გადასახადები ძველ სამეგრელოში

ალაგში – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. ე.წ. ალაგის ანუ საკომლო საგლეხო მიწისათვის გადასახადი, განისაზღვრებოდა 10 ლაღა-რიკონი სანთლით.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.26)

ბოჭვერი – მბოჭველი,გადასახადის ამკრეფი,რომელიც საბორკავ ფრინველსა და ოთხფეხს, კვერცხისა და ყველს კრეფდა მებატონისათვის (ამ საქმეს ძირითადად ლეჩხუმელებს ავალებდნენ).

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.66)

დაღიშ ჯარიმა – ცხენის დაღის გადასახადი ძველ სამეგრელოში.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.237)

კალიხინტკი – ერთგვარი საზომი – ხეჭრელის სახაზავი, ნაჭდევებიანი ჩხირი, (გადასახადის აკრეფისას გადამხდელს უტოვებდნენ კალეხინტკის ნახევარს. თუ რამ სადაო გახდებოდა, წაღებულ და დატოვებულ ნაწილებს ერთმანეთს დაუტოლებდნენ და დამთხვევის შემთხვევაში გადამხდელი მართლებოდა).

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.353)

ნათხირი– ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში, ემართა მებეგრე გლეხს ოჩამურის (ბეგარის სახეობა) სანაცვლოდ. განისაზღვრებოდა ორი წვრილფეხა საქონლით, ღორით ან ცხვრით, ორი ქათმით ოჯახის ყოველ წევრზე. უცოლოები და ქვრივები ამ ბეგარისაგან თავისუფლდებოდნენ.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.505)

ნოდობა – ნადობა, ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში, გლეხს ემართა ბატონის ყანაში მუშაობა თოხნისა და ჭირნახულის აღების დროს.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.525)

ობატკური – საბატკნო, გადასახადი ძვ.სამეგრელოში იხდიდნენ ერთი ან ორი ბატკნით, მაისში, გუგულის დაძახებამდე, რადგან ითვლებოდა რომ შემგომ დაბადებული ბატკანი სანაშენოდ არ ვარგა.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.529)

ომესური – სამაისო გადასახადი – მაისშივე, გუგულის დაძახებამდე თიკნით, ითვლებოდა, რომ გუგულის ახიანების შემდეგ დაბადებული თიკანი სანაშენოდ არ ვარგოდა.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.590)

ონგარალი – გამოსაღები იმ შემთხვევისათვის თუ მებატონის ოჯახში ვინმე გარდაიცვლებოდა. იხდიდნენ ლობიოთი, ღომის მარცვლით, ღვინით და სხვა სამარხვო ჭამადით, რომლის ოდენობა გლეხის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. თუ ეს ზამთარში ხდებოდა, გლეხს ეკისრებოდა საკვები სტუმართა ცხენებისა და მეჯინიბეებისათვის.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.539)

ოჩამური – საკვები, „სამასპინძლო“ გადასახადი (გლეხი მოვალე იყო წელიწადში ერთ, ორ ან სამ დღეს ოჯახში მიეღო და გამასპინძლებოდა თავის ბატონს და მის მრავალრიცხოვან ამალას). იგივეა რაც გოჭკომური.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.551)

საგვარმეტიო – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. თუმცირერიცხოვანი გვარი–გვარჭიჭე, რომელიც დამოუკიდებელ გვარად ვერ ცხოვრობდა, შეეკედლებოდა დიდ გვარს გვარმეტს,ამ უკანასკნელს შეეძლო მოეთხოვა საგვარეულო გამოსაღები.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.578)

სადიარო – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. გლეხს ემართა ჯვრისწერისას, განისაზღვრებოდა კომლზე ერთი ძროხით.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.578)

სათანაფო – სააღდგომო გადასახადი ძველ სამეგრელოში. მებატონისათვის მისართმევი ქათამი და კვერცხები.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.580)

სავალი – სავალო გადასახადი, ბეგარა, საურავი.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.578)

საკულუხო – გამოსაღები ვენახზე ძველ სამეგრელოში, სადედოფლო, ბეგარა, იგივე კულუხი, რომელსაც საკუთრივმთვარის მეუღლეს. იხდიდნენ ერთ გორო ხორბლით თითეული კომლიდან ყოველ მეორე წელს.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.580)

საკურძუალო – გადასახადი ძველ სამეგრელოში, გლეხს მებატონის ბაზიერ-მეძებართა შესანახად ემართა ლარის ძაფი, სამი კოთხო ღომის მარცვალი, ერთი კოკა ღვინო და ერთი ციკანი.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.580)

სამაჭარო – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. (განისაზღვრებოდა1-3 კოკა ღვინით, ერთი ბათმანიდან ერთ ქილამდე ღომით (იგივეა რაც სამაჭარბო, სამანჭარო).

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.581)

სამახობო – საპურე გადასახადი ძველ სამეგრელოში. იხდიდნენ ორი კოდი პურით, ერთი ტიკჭორა ღვინით, ერთი ქათმით ან ორი სულუგუნით (ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.581)

საონთხორო – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. (როცა ვინმე მოკვდებოდა მებატონის ოჯახის წევრთაგან, გლეხები იხდიდნენ 1-5 მანეთს).

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.583)

სარქვიო – გადასახადი, ძველ სამეგრელოში, მებატონის ყანაში სავალდებულო სამუშაოს ნაცვლად იხდიდნენ დღეში 10 შაურიდან 4 აბაზამდე.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.585)

საჩექმო – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. ქალის გათხოვებისას გლეხი მებატონეს 10 მანეთს უხდიდა. (ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.588)

სამენძო – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. გლეხს ემართა წელიწადში ერთხელ გამასპინძლებოდა ბატონსა და მის ოჯახს. ა/ქ 581.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.588)

სამოურო – მოურავის შესანახი გადასახადი ძველ სამეგრელოში.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.581)

სამოდო დიხა – მებატონის მიერ ყამირი მიწიდან გამოყოფილ ნაკვეთი, რომლისთვისაც გლეხი მოსავლით იხდიდა ე.წ. სამოდო გადასახადი.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.551)

საური – საერობო გადასახადი სამეგრელოს მთავრისათვის, იხდიდნენ ყოველწლიურად, თითეულ კომლს ემართა 10 შაური. (ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.585)

საქადაქო – ერთგვარი გამოსაღები დადიანთა სამეგრელოში, განისაზღვრებოდა ღორის ტყავის საქალამნე შოლტებით ან ე.წ. ხმელ ბეგარად განკუთვნილი მოზრდილი ღორით, რომლის გატყავება (გოჭისგან განსხვავებით) შეიძლებოდა.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.586)

საქობალო ქობალი – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. პურის ყოველ მოსავალზე ოჯახს ემართა ორი დიდი მრგვალი პური, ერთი ტიკი ღვინო, ორი კბილი სულუგუნი და ერთი ქათამი.

იგივეა რაც საქობალო, სამახებო. (ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.586)

საყანჭობო – აბრეშუმით ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.586)

საყველიერო – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. იხდიდნენ 30 კბილი ყველით (კიპ-ყვალით), 30-40 კვერცხითა და თევზით. (ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი გვ.587)

საციხო – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. დანგრეული ციხეების შესანახად, იხდიდნენ ერთ კოკა ღვინით, ერთი ქილა ღომით ან ხორბლით და ერთი ქათმით. (ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.588)

სახურიე – ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში , იხდიდნენ მებატონის სახლის მშენებლობისას. ა/ქ 590

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.590)

საჯვარმამო – ერთგვარი გამოსაღები სადადიანოში, შესაწირავი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის და ამ მონასტერში მწირავი მამებისათვის (ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.590)

საჯინიბო ჭკიდი – მეჯინიბეთა ერთგვარი გადასახადი ძველ სამეგრელოში. იხდიდნენ მჭადით, ყველით, ხორცით (უპირატესად გოჭით), გადასახადს კრეფდნენ თიბათვისას.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.590)

საუდიერო – გადასახადი ძვ. სამეგრელოში, იხდიდნენ ყოველწლიურად,

განისაზღვრებოდა 1-2 მანათით, ღორით, 10-15 კოკა ღვინით, 1-5 კოდი ღომით და ქათმით.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.585)

ძღვინი – ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში; გლეხს ემართა წელიწადში ორჯერ საშობაოდ და სააღდგომოდ მებატონისათვის მიერთმია ძღვენი, ბატკანი, ციკანი ან ყვერული, ტიკჭორა ღვინო და კვერცხი.

(ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი გვ.693)

ებარი – გადასახადის ამკრეფი. ა/ქ 266

ებარობა – გადასახადის შემოვლით, ერთად აკრეფა. ა/ქ 266

გიმაზირალი –გადასახადის ამკრეფი.

შეადგინა ზურაბ კვარაცხელიამ

პოეზიის კუთხე

დაფნის გვირგვინი ემზარ კვიციანს!

ჯერ კიდევ 1994 წელს მქონდა ბედნიერება, ვწვეოდი დალის ხეობას და ახლოს გავეცანი მის გმირ დამცველებს, ამიტომ ღრმად მწამს: ვინც „მონადირე“ განაიარაღა, მისი სარდალი მტრად გამოაცხადა, ხოლო მისი და – სოხუმიდან ლტოლვილი და სრულიად უდანაშაულო ქალბატონი ნორა კვიციანი დიდი ხნით გამოამწყვდია ციხეში, შებრალების ღირსი არ არის. მით უფრო, რომ დალის ხეობის მტრისთვის მუხანათურად ჩაბარებამ დაგვაკარგვინა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უმნიშვნელოვანესი ბასტიონი, რომელიც ქვეყანას იცავდა ქლუხორის უღელტეხილიდან მოსალოდნელ საშიშროებათაგან.

მე უკვე 80-ს გადავაბიჯე და მართებული არ იქნება, რომ ემზარ კვიციანის წინააღმდეგ გამოტანილი უსამართლო მსჯავრი შიმშილობით გავაპროტესტო, მაგრამ იმას ვერავინ დამიშლის, რომ გრაალის ჭეშმარიტი მცველისა და მისი ნაწამები დის – ნორა კვიციანის მიმართ ჩემი აღტაცება საქვეყნოდ გამოვთქვა და დაფნის გვირგვინებით მათი დადაფვნა მოვითხოვო.

ავტორი

როგორ ვირწმუნო, ხალხო, აბა, მე,
ვინმეს სინდისის ნერვი აქავდეს,
როცა ამირანს ისევ აბამენ
ქედზე, რომელზეც ება აქამდე?
ვერ შევეგუე დღემდე ვერა, ვერ,
ნაცები კვლავაც რომ უბერავენ,
რადგან ჭრიან და ისე კერავენ,
როგორც ჭრიდნენ და
როგორც კერავდნენ.
მათ შეუბღალეს ქალღმერთს სახელი,
დღეს მსჯავრიც მათი მოსამართია,
რადგანაც ზოგი ავის მზრახველი
ბრალმდებელი და მოსამართლეა.
უდღეურობის დგას უდღეობა,–
და მათ განაჩენს, მოდი, ჩავსდიოთ:
„12 წელს გისჯით,
დალის ხეობას
12 წელიწადს რომ იცავდიო!“
დროა, ვიყვიროთ და დავიგრგვინოთ,
მსჯავრს ვინც გვიცხადებს, ვისი კვიცია,
რომ დავუდაფნოთ დაფნის გვირგვინი
გრაალის გმირ მცველს – ემზარ კვიციანს!

ალექსანდრე შენგელია

ელია დო დალიაშე

ელია დო დალიაშე
გურც მიჭუანც ათე რჩქინა –
გაღამც ირო ნტერი ნო ვე,
მითინც ვაკო თიში რინა.
თე ქიანას თაში ოფე,
გლახა ჯგირც დუც უდარენც,
უჩქუნი დო ვაუჩქუნი –
იშენ თქუანც მუდგარენც.
ბონას დღას ვარაგადე,
იშე თინი ვე უაფუ.
ურჩქენჯი რე, გეზიკონდუ,
გირინცალო გი უაფუ.
თეშ გოირე, ისქვამუანც,
ოღრაშობა ათაშუშუ.
ვაუჩქ ბოროს ოდინუანც,
ჟინიერიშ წკონდა შურცუ.
მარა ირ კოჩ იფოთუანც,
თარეფც ირო ონდურუნა.
მესიაკონ რდას ნ ხოლო,
თორსა ლეტას დოფულუნა.
მუშენი რე თაში თენა,
ირო ალმაკილოთანც ,
ღორონთქ სვენა ქიმერჩ -და,
მიშ ვალალა გი ოთანც ?!
პეულ ვარდ ეფალირი,
ბარცხინიაქ ქუმაძღ რკ ,
რაშის ზისხირც უსქირუანც,
მინ ჭანჯი დო მინი გ რდღ .
ელია დო დალიაშე
გურც მიჭუანც ათე რჩქინა,
გაღამც ირო ნტერი ნო ვე,
თაქ ჭყელი რე თიში რინა

ზაალ ჯალაღონია

ბათუმში ანბანის კოშკთან ზღვა გადმოვიდა

ბათუმში ანბანის კოშკთან საფეხმავლო ბილიკებსა და მოპირკეთებულ სასეირნო ტერიტორიაზე ზღვა გადმოვიდა. როგორც მასმედიას აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრის უფროსმა მამუკა თურმანიძემ განუცხადა, შტორმის სიმძლავრე აჭარის სანაპიროებზე 5-დან 6 ბალამდეა. მისივე განმარტებით, მოვარდნილმა ტალღებმა ანბანის კოშკთან არსებული საგუშაგო წაიღო.

გასაკვირი ამაში არაფერია, რადგან ზამთრის სეზონზე შავი ზღვა ყოველთვის დიდ აგრესიას ავლენს სწორედ აჭარისა და ფოთის სანაპიროებზე. ეს უპირველესად სააკაშვილსა და მის ნაციონალურ ბანდას უნდა გაეთვალისწინებინათ, რომლებიც იმდენად მოწადინებულები იყვნენ საქართველოს დედაქალაქის აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში გადატანის დაშნაკური იდეით, რომ ყოველგვარი გეოლოგიური და ჰიდრომეტეოლოგიური დასკვნების გარეშე აწარმოებდნენ დასავლეთ საქართველოში ქალაქებსა და სოფლებში აბსოლუტურად არაფრის მომტანი და უფუნქციო შენობების აგებას. აღარაფერს ვამბობთ ანაკლიის მიდამოებში საკმაოდ დიდი ქალაქის ლაზიკის აგებაზე, რომელშიც სირიის ქალაქ ალეპოდან დევნილი ასიათასობით რეპატრირებული სომეხი უნდა ჩაესახლებინათ. ასევე გაუმზადეს სააკაშვილმა და მისმა ამფსონებმა ბათუმი თურქებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბუნებას თავისი დამოკიდებულება გააჩნია გარემოსადმი, რაც მიუღებელი გახლავთ სხვადასხვა ჯურის მოძალადეებისათვის. მაგრამ უბედურება ის არის, რომ სტიქია ჩვენს ქონებას ანადგურებს...

“ანბანის კოშკთან, ახალ ბულვარსა და ძველი ბულვარის ზოგიერთ მონაკვეთზე ამოვიდა ზღვა, ასევე, ქობულეთში ძლიერმა ტალღებმა სანაპიროზე კედელი დაანგრია. ანბანის კოშკთან არსებული საგუშაგო წაიღო ტალღებმა. გადმოვიდა წყალი მოპირკეთებულ სავალ ნაწილებზე. შტორმის სიმძლავრე 5 ბალია, საშტორმო ადგილებში 6 ბალს აღწევს”, – აღნიშნა მამუკა თურმანიძემ.

მისივე თქმით, ზღვის ღელვამ იახტკლუბში რამდენიმე გემი ადგილიდან მოწყვიტა, თუმცა, სამაშველო სამსახურის მაშველებმა გემების დამაგრება შეძლეს.

ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს, ზღვარს იქით ყველაფერი შეუქცევადი ხდება

„არასოდეს ილაპარაკო ყველაფერზე ხმამაღლა, მაგრამ ყოველთვის გქონდეს გონებაში“
ლეონ გამბეტი

ყველასთვის ცნობილია, რომ მართვის ხელოვნება უძველესი დარგია, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში დაიხვეწა და ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მართვის და განვითარების ინსტრუმენტად; – ეს კი თანამდებობის მაძიებელ პიროვნებას უყენებს მოთხოვნებს – ნიჭისა, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ფლობის და, რა თქმა უნდა, საზოგადოების სიყვარულის.

ნიჭი თანდაყოლილი ბედნიერებაა, რომელიც ყველას არ გააჩნია, მაგრამ სურვილი თანამდებობის დაკავებისა ყველას აქვს. ხელმძღვანელს (პირველ პირს) უნდა შეეძლოს პიროვნების ამოცნობა – შეძლებს თუ არა პიროვნება დაკავებულ თანამდებობაზე სახელმწიფო მოთხოვნების საფუძველზე მის შესრულებას. ხელმძღვანელმა თუ აქ შეცდომა დაუშვა და პიროვნების ნიჭი და უნარი ვერ შეაფასა, – იწყება კადრების დანაგვიანება, ამის მაგალითია დღევანდელ საქართველოში შექმნილი სავალალო მდგომარეობა. როგორ დამთავრდება კაცმა არ იცის. უცოდინართა ხროვამ წალეკა საქართველო.

ხელმძღვანელს, ბუნებრივ ნიჭთან და პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად უნდა ჰქონდეს: ინტელექტი, ადამიანის სიყვარული, რომელიც მას მიზანმიმართული შრომით პროფესიონალ პიროვნებად ჩამოაყალიბებს. ეს მონაცემები თუ არ გააჩნია პიროვნება პროფესიონალ ხელმძღვანელად ვერ ჩამოყალიბდება და იგი გადაიქცევა მორბენალ ხელმძღვანელად. ასეთი მორბენალი პირები თუ მრავალია სახელმწიფო მართვის იერარქიაში, აუცილებლად უარყოფითად აისახება საზოგადოებრივ ცნობიერებაზედ. ეს კი იწვევს გაუთვალისწინებელ მოვლენებს, რაც უმრავლეს შემთხვევაში კრახით მთავრდება. თუ ამ კუთხით შევხედავთ დღევანდელ საქართველოს, – მთავრობის ნდობის ხარისხი დაბალია, შესუსტდა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების პატრიოტული მუხტი, რაც **„ნაციონალების“** წისქვილზე ასხამს წყალს. როცა სახელმწიფოს მომავლის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მაშინ დემოკრატიობანას თამაში დანაშაულის ტოლფასია, რასაც ქართველი ხალხის მტერი **„ნაციონალები“** კარგად იყენებენ. ეს ის ხალხია, რომელიც 9 წელიწადის განმავლობაში ყოველდღე ღვრიდნენ ქართველი ხალხის სისხლს. ჩვენ კი მათ შესანიშნავი პირობები შეუქმენით. რომ ენერგია მოიკრიბონ და განაგრძონ ბრძოლა დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგ, რისი მაგალითიც, 15 ნოემბერს გამართული **„ნაციონალების“** ზარზეიმი იყო;

ეს ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება მსჯელობს და ფიქრობს ისეთ აქტუალურ საკითხზე, როგორიც არის მაღალი რანგის თანამდებობის პირის – თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ალასანიას გარშემო შექმნილი მდგომარეობა. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია ბატ. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მთავრობასთან შეუთანხმებელ განცხადებებს აკეთებდა ისეთ საკითხებზე, რომელსაც შეეძლო პრობლემები შეექმნა სახელმწიფოსთვის. ასეთი საქციელისათვის ბატ. ალასანია ადრე უნდა გაენთავისუფლებია თანამდებობიდან ბატ. ირაკლი ღარიბაშვილს. რადგან იგი მიზანმიმართულად აკეთებდა რუსეთის გამაღიზიანებელ განცხადებებს, რაზედაც რუსეთი ადეკვატური ქმედებებით გვპასუხობდა. მაგ. ალასანიამ განაცხადა და თხოვნით მიმართა ნატოს, რომ საქართველოში დაედგათ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა – ნატოს სარაკეტო სისტემა. (შემდგომში გაირკვა, რომ ნატოს ეს სისტემა არ აქვს), სირიის ბოევიკების მომზადება, ან ნატოს საწვრთნელო ბაზების მოწყობა. ყველა ეს განცხადება დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოს საწინააღმდეგოა. თუ ეს ალასანიამ არ იცის, მაშინ ის ბატ. ბიძინა ივანიშვილს არ უნდა დათანხმებოდა ასე მაღალ და პასუხსაგებ თანამდებობაზე. როგორც ჩანს ალასანია სუსტი ხელმძღვანელია და ამიტომაც მისმა მაღალჩინოსანმა თანამშრომლებმა **„მიაშურეს“** ციხის კარებს. სამარცხვინო ის იქნება, რომ ალასანიაც არ იყოს ამ საქმეში გარეული.

ალასანიას უაზრო განცხადებებმა დააზარალა საქართველოს რუსეთთან მეზობლური ურთიერთობის აღდგენის საკითხი. როდესაც კარასინის და აბაშიძის შეხვედრა რაღაც მცირე დადებითი შედეგის მომტანი გახდებოდა, ალასანია იმ წუთში ამერიკის საამებლად აკეთებდა გაუთვლელ განცხადებებს. ეს კი რუსეთს აღიზიანებდა და დებულობდა ადეკვატურ ზომებს, – ზიანდებოდა ქართველი და აფხაზი ხალხის მომავალი, რაც ბატ. ალასანიამ კარგად იცოდა. რუსეთმა თითქმის თავის გავლენის ქვეშ მოაქცია აფხაზეთი და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა აფხაზეთის დაბრუნების საკითხი.

ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთ **„საქართველო და მსოფლიო“**-მ გამოაქვეყნა უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკის ბატ. ალექსანდრე ტოლსტოის წერილი სათაურით **„ვინ წამოიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი და რატომ არავინ აგო პასუხი მის შედეგებზე“**. ამ მნიშვნელოვანი წერილით არავინ არ დაინტერესებულა. ბატონი ალექსანდრე უშიშროების ღვაწლმოსილი მუშაკია და პროფესიიდან გამომდინარე შეუმოწმებელ და გაუაზრებელ სიტყვებს არ იტყვის, – ყოველ სიტყვას მაღალი პასუხისმგებლობით პირადი კონტროლით ამბობს. მრავალი საკითხიდან, რაც ამ წერილშია მოცემული შევეხები ერთ საკითხს, რომელიც შეეხება ბატ. ირაკლი ალასანიას, რომელიც 2008 წლის აგვისტოში როგორც საქართველოს წარმომადგენელი მუშაობდა გაეროში.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია – ჰეიდი ტალიავინის 2008 წლის აგვისტოს მოვლენების საგამომძიებლო დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ ბომბი პირველად ქართველებმა ისროლეს და ეს მოხდა 2008 წლის 7 აგვისტოს 22 საათზე და 45 წუთზე. საყურადღებოა რას წერს – იმ დროისათვის სასაზღვრო ჯარების სარდალი, 2008 წლის 8 აგვისტოს მოვლენების უშუალო მონაწილე ბატ. ბადრი ბიწაძე – **„როგორც კი ჩვენმა არტილერიამ დაიწყო ცხინვალის დაბომბვა, მაშინვე დავხედე საათს და იყო ზუსტად ღამის 22 საათის და 45 წუთი! ეს მარტო მე კი არ მინახავს, ამას უყურებდა 250 კაცი და ცხინვალის დაბომბვა მთელი ღამით არ შეწყვეტილა... (მთელი ღამით ბომბებს უშენდნენ საკუთარ ხალხს. ლ. ბ.) როცა ჩვენებმა ცხინვალის დაბომბვა დაიწყეს ამ დროს რუსები არანაირად არ იყვნენ შემოსული ცხინვალში. მე ჩავაყენე საქმის კურსში ჩემი უშუალო ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი და გადავეცი უტყუარი ინფორმაცია, რომ რუსები არ იყვნენ ცხინვალში შემოსული. – და იცით რა მითხრა მერაბიშვილმა – სწორედ რუსების ცხინვალში შემოსვლას დავასწროთ, და დაიწყო ცხინვალის დაბომბვა“** (გაზ. **„ასავალ-დასავალი“** №42 19-25 ოქტომბერი 2009 წელი). ეს ხდება 2008 წლის 7 აგვისტოს ღამის 22 საათსა და 45 წუთზე. ამ დროს უკვე ამერიკაში დილა არის. გაეროში მივიდა თუ არა ინფორმაცია ცხინვალის დაბომბვის შესახებ, რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა იმ წუთში მოითხოვა უშიშროების საბჭოს შეკრება და მოითხოვა სამაჩაბლოში (სამხრეთ ოსეთად წოდებული) კერძოდ ცხინვალში ცეცხლის შეწყვეტა, მაგრამ სხდომა არ შედგა, რადგან ევროპის ქვეყნების უშიშროების საბჭოს წევრებმა სარწმუნოდ არ მიიღეს დილის ინფორმაცია. რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც ყველაფერი ცნობილი გახდა რუსეთის წარმომადგენელმა გაეროს უშიშროების საბჭოში – განმეორებით მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების შეკრება, – სხდომა შედგა, კენჭი ეყარა ცხინვალში ცეცხლის შეწყვეტას, ევროპის ქვეყნების (საითკენაც ჩვენ კისრის ტეხვით მივდივართ) უშიშროების საბჭოს წევრებმა მხარი არ დაუჭირა ცხინვალში ცეცხლის შეწყვეტას. მათ რიცხვში იყო ბატონი ირაკლი ალასანია. **„...რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, დასავლეთის ქვეყნების უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან ერთად მხარი არ დაუჭირა საქართველოს წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ“** (გაზ. **„საქართველო და მსოფლიო“** №29 6-12 აგვისტო 2014 წ.) როგორც მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, – ომი რუსეთმა დაიწყო და ჩვენ მოვიგეთო და ტაშფანდურა გაემართა რუსთაველის პროსპექტზე. ამ დროს ჩვენი დახოცილი ბიჭები უპატრონოდ იყო მიტოვებული ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე. მადლობა მის უწმინდესობას ილია მეორეს, რომელმაც თავის თავზე აიღო მძიმე ქრისტიანული მოვალეობა და დახოცილი ბიჭები გამოიყვანა ბრძოლის ველიდან. სააკაშვილს როგორც მთავარსარდალს და მის ხროვას ამისთვის არ ეცალათ,. თქვენ კი ბატონო ირაკლი ალასანია ამ დროს მხარს არ უჭერდით ცხინვალში ცეცხლის შეწყვეტას. რა გამოძრავებდათ და რას ფიქრობდით ბატ. ირაკლი ამ დროს? – თქვენ გულახდილად უნდა უპასუხოთ ქვემოთ დასმულ კითხვებს! **„სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს“** (ბალკაზი), თქვენ კი საკუთარ სინდისთან და ქართველ ხალხთან მართალი იქნებით.

ბატ. ირაკლი ალასანია თქვენ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს იყავით გაეროში საქართველოს წარმომადგენელი!

იცოდი თუ არა, რომ სამაჩაბლოში – კერძოდ ცხინვალში ომს იწყებდა ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ამ საკითხებზე გქონდათ თუ არა მასთან საუბარი?

2008 წლის 8 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ყოფნის დროს იცოდი თუ არა ვინ დაიწყო ომი ცხინვალში? – სამთავრობო ინფორმაციით ომი დაიწყო რუსებმა. როგორც საქართველოს წარმომადგენელს ეს ინფორმაცია თქვენც გექნებოდათ. თუ რუსებმა დაიწყეს ომი, რატომ არ დაუჭირეთ მხარი კენჭის ყრის დროს ცხინვალში ცეცხლის შეწყვეტას? – დასმული კითხვები დიდ ეჭვებს ბადებს, რასაც პასუხი უნდა გაეცეს!

ბატ. ირაკლი, გქონდათ თუ არა გაცნობიერებული ის უდიდესი ნდობა ქვეყნისა და ხალხის მიერ, რომელიც მათმა მოგცეს ნდობის მანდატი – ყოფილიყავი გაეროს უმაღლეს ორგანოში მათი დამცველი! – ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან მტკიცდება – სისხლი იღვრებოდა თქვენ კი ხელისშემწყობის როლი ითამაშეთ! – კარგად უნდა გცოდნოდათ, რომ **„სისხლი წყალი არ არის და ის ტყუილად არ უნდა დაიღვაროს“** (ს. კრემლიოვი). თქვენ ამ სისხლისღვრის შეჩერებას ცხინვალში, მხარი არ დაუჭირეთ – რომლისთვისაც რუსი ეროვნების კაცი – ვიტალი ჩურკინი იბრძოდა – ეს კი სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

როგორც ცნობილია ამერიკელებისათვის მიხეილ სააკაშვილი უკონტროლო გახდა და აღარ აწყობდა. მის შემცვლელად – პრეზიდენტის სკამის მაძიებლად 2008 წლის აგვისტოს შემდეგ თქვენ მოგვევლინეთ. **„დემოკრატიის შუქურა“** თანდათან ბნელდებოდა. ამ დროს პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა პოლიტიკაში უცხო პიროვნება ბატ. ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც მკვდარი პარტიები გააცოცხლა. ეს მდგომარეობა თქვენზე ბატ. ალასანია ზედგამოჭრილი იყო. შეიქმნა კოალიცია, რომლის აქტიური წევრი გახდით, თქვენმა ცოლისდამაც – მაია ფანჯიკიძემ იქ მოიკალათა და სიძე-ცოლისდამ ერთად მხარდამხარ დაიწყეთ ბრძოლა პრეზიდენტის სკამისთვის. საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ ივანიშვილის მთავრობაში თქვენთვის პრეზიდენტის სკამი გარანტირებული იყო. მაგრამ აქაც იჩინა თავი გაუაზრებელმა განცხადებებმა, რამაც ხელი შეუწყო გ. მარგველაშვილის გაპრეზინდეტებას. მაგრამ არც თქვენ დაუჩაგრიხართ – ვიცე პრემიერისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები გიბოძეს, ხოლო ცოლის დას მაია ფანჯიკიძეს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შეხვდა. ალასანიას მიერ აქაც იჩინა თავი უსაფუძვლო განცხადებებმა და ვიცე-პრემიერობიდან გაათავისუფლეს. ალასანიას ხელში შერჩა თავდაცვის მინისტრობა, როგორი თავდაცვის მინისტრიც იყო უკვე სახეზეა, – მისმა ყოფილმა თანამშრომლებმა დაამტკიცეს; – რომლებიც დღეს პატიმრობაში არიან და ოთხ მილიონზე მეტი თანხის გაფლანგვას ედავებიან. საზოგადოებამ კარგად იცის ამხელა თანხები პირველი პირის კონტროლის გარეშე არ იხარჯება. ამიტომ საზოგადოება დამშვიდებული შეხვდა ი. ალასანიას განთავისუფლებას თავდაცვის მინისტრობიდან. შეშფოთება გამოიწვია საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ბირთვის კოლექტიურმა დემარშმა, რომელმაც გააჩინა კითხვა ჯგუფი, რომელიც მაია ფანჯიკიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა ალასანიაზე, – კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, – ალასანია გაათავისუფლეს თავდაცვის მინისტრობიდან მათი ადგილი მთავრობაში აღარ იყო. მათმა სახელმწიფო აზროვნების უცოდინრობა გამოამჟღავდეს. პიროვნებას ანაცვალეს სამშობლო. მაგრამ მოხდა საოცრება, დემარშით წასული პიროვნებებიდან ერთ-ერთი ბერუჩაშვილი დააბრუნეს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ეს იყო პრემიერ მინისტრის ბატ. ირაკლი ღარიბაშვილის მორიგი შეცდომა. თუ ჩვენმა მთავრობამ ასეთი შეცდომებით იარა გადააბიჯებს იმ ზღვარს, როდესაც პროცესები შეუქცევადი იქნება. ბერუჩაშვილი არც ინდირა განდია და არც ტეტჩერი. იგი არის იმ დაჯგუფების წევრი, რომლის ხელმძღვანელიც იყო მაია ფანჯიკიძე, რომელიც პრეზიდენტის – გ. მარგველაშვილის გვარს და სახელს ყოველთვის ჩრდილქვეშ აყენებდა და ღიად საუბრობდა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის პირად თუ სახელმწიფო საკითხების უთანხმოებაზე. ეს კი სამთავრობო სამზარეულოს საკითხებია, რომელიც საჯარო განხილვის საგანი არ ხდება. მას არცერთი სადად მოაზროვნე მთავრობის თანამშრომელი გარეთ არ გამოიტანს.

სახელმწიფო კურსს, რომელსაც ჩვენ ვადგავართ ხალხის არჩევანი არ არის. მოდის წინა ხელისუფლებიდან და აგრძელებს დღევანდელიც. ეს არჩევანი ეკუთვნის ვიწრო სამთავრობო ჯგუფს, რომლებსაც სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი არ გააჩნიათ და ერის მამებად წარმოუდგენიათ თავი. ერი რომელიც – მაია ფანჯიკიძეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩააბარებს, ირაკლი ალასანიას თავდაცვის სამინისტროს, ხოლო ალექსი პეტრიაშვილს ინტეგრაციის სამინისტროს, რა თქმა უნდა, მომავალი არ აქვს. მათი გონებრივი აზროვნება ვერ გაწვდა იმის მეტს, რაც გამოავლინეს – პიროვნებას ანაცვალეს სამშობლო.

მადლობა იმ პატარა ქალბატონს, რომელსაც მე ხმა მივეცი – თეა წულუკიანს, რომელმაც გამოავლინა მაღალი სახელმწიფოებრივი აზროვნება – დადგა იქ სადაც უნდა იდგეს სამშობლოზე შეყვარებული ადამიანი.

წინ მძიმე პერიოდი გველოდება, რომელიც ქართველებმა ერთად დგომით უნდა გადავიტანოთ. პიროვნებაზე სამშობლო არ უნდა გავცვალოთ. სამშობლო ერთია ქვეყანაზე, პიროვნება კი მრავალი!.

ლეონტი ბიწაძე,
ინჟინერ-ეკონომისტი

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ

აკად. გ.მელიქიშვილმა დიდი ბაკური თრდატ რევის ძედ გამოაცხადა და მისი ზეობის პერიოდი IV ს-ის 80-იან – 90-იანი წლებით განსაზღვრა (65:170). ლ.ნ.ჯანაშია, რომელიც გამორიცხავდა ბაკურ იბერიელისა და დიდი ბაკურის იგივეობის შესაძლებლობას, ბაკურ თრდატის ძის ზეობის ხანას გ.მელიქიშვილის მსგავსად ათარიღებდა (108:92-93 და 109:144 შენ. 63). ა.ბოგვერაძე ფიქრობდა, რომ დიდი ბაკური და ბაკურ იბერიელი განსხვავებულია; კერძოდ, პირველი არის იგივე მეფე ბაკურ თრდატის ძე, რომელსაც ტახტი ეჭირა 400-იანი წლების ბოლოდან 410-იანი წლების მიწურულამდე. რაც შეეხება ბაკურ იბერიელს, ის აღნიშნულ მეცნიერს მეფედ არ მიაჩნდა და თვლიდა, რომ შინაგანად ის არც იმდენად ღრმა ქრისტიანი იყო. ზოსიმეს ცნობაზე დაყრდნობით, ბაკურ იბერიელის დაღუპვას ა.ბოგვერაძე 394 წლისათვის ვარაუდობდა (10:25-2; 13:61, 64-65, 68, 71-72). წყაროთმცოდნე მ. ჩხარტიშვილმა, რომელსაც ეკუთვნის მეცნიერთა შორის ჩვენთვის საინტერესო პიროვნების ისტორიული პორტრეტის წარმოჩენის ერთ-ერთი უკანასკნელი ცდა, დიდი ბაკური გაუიგივა ქართული წერილობითი წყაროების ბაკურ რევის ძეს, ხოლო ბაკურ იბერიელი ბაკურ თრდატის ძეს. მისი აზრით, ეს უკანასკნელი ქართლში დაახლოებით 402-416 წლების პერიოდში მეფობდა (91:166; 92:35-44; 93:19-24, 29).

აი, ზოგადად ასეთი გახლავთ მოცემული საკითხის ისტორიოგრაფია. შემდგომში გზადაგზა ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდებით იმ თვალსაზრისის მართებულობაში, რომ დიდი ბაკურისა და ბერძნულრომაული წყაროების ბაკურ იბერიელის პიროვნებები ერთმანეთისაგან განსასხვავებელი არ არიან, რომ იმავე პირზეა საუბარი კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თხზულებებში, აგრეთვე, **«მოქცევაი ქართლისაის»** ისტორიულ ქრონიკაშიც ბაკურ თრდატის ძის შემთხვევაში.

ᲗᲐᲕᲘ I

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

«ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი, და თესლი წრფელთა იკურთხოს»
ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲘ – 111,2

დიდი ბაკურის გენეალოგიის სრული სურათის წარმოდგენა, სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე არ ხერხდება. თუმცა, გარკვეულ ინფორმაციას ამ საკითხზე გვაწვდიან როგორც ქართული, ისე უცხოური წერილობითი წყაროები. საკითხის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ეს ცნობები ყოველთვის არ მოდიან ერთმანეთთან უნისონში. სხვასთან ერთად ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მკვლევარები ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებულად წარმოადგენენ ხოლმე IV-V სს.-ის პერიოდის ქართლის მეფეთა გენეალოგიურ სქემებს, მათი მიდევნებით კი – ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიასაც.

ქართული წყაროებიდან, როგორც უკვე ითქვა, ერთადერთი **«მოქცევაი ქართლისაის»** მატიანეა, სადაც დიდი ბაკურის შესატყვისი – ბაკურ თრდატის ძეა ნახსენები. **«ქართლის ცხოვრებაში»** ეს მეფე საერთოდ გამოტოვებულია, თუმცა **«მოქცევაი ქართლისაის»** ცნობები მის შესახებ აქ მაინც გამოყენებულია, ოღონდ მათში აღწერილი მოვლენები გადატანილია ბაკურის წინამორბედ ან მომდევნო მეფეთა ზეობის ხანაში. თუ **«ქართლის ცხოვრების»** ცნობებს ვენდობით, მირიან მეფიდან მოყოლებული ქართლის სამეფო გვარეულობა ორ ძირითად განშტოებად დაყოფილა მეფისწულების – რევის და ბაქარის (ბაკურის) სახლეულობის მიხედვით. უნდა შეენიშნოთ, რომ დასახელებულ ქართულ წერილობით წყაროებს ამ მონაკვეთში გარკვეული აღრეულობის დადი ეზიო. მაგალითად, თუკი **«ქართლის ცხოვრებაში»** რევი და ბაქარი ორთავენი მირიანის ვაჟიშვილებად ცხადდებიან, ანუ ისინი ძმები არიან, **«მოქცევაი ქართლისაის»** მატიანეში მირიანის ვაჟია მხოლოდ რევი, ხოლო ბაქარი (ბაკური), ისევე როგორც თრდატი, რევის ძედ არის დასახელებული, ე.ი. ამ შემთხვევაში ძმებად უკვე ბაკური და თრდატი გვევლინებიან, მირიანი კი მათ წინაპრად მოიაზრება. ყურადღებას იპყრობს ის უცნაური ფაქტიც, რომ **«მოქცევაისეული» «ბაკური» «ქართლის ცხოვრებაში» «ბაქარ»**-ად (აგრეთვე, **«ვარაზ-ბაკური» «ვარაზ-ბაქარ»**-ად) მოიხსენიება; და ეს იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელ წყაროში სხვაგან იგივე **«ბაკურ»**-სახელი შეუცვლელად არის დამოწმებული!

შესაძლოა, ამ აღრეულობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყოს, რომ ჩვენი წყაროების ამ ადგილას პირთა მსგავსი (თუ საერთოდ ერთიდაიგივე არა!) სახელების ძლიერი კონცენტრაცია შეინიშნება. კერძოდ, **«მოქცევაი ქართლისაის»** მატიანედან ჩანს, რომ **«მირეან»**-სახელის ერთ-ერთი და საფიქრებელია, რომ ამოსავალი, საწყისი ფორმა **«მირვან»**-ია. ქართლის წარმართ მეფეთა შორის **«ქართლის ცხოვრება»** ორ **«მირვანს»** იცნობს, რომელთაგან ერთ-ერთს **«მოქცევაი ქართლისაის»** შატბერდულ ნუსხაში სწორედ **«მირეანი»** შეესატყვისება. საგულისხმოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი **«მირვანს»** ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის საწყის სახელად აცხადებდა: **«ხოლო გამეფდა მირვან, რომელსა უწოდეს მირიან»**-იო, წერს იგი ერთგან (30:71). **«ქართლის ცხოვრებაში»** მირიანის სპარსელ მამამძუძესაც ფაქტიურად იგივე სახელი ჰქვია, ოღონდ ბერძნული დაბოლოებით: **«მირვან-ოზ»** (< მირვანოს). ასევე თავდაპირველი «მირვან»-სახელის ნაშთი ჩანს თავისთავად დამოუკიდებელი სპარსული სახელი «რევ»-იც (ნიშნავს **«ცრუს»**): [მი]რვ[ან] > [...]რვ[...] > რ(ე)ვ, რის შესახებაც ჩვენ ადრე უკვე გვქონდა აღნიშნული ერთ-ერთ წერილში. იქვე ვასაბუთებდით იმასაც, რომ პირველი ხუთი ქრისტიანი მეფის სახელი ქართულ წყაროებში შეცდომით უკანასკნელ ხუთ წარმართ მეფედ (=რევ მართალი, ვაჩე, ბაკურ, მირდატ, ასფაგურ) არის გამოცხადებული და რომ იქ ნახსენები **«რევ მართალი»** (< *მირვან მართალი > მირეან/მირიან) რეალურად ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს – მირიანს შეესატყვისება. ამასთანავე, ქართლის **«მეფეთა სიის»** აღნიშნულ ნატყუარ ფრაგმენტში, რომელიც ძლიერ შერყვნილი და დაზიანებული ჩანს, ვარაზ-ბაკურის ნაცვლად სახელის ის ფორმაა მოცემული, რომელსაც ამიანე არცელინე ასახელებს: **«ასფაგური»**. ეს ფრაგმენტი საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ რევ (=მირვან/მირეან/მირიან) **«მართალსა»** და ბაკურს შორის იქ დასახელებულია კიდევ ერთი ხელისუფალი სახელით **«ვაჩე»**, რომელიც მანამდე უკვე დაზიანებული **«მირვან»**-სახელის თავნაკლული და შემდეგ გრაფიკულ ნიადაგზე შერყვნილი ნაშთია (როდესაც **«/.../ვან»**-ის შემადგენელმა ასომთავრულმა **«ნ»**-არმა მოგვცა «ჩ»-ინი) და ტექსტის რომელიღაც გადამწერის მიერ მოგვიანებით დამოუკიდებელ სახელად არის გააზრებული: მირვან > [მირ]ვან > [...]ვან > [...]ვაჩ > ვაჩ(ე) (განსხვავებული მოსაზრებისათვის ამ საკითხზე იხ. 81:137 და შმდ.). ამრიგად, ერთმანეთის მიდევნებით ტახტზე მსხდარან სეხნია მამა-შვილი, ანუ **«მირვან»**-ად წოდებული ორი სხვადასხვა მეფე. პირველი შეიძლება ქართული წყაროების მირიანთან, ანუ ქართლის მოქცევის თანადროულ მეფესთან გაიგივდეს, მეორე კი, თითქოს ის მერიბანეს-ი, ანუ **«მერიბანი»** (ხომ აშკარად «მირვანია»?! – ბ.ხ.) ჩანს, რომელსაც 361 წელს ქართლის მეფედ ასახელებს რომაელი ავტორი ამიანე მარცელინე (იხ. 100:25-29). მამა-შვილს რომ იდენტური სახელები შეიძლება ჰრქმეოდათ, ეს ჩანს თუნდაც იქედან, რომ პეტრე იბერის პაპასა (მამის ხაზით) და მამას, ორთავეს სახელად **«ბუზმირი»** ეწოდებოდა. გრაფიკულ ნიადაგზე მექანიკურ დაზიანებასთან ერთად პირთა იდენტური სახელების ერთი მეორის მიყოლებით წყაროში დასახელებით გამოწვეული უხერხულობის (როდესაც სეხნია მეფეები შეიძლებოდა ერთმანეთში არეოდათ) თავიდან აცილების სურვილსაც შეეძლო მოეცა ხელნაწერებში **«მირვან»**-სახელის ზემოხსენებული განსხვავებული დაწერილობანი. თუ წარმოდგენილ

თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ რევი და ბაკური პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის ვაჟები იყვნენ. რაკიღა 361 წელს ტახტი მერიბანს (=მირვანს), ანუ იგივე ჩვენი საისტორიო წყაროების **«რევ მირეანის (მირიანის) ძეს»** სჭერია, უნდა ვიფიქროთ, რომ ბაკურ მირიანის ძეს ის (ე.ი. სამეფო ტახტი) მის შემდგომ ეპყრა. სხვათა შორის, რევ მირიანის ძეს **«ქართლის ცხოვრება»** მამამისის თანამოსაყდრედ (???), ანუ მეფედ აცხადებს, რომელიც თითქოს მირიანის სიცოცხლეშივე, მაგრამ მაინც და მაინც **«მასვე წელიწადსა»** გარდაცვლილა, რა დროსაც თვითონ მირიანი (როგორც ჩანს, აქ მემატიანემ მის ხელთ არსებული სხვადასხვა ვერსიების საფუძველზე განასხვავა შეცდომით ერთიდაიგივე პიროვნების სახელები, ხოლო თვითონ ფაქტი, როგორც ასეთი, საკუთარი სუბიექტური შეხედულებისამებრ განმარტა – ბ.ხ.), **«მოქცევაი ქართლისაის»** მატიანეში კი, მირიან მეფისა და ნანა დედოფლის გარდაცვალების ფაქტების აღნიშვნის შემდეგ ჯერ ბაკურის გამეფებაზეა საუბარი და შემდეგ უკვე რევის მიერ მცხეთის პატიოსანი ჯვრისათვის საფარის აშენებაზე. ამ ადგილზე **«მოქცევაი ქართლისაის»** ტექსტს აშკარად ეტყობა აღრეულობა და ჭირს კიდეც იმის გარკვევა, ვის ძმად გულისხმობს მემატიანე სინამდვილეში მომდევნო მეფე თრდატს – რევის თუ ბაკურის?

აბსოლუტური სიზუსტით ვერც იმას ვადგენთ, თუ რომელი **«რევის»** ძე იყო სინამდვილეში თრდატი, ქართლის პირველი ქრისტიანი ხელმწიფის – რევ/**»მირიანის» თუ მისი ვაჟის – რევ/»მერიბანისა»**. სხვათა შორის, ჩვენს გარდა მკვლევარი მ.სანაძეც აღნიშნავს იმ უცნაურ ფაქტს, რომ **«ქართლის ცხოვრებაში»** ერთმანეთშია არეული რევ მართლისა და მირიანის ბიოგრაფიის ფაქტები, რომ იქ შერწყმულია დასახელებულ პირთა **«ცხოვრების»** ინფორმაცია და ა.შ. (იხ. 81:145, 147-148). ამ კაზუსის სარწმუნოდ ახსნა შეიძლება მხოლოდ იმ თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში, რომ ქართული საისტორიო წყაროების რევ მართალი და მირიანი (მირეანი) რეალურად ერთიდაიმავე პერსონას, ჩვენთვის კარგად ცნობილ ქართლის პირველ ქრისტიან ხელმწიფეს განასახიერებენ.

ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებული მასალა ფაქტიურად არ იძლევა ზედმიწევნით სანდო სურათის დახატვის საშუალებას და აქედან გამომდინარე, ჩვენი შემდგომი მსჯელობაც რომ მარჩიელობას არ დაემსგავსოს, დავჯერდებით ქართული წყაროების ერთხმოვან მითითებას იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე თრდატი იყო რევის, ანუ როგორც ჩვენ ვფიქრობთ, იმ **«მერიბანის»** (მირვანის) ვაჟიშვილი, ვისაც ამიანე მარცელინე 361 წელს იმპერატორ კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) მიერ უხვად დასაჩუქრებულ იბერიის მეფედ ასახელებს. სამეცნიერო ლიტერატურაში სადღეისოდ მიღებული აზრის თანახმად, თრდატ რევის ძე არის იგივე ამიანე მარცელინესთან 368/69 წწ.-ის მოვლენებთან დაკავშირებით ნახსენები **«სავრომაკი»**, ანუ საურმაგი. ძნელი სათქმელია, რად სხვაობს ამ შემთხვევაში ხსენებული პირის სახელები ერთმანეთისაგან. **«ქართლის ცხოვრება»** სახელ **«თრდატს»** უკავშირებს სომხეთის პირველ ქრისტიან მეფეს – თრდატ (ტირიდატ) არშაკუნს, რომელიც თითქოს მისი ღვიძლი პაპა ყოფილა დედის (სალომე **«უჯარმელის»**) ხაზით. თუ ეს ინფორმაცია მცდარი არ არის, მაშინ სავსებით ბუნებრივად გამოიყურება თრდატ რევის ძის მხრიდან სომხეთის პირველ ქრისტიან მეფესთან სეხნიობის ფაქტიც. მაგრამ არც იმ შესაძლებლობის გამორიცხვა შეიძლება მთლიანად, რომ რევის ვაჟიშვილის ქართულ წყაროებში წარმოდგენილი სახელი თავდაპირველი ანთროპონიმის – «მითრდატ»-ის (მიჰრდატ/მირდატ) ნაშთი იყოს, რომელიც ქართლის მეფეთა ონომასტიკონში ძველთაგანვე ფრიად პოპულარული და იმ ზომამდე ხშირად ხმარებული გახლდათ, რომ აკად. გ.მელიქიშვილს ის საერთოდაც ადგილობრივ მეფეთა ერთგვარ საგარეო სადინასტიო სახელად ეჩვენებოდა, რომლის ქვეშაც ამა თუ იმ მეფის სხვა, ალბათ, საშინაო სახელი იმალებოდა (66:56). ჩვენს შემთხვევაში ასეთ სახელად **«საურმაგი»** მოჩანს, რომლის რეალურობაში ძნელია ეჭვის შეტანა იქედან გამომდინარე, რომ ქართული საისტორიო ტრადიცია ასეთ სახელს ადგილობრივ წარმართ მეფეთა რიგებშიც იცნობს და ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ქართველ დიდებულთა შორისაც იხსენიება ამ სახელის მატარებელი ორი პიროვნება: საურმაგ სპასპეტი და საურმაგ ეჯიბი. **«მეფეთა სიის»** ე.წ. **«რევ მართლის ფრაგმენტში»** ასფაგურის წინ ქართლის მეფედ მირდატია დასახელებული, რომელიც უნდა იყოს კიდეც იგივე თრდატ რევის ძე, ანუ საურმაგი; მაშასადამე, თრდატი იგივე **«მითრდატია»** და ამ აზრს ვერ გააბათილებს **«ქართლის ცხოვრებაში»** წარმოდგენილი ის სურათი, რომლის თანახმად მირდატი თითქოს სხვაა და თრდატი კიდევ სხვა პიროვნება. ეს სხვაობა წყაროში მემატიანის ხელთ არსებული სხვადასხვა ვერსიების ურთიერთშეჯერების ნიადაგზე ჩანს გაჩენილი. ვფიქრობთ, ზედმეტი უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ მირიანის წინ დასახელებული ხუთი **«წარმართი»** მეფის ვინაობის გარკვევის შემდეგ აღარავითარ ნდობას არ უნდა იწვევდეს **«ქართლის ცხოვრების»** ის ცნობებიც, რომლებიც ამ პირთა ზეობისას მომხდარ ამბებზე მოგვითხრობენ. ყოველ შემთხვევაში, ამ ცნობების გამოყენება III ს-ის II ნახევრის ისტორიულ ვითარების წარმოსადგენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზანშეწონილად არ გვესახება.

მართალია, **«ქართლის ცხოვრების»** ცნობები ყოველთვის შეიძლება არ იმსახურებდნენ ჩვენს ნდობას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ რევ მირიანის ძისა და მისი სახლეულობის სომხურ სამყაროსთან ახლო ურთიერთობების არსებობაზე იქ დაცულ საისტორიო ტრადიციას შეიძლება რამდენადმე ანგარიში გაეწიოს. როგორც «ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს, რევის სახლეულობას ჯერ კიდევ მეფე მირიანმა დაუმტკიცა მემკვიდრეობით კახეთი და კუხეთი ცენტრით უჯარმაში. რევის მეუღლის – სალომეს ზედწოდებაც «უჯარმელი» თითქოს აღნიშნულ მოვლენას ეხმიანება. თუმცა **«ქართლის ცხოვრებაში»,** როგორც ითქვა, სალომე თრდატ სომეხთა მეფის ასულად იწოდება. თრდატ/»საურმაგი» რევ/»მერიბანისა» და სალომეს პირმშო იყო. იგი, ამიანე მარცელინეს ცნობით, ქართლის სამეფო ტახტზე მჯდომი ჩანს უკვე 361 წლისათვის, შემდგომ კი მის სახლეულობას (ე.წ. რევიანებს), თუ «ქართლის ცხოვრებას» დაეჯერება, სასტიკი ბრძოლა გაუმართავს სამეფო ტახტისათვის ბაკურ მირიანის ძესთან.

ამ ბრძოლაში, დასახელებული წყაროს ცნობით, რევიანთა მხარეზე აქტიურად ჩაბმულან სომხები: **«...არ აძლევდნენ [საშუალებას] სომეხნი, რომ ემეფნა ბაქარს, რადგან უნდოდათ გაემეფებინათ ტრდატის ქალის შვილი»**-ო, ვკითხულობთ **«ქართლის ცხოვრების»** ძველ სომხურ თარგმანში (85:130-131). ბაკურმა ამ ბრძოლაში სპარსელები მიიმხრო, გაიმარჯვა მოწინააღმდეგე მხარეზე და ბერძენთა და სპარსთა მეფეების შუამდგომლობით რევიანებს დაუწერა **«ხელით-წერილი»: «ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისათა»**-ო (57:131). პეტრე იბერის ბიოგრაფის - იოანე რუფუსის ერთი ცნობის თანახმად, ადრექრისტიანული ხანის ქართლში მეფეთმონაცვლეობის დადგენილი წესი არსებულა (იხ. 92:81). ამ პატრიარქალური წესის მიხედვით, მეფობა სამეფო გვარში უხუცეს წევრზე გადადიოდა და არა უშუალოდ გარდაცვლილი მონარქის უფროს ვაჟიშვილზე. ბაკურ მირიანის ძემ, როგორც ჩანს, აღნიშნული წესის შეცვლა სცადა. მაშასადამე, სპარსელთა მხარდაჭერის შედეგად გამარჯვებულმა ბაკურმა იურიდიული საბუთითაც **(«ხელით-წერილით»)** განამტკიცა მისი უფლება სამეფო ტახტზე და რაც მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება, მან ბიზანტიის მხარეც დაითანხმა აღნიშნულზე. როდის და რა ვითარებაში უნდა მიეცათ ბიზანტიელებს სპარსელთა ფავორიტისათვის ასეთი თანხმობა? ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ **«ქართლის ცხოვრებაში»** აღწერილ ამბებს 363 წლის მოვლენებთან ერთ კონტექსტში განვიხილავთ. კერძოდ, როგორც ცნობილია, ამ დროს იმპერატორმა იულიანე **«განდგომილმა»** (361-363 წწ.) სასტიკი მარცხი იწვნია სპარსეთთან ომში და 363 წლის 26 ივნისს თავადაც დაიღუპა ერთ-ერთ შეტაკებაში.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აუცილებლობით განპირობებული კომენტარები კუკური ფიფიას და სხვათა საბაზეთო პუბლიკაციებზე

მეორე და ყველაზე უმთავრესი: სიტყვის ეტიმოლოგიის შესწავლისას, თქვენ სიტყვის დაშლას მიმართავთ არა მასში მოცემული ცალკეული სეგმენტების ანუ მორფემების (ძირისეულის თუ გრამატიკულის) მიხედვით, არამედ, ნებისმიერად ანუ თქვენი ნება-სურვილის მიხედვით;

დაბოლოს, მესამე და ასევე უმთავრესი: თქვენ, რატომღაც მიგაჩნიათ, რომ სიტყვები ჩვეულებრივ, შედგენილნი იყვნენ სხვა სიტყვებისაგან, უმთავრესად, მათი საწყისი ბგერებისაგან და ცდილობთ, ამ ვითომდა საწყისი სიტყვების მოძიებას და აღდგენას, ამათი შეერთება-დაჯგუფებით კი, საკვლევი სიტყვის წარმოდგენას, რაც, ცხადია, მცდარია და მცდარი შედეგის მომცემია. ასეთი ხერხი, მართალია, ცნობილია ხალხურ ეტიმოლოგიაში, (მაგ.. ვარძია=ვარ+ძია), მაგრამ მას ხომ მეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო და მისი მართებულობა ათასში ერთი შეიძლება იყოს.

მართალია, ენაში გვაქვს სხვადასხვა სიტყვებისგან ან მათი ნაწილებისგან შედგენილი სიტყვებიც (მათი რაოდენობა ენის ლექსიკაში უმნიშვნელოა და რამდენიმე ერთეულს ან ათეულსღა შეადგენს), როგორიცაა, მაგალითად: **აშშ** (ამერიკის შეერთებული შტატები), **საბლიტგამი** (საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა). **დღგ** (დამატებითი ღირებულების გადასახადი) და სხვა, მაგრამ ამგვარი მეორეული (ცხადია, გვიანდელი) წარმოშობის ფორმების შემადგენლობაში მოცემული სიტყვები ხომ მანამდე არსებული (წარმოშობილი) სიტყვებია და, ამიტომაც, სხვა რომ არა იყოს რა, ამგვარად შედგენილ სიტყვებს აბა რა **უშუალო** კავშირი აქვთ სამეტყველო ბგერების, სიტყვებისა და ენის წარმოშობის საფუძვლებთან? ცხადია, არც არაფერი.

აქ აუცილებელია, შევიხსენოთ ენათმეცნიერებაში ერთხმად მიღებული ჭეშმარიტი დებულება, რაც აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასთან ასეა გამოხატული: **სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისათვის აუცილებელია ზუსტად ვერკვეოდეთ მის შემადგენლობაში და სწორად მოვახდინოთ სიტყვის დაშლა მისი შემადგენელი ნაწილების მიხედვით.**

ურიგო არ იქნება, თუ შევიხსენებთ იმასაც, რომ ჯერ კიდევ V–VI კლასებში, როცა ქართული ენის გაკვეთილზე გვასწავლიდნენ წინადადების გარჩევას სინტაქსურ-მორფოლოგიურად, მივმართავდით სიტყვების დაშლას მის შემადგენელ მორფოლოგიურ ნაწილებად და ამის მიხედვით ვახდენდით ცალკეული სეგმენტების განხილვას.

ამჯერად, წინადადებას თავი დავანებოთ და განვიხილოთ ცალკეული სიტყვები, მათი შემადგენელი ნაწილების მიხედვით.

ასე, მაგალითად: სიტყვაში **ლამაზ-ი** ძირია ანუ ძირისეული მორფემაა **ლამაზ,** რაც აღმნიშვნელია (წარმომჩენია) სიტყვის მნიშვნელობისა (კერძოდ, საგნის როგორადობისა). **ი** სუფიქსი კი სახელობითი ბრუნვის ნიშანია; სიტყვაში **ლაპარაკ-ობ-ს** ძირია **ლაპარაკ, ობ** თემის ნიშანია, **ს** კი სუბიექტური მესამე პირის ნიშანია; სიტყვაში **გადა-ა-ყვან-ინ-ა** ძირია **ყვან, გადა** ზმნისწინია, პრეფიქსი **ა** საარვისო ქცევის ნიშანია, სუფიქსი **ინ** შუალობითი კონტაქტის ნიშანია, ბოლოკიდურა სუფიქსი **ა** კი სუბიექტური მესამე პირის ნიშანია.

და, ბოლოს, თქვენს მიერ ხშირად განხილული სიტყვა **წიგნი,** მის შემადგენელ ნაწილებად ასე დაიშლება: **წიგნ-ი.** მისი ძირია ანუ ძირისეული, იგივე ლექსიკური მორფემაა **წიგნ**, ხოლო **ი** სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

ასეთ პირობებში, სიტყვის ეტიმოლოგიის ძიების თქვენმიერი „ხერხის" გამოყენებით, სიტყვა **„წიგნი"**-ს ეტიმოლოგიას თქვენ ასე ხსნით:

„სიტყვა წიგნი უძველეს ხანაში **წ)გ)ნ)** ფორმით უნდა ჩასახულიყო. ასეთი ფორმით მისი დამარცვლა შესაძლებელია, რადგან გნ კომპლექსი არაა ჰარმონიული ბგერათკომპლექსი. ბუნებაში გნ ბგერადობის შეკავშირებული ფორმა არ არსებობს. ამიტომ, ვფიქრობთ, ის **წ), გ)** და **ნ)** ძირისეული თანხმოვნური ფორმების კომბინირებით უნდა იყოს მიღებული. **წ)** ფორმა წოვას ნიშნავს, **გ)** – აგო-ს, ზოგადი ფორმით აგება-ს, (მაგ., კ)დალა გეშა-გ) კედელი ამო-აგო), **ნ)** კიდევ, წყალს. თუ **წ), გ)** და **ნ)** ფორმების შესატყვის სიტყვებს წოვა, აგება, წყალი (წყარო) გრამატიკულად დავაკავშირებთ, საკმაოდ სრულყოფილ წინადადებას მივიღებთ: **წოვით ნაგები წყარო (ცოდნისა; სიბრძნისა)"...**

მართალია, წიგნი დიახაც არის წყარო ცოდნისა, გონიერებისა, თუ გონების განათებისა (მასში მოცემული **გ** და **ნ** ბგერების თქვენმიერი **„მნიშვნელობების"** გათვალისწინებითაც), მაგრამ საქმე ის არის, რომ **წიგნ** ძირისეული ფორმა, მთლიანობაში, წარმოადგენს სწორედაც ძირისეულ ანუ ლექსიკურ მორფემას, იგივე, გარკვეული მნიშვნელობის თუ ცნების (თუ რატომ **„ცნების"**, ქვემოთ) წარმომჩენ ფონეტიკურ ერთეულს და მისი ნებისმიერი დაყოფა ყოვლად უსაფუძვლო და გაუმართლებელია.

„წიგნი"-ს თავდაპირველი სახელწოდება, ყოვლად უეჭველია, იყო **„წიგნ"** ფორმა (თუ კი იგი შემოღებული იქნა ქართულში წრფელობითი ბრუნვის არსებობის პერიოდში), ანდა,– სულაც **„წიგნი"** ფორმა (თუ იგი შემოღებული იქნა უკვე სახელობითი ბრუნვის ფორმების არსებობის პერიოდში). ამასთან, შეუძლებელია იგი შემოღებულიყო **წ)გ)ნ)** (ან სხვაგვარად) დამარცვლული ძირისეული თანხმოვნური ფორმის სახით, ვინაიდან **წ)გ)** არ არის ხმაბაძვითი ფორმა, მიუხედავად მასში შემავალი სამივე თანხმოვანი ბგერის (როგორც ენის საერთოდ ყველა თანხმოვანი ბგერის) თავდაპირველი ხმაბაძვითი წარმომავლობისა, და, ამიტომაც მას არ გააჩნია არავითარი კონკრეტული (ბუნებითი ანუ ბუნებრივი) მნიშვნელობა. იგი გვიან (ენის წარმოშობის პერიოდთან შედარებით, შეიძლება ასე ითქვას, გუშინ) შემოღებული ხელოვნური ანუ **„წმინდა წყლის"** პირობითი ნიშანია და მხოლოდ ცნებითობის საფუძველზე აღნიშნავს გარკვეულ საგანს. თუმცა, **წიგნ-ი** ფორმასთან მოცემული ბოლოკიდურა **ი** ბგერა (როგორც საერთოდაც) წარმოადგენს **)** ბგერის ფონეტიკურ ვარიანტს (ამაზე, კონკრეტულად,– ქვემოთ).

ზემოაღნიშნულის ანალოგიურად, უსაფუძვლოა თქვენმიერი ეტიმოლოგიური **„კვლევა-ძიების"** მონაცემები, რაც ასე გაქვთ წარმოდგენილი:

„სიტყვა **„მძინარე"**, ვფიქრობთ, უნდა ჩასახულიყო ფორმით **„მ)ძ)ნ)რ)"**, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: **„მე ძევს წყალი არის". „წყალი"** კი, ცხადია, პირდაპირი მნიშვნელობითაც **„სიცოცხლის წყაროა"**, მოკლედ, **„სიცოცხლეა"**. მაშინ ეს არქაული ხანის წინადადება უფრო გასაგებად ასე შეიძლება წარმოითქვას: **„მე ძევს სიცოცხლე არის"**, ანუ **„ცოცხალი მე უმოძრაოდაა"...**

ასევე მცდარია თქვენი მოსაზრება, რომ სიტყვა **გამარჯობა,** (სადაც ძირია რჯ, მეგრულად, –– რძგვ; გო-მო-რძგვ-უ-ა), თითქოსდა, თავდაპირველად უნდა გვქონოდა ფორმით **გ)მ)რ)ჯ)ბ)** და მისთ.

აქვე განვმარტავთ: **მძინარე** სიტყვის ძირია **ძილი** (დანარჩენები აფიქსებია), და დასადგენია მხოლოდ ის, თუ რატომ დაერქვა ამ მოქმედებას **ძილი,** დანარჩენი კი, რასაც თქვენ აღნიშნავთ, თქვენი ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი.

მსგავსადვე, ქართულ-მეგრული **გამარჯობა** სიტყვის (ქართულად **გამარჯვება,** მეგრულად **გომორძგვუა)** ძირია **მარჯვე** (შდრ. **მარჯვენა**), უფრო ზუსტად **რჯვ,** ხოლო მეგრული **გომორძგვუა** სიტყვის ამოსავალი ფორმებია: **მარძგვანი, მორძგვი,** (თანხმოვნური ძირია **რძგვ)**. ამიტომაც ამათი ეტიმოლოგიის დასადგენად საჭიროა მხოლოდ აღნიშნული ძირისეული ფორმების წარმოშობის საფუძვლის დადგენა (**„მხოლოდ"** იმიტომ, რომ აფიქსების, საერთოდ საგრამატიკო საშუალებების წარმომავლობა ჩვენს მიერ დიდი ხანია, დადგენილია. ამას ქვემოთაც წარმოვაჩენთ).

ცხადია, აბსოლუტურად მცდარია თქვენი განაცხადი იმის შესახებ, რომ თითქოსდა **გამარჯვება** და **გომორძგვუა** არა ორი ენის სიტყვებს (შესატყვისობებს), არამედ ერთი ენის სიტყვებს,– სინონიმებს წარმოადგენდნენ. ეს ასე რომ იყოს, ამგვარივე სინონიმებად უნდა გამოგვეცხადებინა მეგრულ-ქართულის შესატყვისობები: **თოლი და თვალი, კიბირი და კბილი, ზ)სხ)რი და სისხლი, ძიხვი და ჯიხვი, ჯოღორი და ძაღლი, ნგერი და მგელი** და ა. შ. (ტ. ფუტკარაძესა და მის ამფსონებს მეტი რაღა უნდათ? ეს, სხვათა შორის).

თქვენმიერი ეტიმოლოგიური ძიებებისთვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული და სხვა შეცდომების უმთავრეს მიზეზთა შორის, ჩვენის აზრით, გამოვყოფთ შემდეგს: 1. თქვენ, აშკარაა, იზიარებთ და მიყვებით ხალხურ ეტიმოლოგიას და იმ ფაქტსაც, რომ, მასზე დამყარებით არაერთი თვითგამოცხადებული **„ენათმეცნიერი"** (ოღონდ საკითხავია: – რა საფუძველზე; რომელი მეცნიერული ტიტულების, ან თუნდაც რომელი ნაშრომის შესახებ სპეციალისტების მიერ მიღებული დადებითი რეცენზიების მიხედვით?) თუ **„მეცნიერმკვლევარი"** სიტყვათა ეტიმოლოგიის შესწავლას ცდილობს საკვლევი სიტყვის ნებისმიერი დანაწევრებით და ამ ნაწილებში ამა თუ იმ სიტყვების პოვნირებით. ასეთ პირობებში, ისინი, რიგ უცხოურ სიტყვებშიც კი ქართულ-ქართველური ენების სიტყვების არსებობას დაჟინებით, და ჯიუტადაც კი, **„ამტკიცებენ"**; 2. ენათმეცნიერებაში, ჩვენამდე, მიაჩნდათ, რომ აფიქსები მიღებულია ოდესღაც არსებული სიტყვებისაგან და წარმოადგენენ მათს ნაწილებს თუ ნაცვეთებს. თქვენ ამასაც იზიარებთ.

ჩვენ კი, ზემოაღნიშნულ პირობებში, დავადგინეთ, რომ **პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით, მათთანვე ბუნებრივად მოცემული ემფატიკური ნახევრადხმოვანი დეტერმინანტი) ბგერის თანხლებით. მაშინდელი ამგვარი სიტყვები წარმოსდგებოდნენ ერთეული თანხმოვნებისაგან, თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებისაგან და ამათი ჯგუფებისა და განაერთებისაგან. ამდაგვარად, არსებობდნენ, – და მეგრულში დღემდეც მრავლადა გვაქვს, – ერთთანხმოვნიანი, ორთანხმოვნიანი, და ასე შემდეგ, შვიდთანხმოვნიანი სიტყვები.**

რაც ასევე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანიაია, დავადგინეთ, რომ **ყველანაირი აფიქსები ანუ საგრამატიკო საშუალებები, დაწყებული ერთეული ხმოვანი ბგერებიდან, დამთავრებული ხმოვან-თანხმოვანი, თანხმოვან-ხმოვანი და თანხმოვანი აფიქსებით, და, თვით ცალკეული მეტყველების ნაწილებიც კი, როგორიცაა: ნაცვალსახელები, ზმნიზედები, თანდებულები, ნაწილაკები, კავშირები და შორისდებულები (ყოველ შემთხვევაში, ამათი აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი) წარმოადგენენ) ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებს ანუ ნაირსახეობებს.**

ასე, მაგალითად: სიტყვაში **ა-გვ-ა-შენ-ებ-ინ-ებ-დ-ნენ** ძირია ანუ ძირისეული მორფემაა **შენ**. დანარჩენი სეგმენტები კი გრამატიკული მორფემებია და მიღებულია ჩვენებით-მიმთითებლური ტონალობის ძლიერმახვილოვანი ნახევრადხმოვანი ემფატიკური, და ამ საფუძველზე, – დეტერმინანტი) ბგერისაგან (ამგვართა საფუძველი, მოკლედ, იხ. ქვემოთ).

ასევე, სიტყვაში **მსგავსია** ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემაა **გ,** დანარჩენი ბგერები კი წარმოადგენენ **)** ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებს (თუ როგორ მოხდა ეს, იხ. და, მთლიანობაში გულდასმით წაიკითხეთ ნაშრომი **„სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი"** (ზუგდიდი, 2003), ანდა შვიდტომეული **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა"** (თბ., 2007, ტ. I, გვ. 45-210).

აღნიშნულთა საფუძველზე, დავადგინეთ, რომ **თანამედროვე ენა წარმოადგენს თავდაპირველი ანუ პირველქმნილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური ნახევრადხმოვანი დეტერმინანტი) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.**

აი, სწორედ ამ აღმოჩენას, ცხადია, ენის წარმოშობის საფუძვლების აღმოჩენასთან ერთად, ჭეშმარიტი ენათმეცნიერები აფასებენ როგორც **გადატრიალებას ენათმეცნიერებაში** (ეს, სხვათა შორის).

ზემოაღნიშნულ პირობებში, ბატონო კუკური, ჩვენ, და, უთუოდ, არც ერთ სხვა ჭეშმარიტ ენათმეცნიერს, არ შეგვიძლია დაგეთანხმოთ თქვენ და სხვებსაც, ვინც სიტყვათა ეტიმოლოგიის დადგენას **„თქვენეული"** ხერხით თუ მეთოდით მიმართავთ ხოლმე; ვერ დაგეთანხმებით, ასეთში, იმის გამოც, რომ **საგნების (სხვა მონაცემების) სახელდების, სამეტყველო ბგერებისა და სიტყვების წარმოშობის, მთლიანად ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენისა და სხვადასხვა ენის) წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები (მისი მიზეზები, პირობები და მექანიზმი) ჩვენს მიერ, ცოცხალ ენობრივ მასალაზე დამყარებით, ნათლად ამოხსნილ-წარმოჩენილია ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემულ ნაშრომში „ენის წარმოშობის საიდუმლოება" და სავსებით დასაბუთებულია მორიგ ნაშრომებში: „სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი", „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა" (შვიდტომეული), „მეგრული (კოლხური, იბერიული, იაფეტური) ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე" (ოცტომეული) და სხვა (სულ 3600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი).**

თქვენი შეცდომების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, ბატონო კუკური, მივიჩნევთ შემდეგ გარემოებასაც:

ენის წარმოშობის საკითხი არც ისე იოლი საკითხია. ასე რომ არ ყოფილიყო, მსოფლიოს ენისმცოდნეთა, ენათმეცნიერთა და სხვათა 26-საუკუნოვანი ცდა ენის წარმოშობის საკითხის შეწავლისა, უშედეგოდ არ ჩაივლიდა, თანაც ისეთ პირობებში, როდესაც მეცნიერებამ წარმოუდგენელ შედეგებს მიაღწია: შესწავლილ იქნა არა მხოლოდ ჩვენი გალაქტიკა, არამედ მილიონობით გალაქტიკაც კი, და ა. შ.

მართალია, ენის წარმოშობის საკითხი ჩვენს მიერ სრულად და ნათლად შესწავლილ იქნა, მაგრამ მის შესახებ წარმოდგენილი ზღვა მასალა ჯერ კიდევ როდი გამხდარა საყოველთაო კუთვნილება და, მაშასადამე, საყოველთაო აღიარების საგანი. ცხადია, მცირეტირაჟიანი ჩვენი, უკვე გამოცემული, ნაშრომებისთვისაც, უთუოდ, ადამიანთა მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილსღა მიუწვდებოდა ხელი. თანაც, ყველას როდი შეეძლო მისი ყველა მონაცემის სათანადოდ აღქმა და გაგება-გათავისება. ამაზე ხომ არაერთი მაღალტიტულოვანი და ჭეშმარიტად მაღალი დონის ენათმეცნიერებიც (მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და აკადემიკოსები) აღნიშნავენ ხოლმე, თავიანთ გამოსვლებში წიგნების პრეზენტაციებზე, თუ ოფიციალურ რეცენზიებში ამ ნაშრომების შესახებ (ამ რეცენზია-შეფასებების საერთო რაოდენობა კი **200** ერთეულს აჭარბებს). მართალია, ისინი ამ ნაშრომებს უწოდებენ: **„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომს", „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომს", „გენიალურ ნაშრომს", „უნიკალურ ნაშრომს", „ზეტიტანურ ნაშრომს", „საოცრებასა და საკვირველს", „გადატრიალებას ენათმეცნიერებაში", „დიდ ქართულ საქმეს" და ასე შემდეგ,** მაგრამ, ამავე დროს, ბევრი მათგანი თვლის, აცხადებს და წერს, რომ ამ ნაშრომების შესწავლა უცებ და ერთდროულად **შეუძლებელია**, რომ ამას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ერთ-ერთმა აკადემიკოსმა, დარგის სპეციალისტმა, ისიც კი განაცხადა, რომ ამ ნაშრომების სრულად და ჯეროვნად შესწავლას, შეიძლება მთელი XXI საუკუნე დასჭირდესო.

ასეთ პირობებში, თქვენ და სხვა, დარგის არასპეციალისტებს, არ გაგემტყუნებათ, თუ ჯერაც ყველაფერი ვერ გაუგეთ მათ. ამაში არავითარი უბედურება არ არის. უბედურება ძალად გაუგებრობასა და დაუნახაობაშია, რაც, სამწუხაროდ, დღემდე ჭირთ ზოგიერთებს, სხვადასხვა მიზეზით და, რაზედაც ინგლისური ანდაზა ასე აცხადებს: **„ყველაზე მეტად დაბრმავებული არის ის, ვისაც არ სურს დაინახოს".**

ისე, ვფიქრობთ, ცუდი არ იქნება, თქვენ და ზოგი სხვანიც თუ გაითვალისწინებთ ჩვენს შემდგომ (უთუოდ მართებულ) განაცხადსა და რჩევასაც:

ის თვალუწვდენელი, უღრანი და იდუმალებით მოცული ტყე, ყამირი, რადაც, ჩვენამდე, ენის წარმოშობის საკითხი მოიაზრებოდა, ათვისებულია, მოხნულია, დათესილია და აღმონაცენიცა და ნაყოფიც მიღებულია. ასე, რომ, „ველოსიპედის ხელახლა გამოგონების" უნაყოფო ცდა, ფუჭია.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მენდელეევის სისტემა (ცხრილი) სომხებისაა!!!

ვისაც კი წაკითხული აქვს როლანდ ჯალადანიას, დავით ქობალიას და ნუგზარ გოგუას წიგნი **"ჭეშმარიტება და "სომხური სიმართლე",** მას აღარ უნდა გაუკვირდეს სომეხ მეცნიერთა თავგასულობა, უტიფრობა, ისტორიის გაყალბებისაკენ მანიაკალური ლტოლვა, გიჟის ბოდვები და გიჟური თავდაჯერებულობა.

მაგრამ..., ვინც წაიკითხავს ქართველი არმენოლოგის ბატონ ბონდო არველაძის წერილს **"ახალი სომხური აღმოჩენები"**, რომელიც ახლახან ჟურნალ **"ჩვენი მწერლობის"** (2014 წ. №19) ფურცლებზე გამოქვეყნდა, შეიძლება გაოცებისაგან შოკში ჩავარდეს, როგორც ძველად ქართლში ხატოვნად იტყოდნენ, პირკატანაცემი დარჩება.

მართალია, პირკატა არ მეცა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ცნობილი ბარონი მიუნჰაუზენი სომეხ მეცნიერებთან შედარებით ერთი პრიმიტიული და მიამიტი ტრაბახა ყოფილა.

თავს უფლებას ვაძლევ **"ჩვენი მწერლობის"** რედაქციასთან და ბატონ ბონდო არველაძესთან შეუთანხმებლად გაზეთ **"ილორის"** მკითხველს (ვისაც **"ჩვენი მწერლობის"** ეს ნომერი არ წაუკითხავს) მოკლედ გავაცნო ამ წერილის შინაარსი. თავს იმით ვიმართლებ, რომ ყველა ქართველმა უნდა იცოდეს ჩვენი სამხრეთელი მეზობელი ერის მეცნიერთა პრეტენზიები არა მარტო საქართველოს მიწა-წყლის, ქართული კულტურის მიმართ, არამედ ზოგადად ყველას და ყველაფრის მიმართაც.

"აღმოჩენა" პირველი

ერთ-ერთი უახლესი სომხური **"აღმოჩენაა"** ის, რომ თურმე სომხებს (მესროპ-მაშტოცს) ათასობით წლებით ადრე აღმოუჩენიათ მენდელეევის სისტემა (ცხრილი).

ერევნის გაზეთ **"შარავიჯ"**-ის 2014 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია **"სომხური ენის მისტიკური ანბანი".**

ავტორი ამტკიცებს, რომ მესროპ-მაშტოცმა, რომელმაც ატომური ბირთვის არსებობაც კი არ იცოდა და არც კვლევაძიება ჩაუტარებია, მენდელეევზე ბევრად ადრე დაადგინა ქიმიურ ელემენტთა რიგითობა. როგორც წერილის ავტორი გვაუწყებს, მესროპ-მაშტოცის **"თავში შემოქმედებითი მუშაობის დროს მოხდა რაღაც არაბუნებრივი სასწაული..."**

"ცნობილი იყო ადრეულ ხანაში და გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნივთიერებებს თავისი სახელწოდება ჰქონდა ძველ სომხეთში, სომხურ ასოთა ნომრების რიცხვების ჯამი ემთხვევა (ტოლია) მენდელეევის ცხრილის რიგით ნომრებს.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით – ყოველ ასოს რიგითი ნომერი აქვს ანბანში. ვთქვათ "ა" – 1, "ს"– 29 და ა.შ. თუ ავიღებთ ძველ სომხურად ნივთიერებათა სახელწოდებას და შევაჯამებთ ასოთა რიგითობას, როგორც სომხურ ანბანშია, მივიღებთ მენდელეევის სისტემის ცხრილი არსებულ ამ ნივთიერებათა ნომერს.

მაგალითად – ოქრო სომხურად არის "ვოსკი". სომხურ ანბანში ასო "ვო" 24-ეა, "ს" 29-ე, "კ" – 15, "ი" – 11. მათი შეჯამებით მივიღებთ "ვო+ს+კ+ი"=24+29+15+11=79. 79 ეს არის ოქროს რიგითი რიცხვი მენდელეევის სისტემათა ცხრილში".

ბატონ ბონდო არველაძის კომენტარი:

როგორც ავტორი წერს – აღნიშნულ კანონს 7 ლითონის რიგითობა ექვემდებარება. კი მაგრამ, სომხური ანბანი 36 ასონიშნისგან შედგება. დანარჩენ 28-ს რა ვუყოთ? რა, ისინი ვერ იხილა მაშტოცმა? ეს იმას მოწმობს, რომ ეს არის შემთხვევითი, რადგან 28 ასო-ნიშანი არ დასტურდება.

სომხური ანბანის მენდელეევის ცხრილთან დაკავშირება ფანტაზიის ნაყოფია!

იმედია, ჩვენი ანბანოლოგები დაინტერესდებიან აღნიშნული "აღმოჩენით" და იტყვიან თავიანთ სიტყვას.

მე ცოდვილს, თანაც არა ანბანოლოგს, ეჭვი შემეპარა ბატონ ბონდოს კომენტარის სისწორეში. ვიფიქრე, რადგან ქართველებს მაშტოცმა გვიწყალობა ანბანი, მაშინ აღნიშნული კანონზომიერება ქართული ანბანისთვისაც იმანენტური უნდა იყოს-მეთქი.

ავიღე სიტყვა **"ოქრო".** ასო **"ო"**-ს რიცხვითი მნიშვნელობაა 70, **"ქ"**-ს – 600, **"რ"**-ს – 100, **"ო"**-ს – 70. **"ო+ქ+რ+ო"**=70+600+100+70=840.

მაშტოც-მენდელეევის სისტემის ცხრილში ოქროს რიგითი რიცხვი არის 79 და არა 840!

ევრიკა!

მესროპ-მაშტოცს ქართველებისათვის ანბანი არ შეუქმნია! რის დამტკიცებაც მინდოდა.

"აღმოჩენა" მეორე

სომხურ ჟურნალ **"არაჰეტ"**-ში (ბილიკი) 2014 წლის №2-ში გამოქვეყნებულია სტატია არტაშეს არწრუნის მეცნიერული **"აღმოჩენების"** შესახებ. წერილის ავტორი სიამაყით წერს იმის შესახებ, რომ **"აკად. არწრუნმა პირველმა გაშიფრა და დაამტკიცა, რომ "ფესტოსის დისკო" სომხეთიდან მოდის".**

არტაშეს არწრუნს სხვა **"აღმოჩენებიც"** ჰქონია. მაგალითად, თავს წიგნში **"სლავიანური კულტურა და სომხური განმანათლებლობა"** ამტკიცებს, რომ **"კირილე და მეთოდეს რუსული ანბანი "კირილიცა" არ შეუქმნიათ. ეს ანბანი შექმნილი ყოფილა კირილესა და მეთოდეს გარდაცვალებიდან 130 წლის შემდეგ".**

"კირილიცას" შემქმნელი სომეხი ფილოსოფოსი კონსტანტინე ყოფილა.

ბატონი ბონდო არველაძის კომენტარი:

"გამოდის, რომ მესროპ მაშთოცი ღმერთი ყოფილა: მაშტოცმა მენდელეევზე გაცილებით ადრე აღმოაჩინა მისი პერიოდული სისტემა (ცხრილი)!!! რუსებს მიუღიათ სომეხი ფილოსოფოსის – კონსტანტინეს – წყალობით ანბანი...

აბა, ამის შემდეგ საცოდავ ქართველებს მაშტოცმა მოწყალება რომ გაიღო და ანბანი შეგვიქმნა, განა გასაკვირია?"

მართლაც, განა გასაკვირია უძველესი **"ფესტოსის დისკო"** სომხებისა რომ იყოს, თუ კი 1915 წელს გარდაცვლილი აკაკი წერეთელი სომეხი ბაგრატუნი ყოფილა, რომელმაც სომხური **"სულიკო"** ქართულად თარგმნა!

განა გასაკვირია უძველეს დროში სომხების მეფე ტიგრანას ესპანეთში ელაშქრა და იქიდან მონებათ იბერიელები წამოესხა, რომლებიც სომხეთის ჩრდილოეთ პროვინციაში ჩაუსახლებია, მოგვიანებით კი ამ მონებისათვის, რომლებიც ძირითადად **"გრუზჩიკებად"** მუშაობდნენ, რუსებს **"გრუზინები"** დაერქმიათ, თუკი 2014 წელს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში გამოუშვებენ სიმღერების კომპაქტდისკს, სადაც **"ჩაკრულო"** და **"მრავალჟამიერი"** წარმოდგენილია როგორც სომხური ფოლკლორის თვალსაჩინო ნიმუში!

არის კიდევ სხვა ახალი **"სომხური" "აღმოჩენები"**, მაგალითად ვედური კულტურის ძირები სომხურ სინამდვილეში... აგრეთვე ის, რომ პრომეთე სომეხი ყოფილა!

დარწმუნებული ვარ, სულ მალე ახალი სომხური **"აღმოჩენის"** შესახებ შევიტყობთ – ამირანი სომეხი ყოფილა და მითი ამირანის შესახებ შექმნილია! მით უმეტეს, კავკასიის ქედი და საერთოდ კავკასია, **"დიდი სომხეთის"** ძირძველი მიწაა!

მე მაკვირვებს იმ ქართველთა გულგრილობა, გულარხეინობა, ვისაც ხელეწიფება პასუხი აგებინონ იმ ყალბისმქმნელებს, თუნდაც სასამართლოს გზით. შტუტგარტში გამოცემული სიმღერების კომპაქტური დისკი სომხებს გვარიან მოგებას მოუტანდა. ნუთუ ასე ძნელია იმის დასაბუთება, რომ აკაკი წერეთელი სომეხი არ არის, რომ ქართული ხალხური სიმღერებია **"ჩაკრულო"** და **"მრავალჟამიერი"**, რომლებიც ისე განსხვავდებიან სომხური ხალხური სიმღერებისაგან, როგორც ცა და მიწა.

ეს რომ გაკეთებულიყო, ან გაკეთდეს, მაშინ სომეხ ვაი-მეცნიერებს, მადა გაასომხონ ყოველივე ქართული, შეეზღუდებოდა, რაც უპირველეს ყოვლისა კარგი იქნებოდა თვით სომეხ მეცნიერთათვის, რათა თავი სასაცილოდ არ აიგდონ!

თენგიზ კუბლაშვილი

სანიაღვრე ჭაში გატარებული 20 საათი – ნამდვილი ამბავი საშინელებათა ფილმის სიუჟეტით

ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში 34 წლის მამაკაცი ერთი თვე ებრძოდა სიკვდილს. ალექსი ფუხაშვილი 24-ე დღეს მოვიდა გონს, თუმცა, ვერ იხსენებს, როგორ აღმოჩნდა 8 მეტრი სიღრმის სანიაღვრე ჭაში, სადაც, როგორც მისი მეუღლე ჰყვება, 20 საათს მოუწია ყოფნამ. შემთხვევა, 2014 წელს, ფეიქრების ქუჩაზე მოხდა – ნასვამი ახალგაზრდა მამაკაცი თავახდილ სანიაღვრე ჭაში ჩავარდა.

თეონა დაიური, ალექსი ფუხაშვილის მეუღლე: – ალეკო დაახლოებით 10 საათზე გავიდა სახლიდან, რესტორანში მიდიოდა თანამშრომლებთან ერთად. იმ ღამით, დაახლოებით 3 საათზე, ჩაძინებულს გამომეღვიძა და ვნახე მისი ერთი საათით ადრე გამოგზავნილი მესიჯი. მას შემდეგ ვურეკავდი, მაგრამ არ მპასუხობდა. მისი ასეთი საქციელი მეუცხოვა. თანამშრომლებმა მითხრეს, რომ რესტორნიდან შუაღამის 3 საათზე წამოსულან.

დავიწყე რეკვა საპატრულო პოლიციაში, სასწრაფოში, საავადმყოფოებში... მეგობრებისგან მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ალეკო მათ დაემშვიდობა და ფეიქრების ქუჩაზე ფეხით წამოვიდა. დიდხანს ვეძებეთ იმ ტერიტორიაზე, მაგრამ კვალს ვერ მივაგენით. პოლიცია მეუბნებოდა, 48 საათი გავიდეს და მერე გამოვაცხადებთ ძებნასო. საპატრულომ ალეკოს თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა ის ტერიტორია, მაგრამ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, კვალს ვერსად მივაგენით. დაახლოებით ღამის 11 საათზე ალეკოს ბიძაშვილმა თქვა, კიდევ ერთხელ მივიდეთ ფეიქრების ქუჩაზე თავახდილ ჭასთანო, არადა, იქ მანამდე სამჯერ ვიყავით. წავიდნენ მეგობრები, ჭაში ფარანი ჩაანათეს... უცებ ერთ მეგობარს დაუყვირია, სიღრმეში რაღაც ამოძრავდაო, ჩასძახეს და ალეკოს უპასუხია, აქ ვარო.

– როგორ გაძლო ამდენ ხანს გამდინარე წყალში, რას ეჭიდებოდა?

– 20 საათი იყო სანიაღვრე ჭაში, რომლის სიღრმე დაახლოებით 8 მეტრია. ეს არის მთავარი სანიაღვრე ჭა, რომელშიც გლდანი-ნაძალადევის წყლები ჩადის. მავთულს ჩასჭიდებია, არადა, წყალი ისეთი სიძლიერით მიედინება, რომ არ ებრძოლა, დინება მტკვარში გაიტანდა.

მარჯვენა მხარე სულ გაგლეჯილი აქვს, მარჯვენა ფეხი ტერფიანად დამსხვრეული, გულმკერდი – დაჟეჟილი, ელენთა დაზიანებული, ნეკნები დამტვრეული, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი დაზიანებული, კუჭი – გახვრეტილი, სწორი ნაწლავი – გახეთქილი. მიიღო შიდა ქალის ტრავმა. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ დიალიზი დასჭირდებოდა, მაგრამ გადავრჩით. ფილტვები მხოლოდ მეოთხე დღეს ამუშავდა. ბინძური წყლის ყლაპვის გამო სეფსისიც დაეწყო, განუვითარდა ეპილეფსიაც. ალეკო 24 დღე იყო უგონო მდგომარეობაში. ქირურგებმა მითხრეს, თითქმის მთელი სისხლი მუცელში აქვს ჩაღვრილიო. მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც გარისკეს და ორი ოპერაცია გაუკეთეს. ამ ადამიანებმა მართლა სასწაული მოახდინეს. მკურნალი ექიმი დღედაღამ თავს დასტრიალებს. ჩემი ქმარი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოვიდა, თუმცა, არაფერი ახსოვს. უჭირს აზროვნება. ექიმები ვერ გვაძლევენ გარანტიას, რომ სრულფასოვან ცხოვრებას მალე დაუბრუნდება.

– სანიაღვრე ჭას ახლა მაინც დაახურეს თავსახური?

– მეორე დღესვე სანიაღვრე ჭას ბეტონის თავსახური დაახურეს. დიღომში, სანიაღვრე მეურნეობას მივაკითხე, რომელიც თბილისის მერიას ექვემდებარება. ჩვენ რა შუაში ვართ, იქნებ რაიმეს მოსაპარად მივიდა, თვითონ ახადა თავი და ჭაში ჩავარდა, გონზე მოვა და თვითონ ალაპარაკდება, იქ რა უნდოდაო, მითხრეს.

– არ ჰკითხეთ, სანიაღვრე ჭაში რა უნდა მოეპარა?

– რა თქმა უნდა, ვკითხე და მიპასუხეს, რკინაბეტონის თავსახურებს ამტვრევენ და არმატურას იპარავენო. კაცს, რომელსაც მაღალანაზღაურებადი ხელფასი აქვს, რაში სჭირდება არმატურის მოპარვა? სამი თვის წინ ჩემი თანამშრომელიც ჩავარდა ჭაში (დუშეთში) და გარდაიცვალა. რატომ უნდა იყოს ამხელა ჭები თავახდილი? რომ არ მიგვეგნო, ალბათ, ალეკოს მტკვარი გაიტანდა, მერე გვამს იპოვიდნენ და იტყოდნენ, თავი მოიკლაო.

– მკურნალობის ხარჯებს როგორ ანაზღაურებთ?

– საყოველთაო დაზღვევამ გვიშველა. მარტო რეანიმაცია ერთი დღე-ღამე 550 ლარი ღირს. დაზღვევით გათვალისწინებული 15 ათასი ლარიც ამოიწურა – ამდენი ოპერაცია, 5-ჯერ სისხლის გადასხმა, ტრაქეოსტომის ჩადგმა... ხარჯთაღრიცხვა სანიაღვრე მეურნეობაში მივიტანეთ, მათ კი მერიას გაუგზავნეს. საგარანტიო ბარათს ხელი მამუკა ქაცარავამ მოაწერა – მერიამ ერთხელ 3 000 ლარი, მეორედ 5 500 ლარი გადმორიცხა.

ჩემი ქმარი 34 წლისაა, იგი ერთი წელი მაინც შრომის უუნარო იქნება. როგორ შევძლებ მე, უმუშევარი ქალი, სამი მცირეწლოვანი ბავშვისა და ავადმყოფი დედამთილის რჩენას? ჩვენს ტრაგედიაზე პასუხისმგებელი ვინც არის, კეთილი ინებოს და ყოველთვიური კომპენსაცია დაგვინიშნოს. მათმა უპასუხისმგებლობამ და უყურადღებობამ დაასახიჩრა და ლამის მომიკლა ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

ნოდარ ზარდიაშვილი, შპს **"თბილსერვისჯგუფის"** დირექტორის მოადგილე: – 60 თანამშრომელი მყავს, მუშების ჩათვლით, და ისინი ვერ შეძლებენ, ყოველდღიურად შემოიარონ და 30.000 ჭა შეამოწმონ, არც ვართ ვალდებული. 30 ივნისამდე სამი კვირით ადრე ჩვენმა თანამშრომლებმა ნახეს, რომ ჭას ეფარა თავსახური. შემთხვევის ადგილას ბეტონის ნატეხები ყრია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რკინაბეტონის ფილა ვიღაცამ სპეციალურად დაამტვრია, რომ არმატურა მოეპარა. თავსახური შემთხვევამდე დაახლოებით 10-14 დღის მოპარული უნდა იყოს. ჩვენი მოვალეობაა, ქუჩებში, სადაც თავახდილ ჭას ვნახავთ, თავსახური დავახუროთ, მაგრამ რადგან ის ადგილი რკინიგზის ზოლშია, რკინიგზაც ყურადღებას აქცევს (ან ჩვენ უნდა დავახუროთ, ან მათ). ეს სანიაღვრე ჭა დასახლებული პუნქტიდან შორს, ლიანდაგიდან 5 მეტრში მდებარეობს, იქ არც სავალი გზა არის, ფერდობია და ბალახი. როგორც ჩანს, დაზარალებული რკინიგზაზე მეორე მხარეს აპირებდა გადასვლას და სიბნელეში ჭა ვერ დაინახა. როდესაც ამ ოჯახმა მოგვაკითხა, ჩვენ მერიას მივმართეთ და ვთხოვეთ, ფულადი დახმარება გაეწიათ მისთვის, უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია. ჩვენც დავიღალეთ – თბილისში ლამის ყოველდღიურად იპარავენ ჭის თავსახურებს, ამტვრევენ და არმატურას ჯართად აბარებენ. ვერ ავუდივართ ქურდობას. თვალჭრელიძის ქუჩაზე ახლახან 15 თავსახური მოგვპარეს. ჭას, სადაც შემთხვევა მოხდა, რკინაბეტონის ფილა დავახურეთ. ყველა თავახდილ ჭას ვახურავთ თავსახურს, მაგრამ შეუძლებელია, ყოველდღე ვიაროთ და ყველა ასეთი ადგილი ვამოწმოთ.

ნ. ფიცხელაური

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ მესამე შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა საზოგადოებრივი მოძრაობა **„ლაზარეს“** მესამე გაფართოებული ეროვნული შეკრება.

საზოგადოებრივი მოძრაობა **„ლაზარე“** 2012 წლის 2 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოში, ცნობილი ქართველი პოეტის – რეზო ამაშუკელის, ინიციატივით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარეს ილია მეორეს ლოცვა კურთხევით დაფუძნდა, რომლის მიზანიც საქართველოსათვის წმიდათაწმიდა ღირებულებების – მამულის, ენის, სარწმუნოების, დედაეკლესიის, ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების დაცვაა.

დარბაზის პარტერი, ლოჟები და ყველა იარუსი **„ლაზარეს“** მხარდამჭერთა მიერ იყო გადავსებული. შეხვედრას ესწრებოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, სახელოვანი მსახიობები, რეჟისორები, მწერლები და პოეტები, მხატვრები, ექიმები, ყოფილი პოლიტპატიმრები და პოლიტდევნილები, ომისა და ქართული შეიარაღებული ძალების ვეტერანები, მღვდელმსახურები, პოლიტიკოსები, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია **„ახალი თაობის“** წევრები და ლიდერი, ჟურნალისტები და, რა თქმა უნდა, მოძრაობა **„ლაზარეს“** დამფუძნებლები, მთავარი საბჭოს წევრები, მათ შორის – **„ასავალ-დასავალის“** გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი და საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი, რომლებმაც ღონისძიებას საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწიეს.

გამომსვლელთა სიტყვები ძალიან ემოციური იყო, რაც ქვეყანაში არსებულ ვითარებასა და კონკრეტულ პრობლემებს მოიცავდა. ღვაწლმოსილი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ:

1. დიმიტრი ჯაიანი – სახალხო მსახიობი, რომელმაც შეკრების მონაწილეებისადმი მერაბ ბერძენიშვილის წერილი-მიმართვა წაიკითხა;

2, თემურ გოცაძე – სახალხო მხატვარი;

3. ელიზბარ ჯაველიძე – აკადემიკოსი, თურქოლოგი;

4. ანზორ თოთაძე – პროფესორი, დემოგრაფი, „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი;

5. ვახტანგ ხარჩილავა – პოეტი, პუბლიცისტი, გაზეთ „საერთო გაზეთის“ მათავარი რედაქტორი;

6. ნანა დევდარიანი – პუბლიცისტი;

7. ტრისტან წითელაშვილი – გენერალი, აფხაზეთის 1990-92 წლებისა და სამაჩაბლოს ომების ვეტერანი, სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი პატიმარი;

8. ლადო სადღობელაშვილი – ახალგაზრდული მოძრაობა „თავისუფალი თაობის“ ლიდერი;

9. ჯაბა ხუბუა – მედიაკორპორაცია „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი;

10. ლალი მაღრაძე – მსახიობი, დიასახლისი;

11. დავით მხეიძე – პუბლიცისტი;

12. ირი მეჩითოვი – ფოტო ხელოვანი, ნოოლოგიის ცენტრის ექსპერტი;

13. თამარ კიკნაძე – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თავმჯდომარე;

14. ალეკო ცინცაძე – მათემატიკის პროფესორი, „საერთაშორისო კომპიუტერული კადემიის“ აკადემიკოსი, „საზოგადოებრივი მოძრაობა ლაზარეს“ თავმჯდომარის მოადგილე.

15. რეზო ამაშუკელი – პოეტი, საზოგადოებრივი მოძრაობა “ლაზარე”-ს თავმჯდომარე.

სამწუხაროდ, გამომსვლელთა და სიტყვით გამოსვლის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ, მიუხედავად რეგლამენტისა, ყველას გამოსვლა ვერ მოხერხდა, თუმცა, შეკრება გვიან საღამომდე გაგრძელდა.

შეკრების დამთავრებისას საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული შეკრების მოინაწილეებმა საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველი ხალხისადმი მიმართვა მიიღეს.

საზოგადოებრივი მოძრაობა ლაზარეს“ მიმართვა ხელისუფლებასა და ქართველი ხალხისადმი

„ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი რეჟიმის ძალმომრეობის პერიოდში ადამიანის ფუნდამენტური უფლების ხელყოფის, მოქალაქეთა კერძო საკუთრების, მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქართველი ერის ღირსებისა და შეურაცხყოფის გამო, **„საზოგადოებრივი მოძრაობა ლაზარე“** შეკრების დამსწრეთა უმარჯლესობის თანხმობით უფლებამოსილია განაცხადოს:

1. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური მარცხის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი რეჟიმი კვლავინდებურად აგრძელებს ქართული საზოგადოების დაშანტაჟებასა და არსებული ხელისუფლების მიმართ საბოტაჟს;

2. ნაციონალური მოძრაობის რევანშისტული პოლიტიკის ხელშეწყობისა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის, ე.წ. **“თბილისური მაიდნის”** მოწყობის მიზნით, გეგმაზომიერად მიმდინარეობს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილის დისკრედიტაცია:

3. ნაციონალური მოძრაობის მიერ დაფუძნებული და დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, საგრანტო სისტემაზე არსებული და **„ექსკლუზიური უფლების მქონე“** არასამთავრობო სტრუქტურები, ასევე ჟურნალისტთა კორპუსი, რომელსაც წინარე, ნაციონალურ ხელისუფლებასთან საეჭვო კავშირი აქვს დამყარებული, მიზანმიმართულად ეწევიან საზოგადოების დეზინფორმაციას, რაც ხელს უშლის ქვეყანაში დემოკრატიული, სამართლებრივი პროცესების წარმართვას;

4. ნაცმოძრაობის გამუდმებულმა რევანშისტულმა მუქარებმა, ფართო საზოგადოების აზრის იგნორირებამ და უცხოელი ლობისტების არაობიექტურმა, ტენდენციურმა პოზიციებმა, შესაძლოა, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიოს, რაც ათაწლეულებით გადაავადებს როგორც ქვეყნის დემოკრატიულ მშენებლობას და ევროსტრუქტურებთან მის ინტეგრაციას, ასევე ტერიტორიული მთლიანობისა და დეოკუპაციის უმიშვნელოვანეს საკითხს;

5. შემნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მოძრაობა **“ლაზარე“** მოგიწოდებთ, რომ საზოგადოებაში გაუსვრელი, პრინციპული, პატიოსანი და სამართლიანი პოლიტიკოსის სტატუსის მქონე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის სახელით გამოეცხადოს მხარდაჭერა, რათა მან ჩვეული უკომპრომისობითა და პრინციპულობით, შეძლოს ქართველი ხალხის უპირობო მოთხოვნის – დანაშაულებრივი **„ნაციონალური რეჟიმის“** გასამართლების დაწყებული პროცესის ბოლომდე მიყვანა;

6. ქართველი საზოგადოების მიუკერძოებელი ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნას **“სახალხო ტრიბუნალის საზოგადოებრივი საბჭო”;**

7. **“სახალხო ტრიბუნალის საზოგადოებრივ საბჭო”**-ში და სხვა ობიექტურ არასამთავრობო ორგანიზაციებან ერთად ჩართულ იქნას საზოგადოებრივი მოძრაობა **“ლაზარეც”,** რაც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემების შესაფესებისას ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვიდრებულ **“ექსკლუზიურ უფლებას”** გამორიცხავს და პლურალიზმის ხელშემწყობი ფაქტორიც გახდება;

8. საზოგადოებრივი მოძრაობა **“ლაზარე“,** საკანონმდებლო ორგანოს წინაშე კვლავ აყენებს საკითხს, დაცულ იქნეს და საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს საზოგადოებისთვის აქტუალური ზნეობრივი კატეგორიები, აღიკვეთოს ეროვნული ღირსებისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა;

9. საზოგადოებრივი მოძრაობა **“ლაზარე”** შეკრების მონაწილეთა სახელით მოითხოვს: ყოველგვარი მფარველობისა და მიკერძოების გარეშე გაგრძელდეს ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი დანაშაულებრივი ნამოქმედარის ობიექტური გამოძიება და სამართლებრივი შეაფასება, რასაც, სასურველია დაერთოს როგორც მორალურ-ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური და სულიერი ძალადობის ფაქტები;

10. შეკრება მეგობარ და მოკავშირე ქვეყნებს მიმართავს თხოვნით, საქართველოს, ქართველ ხალხსა და ქართულ სასამართლოს (როგორც თავისი ქვეყნის რეალურ ბატონ-პატრონს), ნაცმოძრაობის საერთაშორისო ლობისტების, თანამეგობრობის ზეწოლისა და **“პოლიტიკური ნიშნით დევნის კვალიფიკაციაზე”** აპელირების ნაცვლად – ობიექტური განაჩენების დამოუკიდებლად გამოტანის შესაძლებლობა მიეცეს;

11. ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და საბოტაჟის მცდელობის თავიდან აცილების მიზნით, საზოგადოებრივი მოძრაობა **“ლაზარე“** ფართო საზოგადოებას უახლოეს პერიოდში შესთავაზებს მოძრაობაში გაერთიანებულ მეცნიერთა მიერ შემუშავებულ **„საერთო ნიადაგის თეორიის“**, როგორც **„ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის“** კონცეფციას;

12. საზოგადოებრივი მოძრაობა **“ლაზარე“** ეთანხმება ქართული საზოგადოების მოთხოვნას, საჯაროდ გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი რეჟიმი, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას აეკრძალოს პოლიტიკური მოღვაწეობა.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული შეკრების მონაწილეები

საინტერესო ფაქტები შავ ზღვაზე

შავ ზღვაში ცხოველთა სამყაროს 2500 წარმომადგენელი იყრის თავს. მაშინ, როცა ხმელთაშუა ზღვაში მხოლოდ 9000 ჯიშის ცხოველი ბინადრობს. შავი ზღვის ფსკერზე შეგვიძლია გადავაწყდეთ არა მხოლოდ ხამანწკებს, მოლუსკებსა და მიდიებს, არამედ რაპანასაც, რომელიც ძირითადად პეტრე დიდის ყურესა და იაპონიის სანაპიროებთან ბინადრობს. თუმცა, XX საუკუნის 30-იან წლებში გემებს შემოყვა და დიდი რაოდენობით გამრავლდა.

ყველაზე საშიში თევზი, რომელიც შავ ზღვაში ბინადრობს, შხამიანი ზღვის დრაკონია, რომლის ჩხვლეტა არა მხოლოდ მტკივნეულია, არამედ ზოგჯერ მომაკვდინებელიც.

შავი ზღვა კიდევ იმით არის საინტერესო, რომ მის ფსკერზე არ არსებობს არანაირი სიცოცხლე. გამონაკლისს მხოლოდ ზოგიერთი ბაქტერია წარმოადგენს. ყველაფრის მიზეზი კი გოგირდწყალბადია, რომელიც უხვადაა წყლებში.

შავ ზღვას ერთადერთ დიდი ნახევარკუნძული აქვს – ყირიმის.

შავ ზღვაში ისეთი ძუძუმწოვრები ბინადრობენ, როგორებიც არიან: ზღვის გოჭი, სელაპი და ორი ჯიშის დელფინი.

მთები, რომლებიც შავ ზღვას გარშემო აკრავს, გამუდმებით იზრდება, ისევე, როგორც თვითონ ზღვა. განსხვავება იმაშია, რომ მთელი ასწლეულის განმავლობაში მთები მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით იზრდებიან, ხოლო ზღვა იგივე დროის განმავლობაში, 20-25 სანტიმეტრით მატულობს. ზღვის ფსკერზე გაუჩინარდა უძველესი ქალაქი ტამანი.

შავი ზღვის წყლები მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებთან შედარებით, დიდი რაოდენობით პლანქტონებს შეიცავს, ხოლო ნაპირებთან დეტრიტსა და თიხოვან ნალექებს, რაც მის მუქ ფერს განაპირობებს. შავი ზღვა ზაფხულის ბნელ ღამეებში ზოგჯერ ანათებს, განსაკუთრებული ვერცხლისფერი შუქით – ანათებენ ტალღები, რომლებიც ნაპირებს ეხეთქებიან, გრილდება წყალი, რომელიც წარმოიქმნება ნავის ხოფთან და მყვინთავი ადამიანი წყალში მანათობელ კვალს ტოვებს.

ქიცვიანი ზვიგენი – ერთადერთი ზვიგენია, რომელიც შავ ზღვაში ბინადრობს. თუმცა, სანაპიროსთან ახლოს მისი შემჩნევა თითქმის შეუძლებელია, მისი ადამიანების მიმართ შიშის გამო.

მედეა სარიშვილი

“პოლიციაში ქალიშვილი მამის თვალწინ გააუპატიურეს” – ინაშვილის სკანდალური ვიდეო

“ნახოს მთელმა საქართველომ, თუ როგორ აუპატიურებდნენ პოლიციის განყოფილებებში ადამიანებს ”, – ამ განცხადებას **“პატრიოტთა ალიანსის”** გენერალური მდივარნი ირმა ინაშვილი გაზეთ **“ასავალ დასავალთან”** საუბრისას აკეთებს. ინაშვილი მიიჩნევს, რომ **“პირველი არხი”** ვალდებულია, რომ კადრები, რომელიც კასრებშია აღმოჩენილი, გაასაჯაროვოს.

ამავე ინტერვიუში ინაშვილი კონკრეტულ ფაქტზე საუბრობს და ამბობს, რომ არსებობს ვიდეომასალა, რომელშიც ჩანს, რომ ქუთაისში, პოლიციის განყოფილებაში მამის თვალწინ გააუპატიურეს გოგონა.

ამონარიდი ინტერვიუდან:

“კასრებში აღმოჩენილი კადრები უნდა გასაჯაროვდეს. დაიფაროს ვიდეოზე აღბეჭდილი ადამიანების სახეები და საქართველოს ტელევიზიის “პირველმა არხმა” უჩვენოს ეს საშინელი კადრები! ნახოს მთელმა საქართველომ, თუ როგორ აუპატიურებდნენ პოლიციის განყოფილებებში ადამიანებს მეტსაც გეტყვით ქუთაისში, პოლიციის განყოფილებაში, მამის თვალწინ გააუპატიურეს მისი ქალიშვილი! ასეთ ხალხთან, ასეთ ნაძირალებთან და კრიმინალებთან თანაარსებობა და კოჰაბიტაცია არის ყოვლად დაუშვებელი და შეუძლებელი.

ამ ხელისუფლებამ სააკაშვილის დამღუპველი საქმიანობა სამართლებრივად არ შეაფასა, არ დაიწყო “ნაცმოძრაობის” აკრძალვის პროცედურა და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ პარლამენტში თუ მის გარეთ მოკალათებულ “ნაცისტ” კრიმინალებს ვერ იჭერენ.

ჩიკატილო იყო სერიული მკვლელი, რომელსაც თავდაპირველად დანაშაულის ვერ უმტკიცებდნენ, მაგრამ ბოლოს დახვრიტეს. დღეს “ნაციონალებიც” ემორჩილებიან სააკაშვილს, სხედან ტელევიზიებში და ლაპარაკობენ “ჰონორით”! აი, ეს შედეგი მოიტანა “ქართულმა ოცნებამ” რომელმაც გადაარჩინა “ნაცმოძრაობა”!

ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშაული და საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ მან სააკაშვილს ქვეყნიდან მშვიდობიანად გაქცევის საშუალება მისცა და არ დაიჭირა”, – აცხადებს ინაშვილი გამოცემასთან საუბრისას.

გმირობა? — გმირობა!

(ნამდვილი ამბავი)

აგვისტოს ცხელ დღეებში ომმა, უკვე მერამდენედ შეძრა და შეაზანზარა საქართველო, მისი ერი და ბერი. მერამდენედ შემოსა ქართველი დედები ძაძებში...

ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებით ცხინვალში და მის მიმდებარე სოფლებში სიტუაციას ქართული ჯარი აკონტროლებდა, მაგრამ ყველამ უწყოდა, რომ ეს ყველაფერი სიკეთის, მშვიდობის მომტანი არ იყო. ომს არასდროს მოუტანია დადებითი არც ერთი მონაწილესათვის, მით უმეტეს ომის წამომწყებისთვის.

ყველა საინფორმაციო საშუალება გადაერთო ამ უაზრო ომზე, რაც თრგუნავდა საქართველოს ყოველ მოსახლეს.

სულით მებრძოლი ბიჭები გორისკენ დაიძრნენ. ყოველ მათგანს სურდა ფარად დადგომოდა სამშობლოს, თუნდაც შიშველი ხელებით. ყოველი მათგანი უკან იქნა გამობრუნებული უარით, რომელთაც აეხსნათ, რომ ეს მხოლოდ ჯარისკაცების საქმეა და მათი რიგები კი საკმაოდ შევსებული არისო.

სიტუაცია ყოველ წუთს მწვავდებოდა. ტელეეკრანები აჩვენებდნენ, როგორ უწყვეტი ჯაჭვით მოემართებოდა რუსული ტანკები კონფლიქტის კერისკენ. ამ პირტიტველა ბიჭებს სიკვდილი მოჰქონდათ თან...

შიშმა დაისადგურა მოხუცებში, ქალებში, ბავშვებში. მორწმუნემ თუ ათეისტმა ეკლესიას მიაშურა და უფალს შესთხოვა მშვიდობა, ერთმორწმუნე მხარეთა გონს მოსვლა.

გრუხუნის ხმა თბილისს სცილდებოდა. აფეთქებს ხმა გაისმა თბილისშიც. თითქოს ეს ყოველივე ადამიანის მეგზური გახდა. სიცილი და ღიმილი დაივიწყა ყველამ...

მოსახლეობამ იწყო თუნდაც მცირე ოდენობის მარაგის მოპოვება. გამოცარიელდა დახლები, ავტოგასამართ სადგურებზე გაჩნდა უწყვეტი რიგები. ყველას სადღაც ეჩქარებოდა, ყველა სადღაც გარბოდა...

პურის ქარხნის დირექტორთან, ბატონ შექსპირთან დილიდანვე შედგა შეხვედრა ებრაელთა დიასპორის წარმომადგენლებთან, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ მისგან სასწრაფოდ დაეტოვებინა თბილისი, რისთვისაც მზად იყო ვერტმფრენი, რომელიც გადაიყვანდა უსაფრთხო ადგილას, ხოლო შემდეგ სხვა ტრანსპორტით გააცლიდნენ საქართველოს.

წარმოუდგენლად ემოციური და კატეგორიული აღმოჩნდა ბატონ შექსპირის პასუხი:

– აბა ეს რამ მოგაფიქრებინათ! როგორ, მე გაჭირვების ჟამს მივატოვებ ჩემს ქალაქს, ჩემს საქართველოს, ჩემს სამშობლოს და არ ვიქნები ქართველი ძმების და დების გვერდით? არავითარ შემთხვევაში, არავითარი სადმე წასვლა და დამალვა. ასეთი საქციელი მიმაჩნია სამშობლოს ღალატად! უფრო მეტიც – მოგიწოდებთ ყველა წასასვლელად გამზადებულ ებრაელს, არ მიატოვოთ თქვენი დები და ძმები, ჩვენი ქართველები გაჭირვების ჯამს, ჩვენ ხომ საუკუნეები ერთად მოვდივართ! პირიქით, იცოდეთ, ჩემი ყველა ოჯახის წევრი, ჩემი შვილიშვილიც აქ, ჩემს გვერდით იქნებიან, ვიშრომებთ და ვიმოქმედებთ ისე, როგორც ეს სიტუაციას დასჭირდება. გმადლობთ ჩემზე და ჩემიანებზე ზრუნვისთვის, ყურადღებისთვის, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება არ შეიცვლება და არც არანაირ გადახედვას არ ექვემდებარება!

მისი სიტყვები იმდენად მტკიცე და ფოლადგარეული იყო, რომ ვერც ერთმა სტუმარმა შეპასუხებაც კი არ აკადრა, ისე დაემშვიდობნენ.

სტუმრების გაცილების შემდეგ ბატონი შექსპირი უკავშირდება მთავრობის კანცელარიას, პრეზიდენტის აპარატს და გამოთქვამს მზადყოფნას შეასრულოს ის დავალებები, რაც მდგომარეობის მიხედვით იქნება აუცილებელი, ხოლო რაც შეეხება მისი ქარხნის პროდუქტს – პურს, გასცემს უსასყიდლოდ იმ ოდენობას, რაც იქნება საჭირო და მოთხოვნილი.

ქარხანაში მთავრობის წარმომადგენელი იქნა მოვლენილი, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა თბილისის პურის ქარხნების მიერ მოწოდებული პროდუქტის ფრონტის ხაზზე გაგზავნას, სათანადო ტრანსპორტით უზრუნველყოფას და ა.შ.

ბატონო გურამი (ასე ეძახდნენ მთავრობის წარმომადგენელს) საკმაოდ უენო, გულჩათხრობილი და მკაცრი ადამიანი ჩანდა. ამავე დროს ის იყო მეტად პრინციპული თავის გადაწყვეტილებებში.

ბატონი შექსპირის ქარხანაში შემოსული ყოველი ყვითელი ავტობუსი ადგილზე ირეცხებოდა და შემდეგ პურით და სხვა პროდუქტებით დატვირთული ფრონტისკენ მიემართებოდა.

ბატონი შექსპირის პირადი დავალებით ყოველივე ამ საქმიანობას და სხვა პროცესებს, რაც ქარხნის სტაბილურ მუშაობას განაპირობებდა, ხელმძღვანელობდა ქარხნის წარმოების ხელმძღვანელი თამარ ბუხრიკიძე, რომელიც მეტი მოთხოვნითა და მეტი სიმკაცრით ითხოვდა ქარხნის თითოეული მუშაკისგან თავდადებულ შრომას, ამხნევებდა მათ. აფრთხილებდა ყველას, რომ იქნებოდა ყველა ზარმაცისა და უქნარას მიმართ დაუნდობელი, ზოგს ეჩხუბებოდა კიდეც.

ქალაქის ტრანსპორტის მწყობრიდან გამოსვლის თუ სხვა მიზეზით აუცილებელი გახდა პურის ქარხნების ტრანსპორტით მიწოდება ფრონტისთვის, კერძოდ კონფლიქტის ზონასთან დისლოცირებულ რამდენიმე საჯარისო ფორმირებისთვის.

სხვადასხვა პურის ქარხნებიდან შემდგარი პურით დატვირთული მიკროავტობუსების კოლონა დაიძრა გორის მიმართულებით. კოლონას ხელმძღვანელობდა მთავრობის წარმომადგენელი ბატონი გურამი. შპს **„პურის“** მანქანას ბადრი ზაუტაშვილი მართავდა. ეს მისი და ქარხნის დირექტორის ერთობლივი ინიციატივა იყო.

რაც უფრო უახლოვდებოდა კოლონა გორს, მით უფრო იგრძნობოდა კონფლიქტის სიმძაფრე, რაც საკმაო შიშს და პანიკას აღვივებდა კოლონის მძღოლებში.

ქალაქ გორში შესვლისას თვალში გეცემოდა ომის შემზარავი სურათი. დამწვარი მანქანები, მინებჩალეწილი და გარუჯული მაღაზიები, ბანკის განყოფილებები, ბაღები, სკოლები თუ დაწესებულებები. ზოგან საცხოვრებელ კორპუსის სახურავი იწვოდა, რომელიც ოდნავ ნიავზე უფრო ღვივდებოდა და გადაეცემოდა ქვედა სართულებს. ზოგან ბუნებრივი აირის ავზი სიმხურვალისგან გამაყრუებელი ხმით ფეთქდებოდა, ზოგან კი ჭურვის აფეთქების ხმა აყრუებდა არემარეს. არავინ იყო ცეცხლის ჩამქრობი. არავინ იყო განგაშის მიმცემი მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვაზე და დასახიჩრებაზე. მოშლილი იყო ყველაფერი – არ იყო ე.წ. საგანგებო შტაბი. კანტიკუნტად თუ შეხვდებოდა ადამიანი მოხუცს ან ხეიბარს. აქა იქ უპატრონოდ მიტოვებული საქონელი ბღაოდა. ძაღლები სადღაც შეყუჟულიყვნენ და შიშნარევი ხმით ყეფდნენ. შიში, მტვერი, გრუხუნი და სიკვდილი სუფევდა ირგვლივ...

უცებ კოლონასთან ახლოს, 30-40 ნაბიჯზე ჭურვი აფეთქდა, რომელიც თავისი დამანგრეველი ძალით ეტყობოდა საკმაოდ დიდი იყო. კოლონა მოსახვევში მდგარმა სახლმა გადაარჩინა, რომელსაც არც ერთი ფანჯარა არ შერჩა. კარიც კი გამოგლიჯა დარტყმის ძალამ. უზარმაზარი წიწვის ხე ძირიანად მოთხარა და შუაგულ გზაზე დააგდო, რითაც ფაქტობრივად გზა ჩახერგა. გასასვლელი სხვა არ ჩანდა. გარშემო იწვოდა ყველაფერი.

დიდი ხნის შემდეგ გაიწმინდა აგორებული მტვრის და ბოლის ნაზავი.

გზას ერთ მხარეს მოადგა ხალხით დატვირთული მანქანები, რომლებთაც პირადი ნივთებიც გამოეყოლებინათ თან, რაც მთლიანობაში უმწეოდ და საცოდავად გამოიყურებოდა.

ბადრი მანქანიდან ჩამოხტა, კოლონას გახედა და შემდეგ გზის მეორე მხარეს გაჩერებულებს მიმართვა:

– ხალხნო, ყურება არ უნდა, ხედავთ, სხვა გზა არ არის. მოდით ყველამ ერთად გავწმინდოთ გასასვლელი, თორემ ასე გულხელდაკრეფილები უფრო ცუდ მდგომარეობაში ავდმოჩნდებით.

უხმოდ დაეთანხმა ყველა ზოგმა ტოტის მოჭრა, ზოგმა მოტეხვა იწყო, ზოგმა მათი გზიდან გადაყრა ითავა, რათა გასასვლელი გაეხსნათ.

პირქუში და უენო ბატონო გურამი მაქანიდან არ გადმოსულა. არც სხვა ეკიპაჟის წევრი გადმოსულა ვინმე. შორიდან ადევნებდნენ თვალს მოფუსფუსე ხალხს და ბადრის.

შორიახლო ზედიზედ სამი აფეთქების გამაყრუებელი ხმა გაისმა. ხალხი არ შეშინებია ამ ხმას, პირიქით, უფრო მონდომებით გააგრძელეს გზის გაწმენდა.

კოლონის სხვა მძღოლები შიშს შეუპყრია. თითქმის ერთდროულად გამოვიდა ყველა მანქანიდან და მანქანიდან გადმოსულ ბატონ გურამს განუცხადეს, რომ გზას ვერ გააგრძელებენ, თავს საფრთხეში ვერ ჩაიგდებენ.

მთავრობის წარმომადგენლის ყოველგვარი მცდელობა, გადაეფიქრებინა მათთვის განზრახვა, უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს თვითონაც ჩაიქნია ხელი და ის იყო მანქანაში ჯდებოდა, როცა ბადრიმ გამოთქვა მზადყოფნა, გაეგრძელებინა გზა.

– მე წავალ! – თქვა ბადრიმ, აქამდე მოვსულვართ და უკან გაბრუნება როგორ იქნება. თან, ვინ იცის, როგორ ვჭირდებით, როგორ გველოდებიან ბიჭები.

ეს უენო, მეტად ოფიციალური გურამი უცებ შეიცვალა. ბადრის მოეხვია და აღტაცებით წარმოსთქვა:

– ღმერთი, დიდებულო! არ გადაშენებულან ამ ქვეყანაში კაცები! წავიდეთ ძმაო, ვინ იცის როგორ ჰაერივით ვჭირდებით ფრონტის წინა ხაზზე ჩარჩენილებებს, წავიდეთ, თქვა მან, ამრეზით გადახედა დანარჩენებს და ბადრის მანქანის კარები მიიხურა. – ბატონმა შექსპირმა მითხრა, ჩვენგან დასაყრდნობ კაცს გაგაყოლებთო და მართალი გამოდგა, ყოჩაღ და გმადლობ ძმაო! – აღფრთოვანებას ვერ მალავდა გურამი...

საკმაოდ დიდი ხნის ძებნის შემდეგ ბადრიმ და გურამმა, როგორც იქნა მიაგნეს ქალაქის კოორდინატორებს, რომლებმაც მიასწავლეს გზა, საით უნდა წასულიყვენ, სად უნდა მიეტანათ პური და პროდუქტები ჯარისკაცებისთვის.

კოორდინატორების აღწერით გზა საკმაოდ შორი და ხიფათიანი ჩანდა, მაგრამ საქმე გასაკეთებელი იყო. ერთადერთი რაც აფიქრებდათ გზაზე დამდგართ, ეს იყო ის ჩახერგილი, გაუვალი ადგილები, რომელიც იქნებოდა ხელისშემშველი მათი მისიის განსახორციელებლად.

ორი თუ სამი საათის ოღრო-ჩოღრო გზაზე უშედეგოდ სიარულის შემდეგ მანქანა გრუნტიან გზაზე გადავიდა. ამ ხნის მანძილზე ადამიანი არ შეხვედრიათ, მხოლოდ თვითმფრინავებს ხედავდნენ, რომლებიც მათთვის გაუგებარი მიმართულებით მიფრინავდნენ.

შორს გამოჩნდა ძველი საყდარი, საიდანაც ნათლად იკვეთებოდა ადამიანის სილუეტები, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდნენ, მით ნაკლებად ჩანდა ადამიანი, თითქოს უკაცრიელია აქაურობაო, მაგრამ ბადრიც და გურამიც შინაგანად გრძნობდნენ, რომ იქ ნამდვილად ვიღაც იყო,

ბადრიმ მანქანა შორიახლოს გააჩერა.

მოხუცები გამოჩნდნენ, რომელიც გაბედულად დაიძრნენ მანქანისკენ. მშრალად მისალმების შემდეგ, ერთ-ერთმა იკითხა:

– ვინ ხართ, საიდან ხართ, საით გემეგზურებათ უფალი?

– ჩვენ **„იფქლიდან“** ვართ, – გასცა პასუხი ბადრიმ, რომელსაც უცებ შეაწყვეტინა ლაპარაკი მოხუცმა და ისე შეეკითხა:

– იფქლი? რა იფქლი, რამე სამხედრო დანაყოფია?

– აბა ამას ელაპარაკე,– გაეცინა ბადრის და მერე სერიოზული სახით განაგრძო, – ეს პურის ქარხნის დასახელებაა ძია, ჩვენ საგანგებო მისიით ვართ მოვლენილი, რათა დავეხმაროთ ყველას, ვისაც ჩვენი დახმარება ესაჭიროება, და ჩვენი თუ არ გჯერათ, ნახეთ, რა გვაქვს ძარაში, – ეს თქვა და მანქანის უკანა კარები გახსნა, საიდანაც პურის გემრიელი სუნი და ოხშივარი ერთდროულად გამოვარდა. დამშეულ მოხუცებს მეტი რაღა უნდოდათ, თან ლოცავდნენ მომხვდურებს, თან სათითაოდ იღებდნენ თითო ბატონს და ისე კბეჩდნენ, თითქოს დიდი ხანია არ ენახათ და არ დაეგემოვნებიოთ პური.

– ჩვენი გახარებისთვის უფალი დაგლოცავთ, გაიხარეთ, ჩვენ კი მძარცველები გვეგონეთ. დილას აქ მოროდიორები იყვნენ. ჩვენი მეზობელი ლამზირა გაუძალიანდა – არ გაგატანთ ჩემი დაღუპული შვილის ტყავის ქურთუკსო და ადგილზე მოკლეს.... თხოვნა გვაქვს თქვენთან. ჩვენ, მოხუცები არ ვტოვებთ ჩვენს სახლ-კარს, მაგრამ აი, სალოცავს რომ ხედავთ, მაგას საკმაოდ შენიღბული სარდაფი აქვს, ვინც არ იცის, ვერ მიაგნებს წლების მანძილზე; იქ გადავმალეთ მთლად პირტიტველა ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც მათ მეთაურს მიუტოვებია.

– კი ბატონო,– საუბარში ბატონი გურამი ჩაერთო, – მხოლოდ აქეთობისას, როგორც კი იმ ბატალიონს ვიპოვით, ვისთვისაც ეს პურია განკუთვნილი, შევთანხმდით?

– დაგვაცადეთ, ბიჭებს ვკითხავთ, იქნებ იმათ იციან ის ბატალიონი, რომელსაც თქვენ ეძებთ – უთხრეს მოხუცებმა და პურის ჭამით გაუჩინარდნენ საყდარში.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა თორმეტიოდე მთლად პირტიტველა სასაცილოდ ჩაცმული ბიჭები, რომლებსაც, ზოგს ზომაზე ბევრად დიდი, ან პირიქით, ზომით პატარა სამხედრო სამოსი ეცვათ, ზოგს ზემოდან სამოქალაქო პერანგი მოუსხამს, ზოგს უბრალო ფიხსაცმელი აცვია, ზოგს სამხედრო ფეხსაცმელი. ეს მტვერში ამოგანგლული და დამშეული ბიჭები ისეთი სასაცილოები ჩანდნენ, რომ ბადრისაც და გურამსაც ღიმილი მოერიათ, გაეცინათ კიდეც. ბიჭებიც აჰყვნენ, ზოგი ცრემლიანი იცინოდა, ზოგი ორივეს ეხვეოდა... – ეს იყო მათი ერთგვარი მისალმება.

– თქვენ გაიხარეთ ძიებო, ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი,– სული მოითქვა ერთ-ერთმა ბიჭმა, – ჩვენ უკვე ტყვედ ჩასაბარებლად ვემზადებოდით. ამ მოხუცებს თავისთვის არაფერი გააჩნიათ და ჩვენთვის მოჰქონდათ თუ რამეს მოიძიებდნენ, თვითონ კი მშივრები იყვნენ, ამის ყურება აუტანელი იყო. ისე, ძია, თქვენ ჩვენს ბატალიონში ხართ გამოგზავნილნი, მაგ ბატალიონიდან მხოლოდ ჩვენ ვართ, ზოგი სად გაიფანტა და ზოგი სად. ჩვენი ოფიცრები ჯიპებით წაიყვანეს და ჩვენ დაგვყარეს ამ არაკაცებმა, დავიჯეროთ თვითონ არა ყავთ შვილები? სად დაიმალებიან, მიწიდან ამოვთხრით, დედას ვუტირებთ. თორემ აი, ნუკრის შიშისგან ლამის ჩაეფსა, – გაეხუმრა თავის თანატოლს ჯარისკაცი. ჯარისკაცები სიხარულს ვერ მალავდნენ, ამავდროულად ერიდებოდათ, თორემ მზად იყვნენ ასჯერ ჩახუტებოდნენ მაშველებს.

– აბა ბიძიებო, სად დავცალოთ პური, გვითხარით, რომ ახლა ბიჭები წავიყვანოთ, ბიჭებო, თქვენ კი რამე მოძებნეთ ძირს რომ დაიფინოთ, თორემ გვერდები გეტკინებათ სანამ ჩაგიყვანთ. – მიმართა ბატონმა გურამმა, რითაც შეახსენა, რომ დრო მათ საწინააღმდეგოდ გადიოდა.

ყველანი დაფაცურდნენ, ზოგმა ძველი ბრეზენტი მოძებნა, ზოგმა ნამჯის, ზოგმა სიმინდის ფუჩეჩების მოგროვება დაიწყო. თან ყველას სახე უბრწყინვადა, ყველა იმედიანდ იყო, რაც მეტად ახარებდათ ბატონ გურამს და ბადრის.

მანქანის დაცლის შემდეგ საკმაოდ სქლად დაიფინეს მანქანაში **„ლები“**. ბიჭები პირჯვრის წერით სათითაოდ ადიოდნენ მანქანის ძარაში და შეძლებისდაგვარად მოხერხებულად თავსდებოდნენ სახელდახელოდ მოწყობილ რბილზე.

გზას საკმაოდ დაძაბულები მოყვებოდნენ. ბადრი დიდი ოსტატობით აცილებდა მანქანას ათასგვარ წვრილმანს თუ მსხვილმანს, რაც გზაზე იყო დაყრილი.

მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა ბადრიმ:

– როგორ მიატოვეს ეს ბავშვები საზარბაზნე ხორცებად, ეს ხომ დანაშაულია, ეს ხომ დალატია, ან ვის რა დაუშავეს ამ ბავშვებმა, ან რა საჭირო იყო მათი აქ წამოყვანა, მჯერა ზოგმა არც იცის საიდან ისვრის იარაღი. ან ასეთი ქაოსი და განუკითხაობა უნდა იყოს, აქ რომ არის? ან რად მიატოვეს ეს მშვიდობიანი მოსახლეობა უპატრონოდ, ან საერთოდ, ვის მოუვიდა აზრად ეს უაზრო და დამღუპველი ომის წამოწყება. ჩინელი ბრძენი კონფუცის გამონათქვამი გამახსენდა: **„გააგზავნო ომში გაუწვრთნელი ხალხი, ნიშნავს მათ დალატს, მათ განწირვასო“....**

ბატონ გურამს პასუხის არ გაუცია. ბადრი მიხვდა, რომ გურამს არ სიამოვნებდა არც ეს საუბარი და არც თვითონ ის ფაქტი, რაზეც ბადრი საუბრობდა. თითქოს ის გარკვეულ თავის წილ დანაშაულს გრძნობდა ყოველივე ამაში. დარჩენილი მთელი გზა ორივე წუმად იყო. მხოლოდ ერთხელ გააჩერეს მანქანა. ბიჭებს დახედეს და გზა ისევ უხმოდ განაგრძეს.

მანქანამ ბოლო გაჩერება დიდუბის მეტროსთან გააკეთა ბიჭებმა როგორც კი სამშვიდობოს იგრძნეს თავი, მოხსნეს რიდს ზღუდე – ეხვეოდნენ მადლობას სწირავდნენ ბადრის, ბატონ გურამს, უფალს, რაც მერად გულისამაჩუყებელი და ემოციური საყურებელი იყო...

ამ ამბის შემდეგ კიდევ ბევრჯერ (დღეში 2-3 ჯერაც), მიდიოდნენ შუა ქარ-ცეცხლში ბადრი და ბატონი გურამი მაშველ ძალად და ბედნიერები და თავაწეულები ბრუნდებოდნენ უკან.

დაჟინებული თხოვნით მანქანის სახურავზე ჯვარი იქნა დახატული, თითქოს ის იქნებოდა მისი ჯავშანი. ჯავშანი კი ქარხნის მანქანის ეკიპაჟის ორი წევრი, ბადრი და ბატონი გურამი იყო...

ომი დამთავრდა, ქვეყანამ ომისგან მიყენებული ჭრილობის მოშუშება დაიწყო. ომის პერიოდში გაუგებარი და გიჟური ცეკვა-თამაშიც გაიმართა, რაც ზოგიერთმა დღემდე ვერ ახსნა, რას ემსახურებოდა.

პური ისევ ცხვებოდა და ცხვება ბატონი შექსპირის ქარხანაში...

ბატონი შექსპირის, ბატონი გურამის გულწრფელი მადლობა მიიღო ქარხნის თითოეულმა მუშაკმა.

წარმოების უფროსის, თამრიკო ბუცხრიკიძის მიმართვა კი ყველას დაამახსოვრდა:

– კარგი, მე გემუქრებოდით, გლანძღავდით, გეჩხუბებოდით, რასაც ვთვლიდი აუცილებლად საქმის წარმატებით წარმართვისათვის. თორემ, გამოგიტყდებით – სულაც არ მაქვს ცუდი და ღვარძლიანი გული.

იყო ღიმილი, იყო მხიარულება, იყო უფლის მიმართ მადლიერების გამოხატვა...

მშვიდობა იყო...

ომარ ნანავა

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

“საქართველოს ნაკრების სათავეში როგორც ქართველი, ისე უცხოელი შეიძლება ვიხილოთ”

როდის ეყოლება საქართველოს ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი? ეს კითხვა ახლა ყველაზე მეტად აღელვებს ქართველ გულშემატკივარს. თემურ ქეცბაიას გადადგომის შემდეგ ეროვნული გუნდის დამრიგებლის პოსტი ვაკანტურია... ქართული ფეხბურთისთვის ამ უმძიმეს ჟამს გადაწყვეტილება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უნდა მიიღოს. ამ გადაწყვეტილებაზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ბუნებრივია, დაგვაინტერესა ფედერაციის პოზიციამ.

ამ დროისთვის, ჟენევაში, უეფას კომიტეტის სხდომაზე იმყოფებიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე. სამაგიეროდ, თბილისშია ფედერაციის სპორტული დირექტორი არჩილ არველაძე, ვის კომპეტენციაში შედის კიდეც სანაკრებო საკითხები...

“მომავალი წლის 29 მარტს გვაქვს შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩი გერმანიასთან. მანამდე რამდენიმე დღით ადრე არის უეფას მიერ გამოყოფილი სანაკრებო დღე. ამ დღეს შეგვიძლია ამხანაგური შეხვედრა გავმართოთ.

სწორედ იქამდე უნდა შეირჩეს ახალი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებისთვის. ალბათ, ოპტიმალური იქნება, მწვრთნელი ახალი წლიდან დაინიშნოს”,– გვითხრა არჩილ არველაძემ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული გუნდის გაწვრთნას დღეს ყველა ერიდება. ერთი შეხედვით, საქართველოს ნაკრების დამრიგებლობაზე დათანხმება ახალი მწვრთნელის მხრიდან პროფესიულ ჰარაკირს ჰგავს. თუმცა არველაძე მთლად ასე არ ფიქრობს:

“თემურ ქეცბაიას ბოლო მატჩმა ძალიან დამწყვიტა გული. ეს არ იყო თამაში, რომელიც 0:4 უნდა წაგვეგო. მეტიც, სულ კრიტიკულად ვუყურებ საქართველოს ნაკრებს, მაგრამ პირველი ტაიმის შემდეგ ასეთ შედეგს, უბრალოდ, ვერ წარმოვიდგენდი.

ფაქტია, ვითარება რთულია, თუმცა ნუ დავხატავთ უიმედო ფონს. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ურყევად მჯერა უკეთესობის. თუ უფსკრულში ვართ, მაშინ დავიკრიფოთ ხელები და მხოლოდ სასწაულის იმედზე ვიყოთ.

მჯერა, გამოსწორდება სიტუაცია. არ მგონია, გილიოტინაზე ასვლას ჰგავდეს ახალი მწვრთნელის მოსვლა”.

რომელ კანდიდატურებს განიხილავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია? ცხადია, ვარაუდები არის და მოსაზრებებიც, თუმცა ამ ეტაპზე რომელიმე კანდიდატი გამოკვეთილად არ ჩანს.

“თამაშის მერე სულ სამი დღე გავიდა. ორი დღის განმავლობაში თემურ ქეცბაია თბილისში იყო და მას ვემშვიდობებოდით. დღეს პირველი სამუშაო დღეა თამაშის შემდეგ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი უეფაში არიან კომიტეტის სხდომაზე. თბილისში დარჩენილნი ვართ მე და ვიცე-პრეზიდენტები.

ჩამოვლენ პრეზიდენტი და გენერალური მდივანი, რის შემდეგაც უფრო მეტი კონკრეტიკის შეტანა იქნება შესაძლებელი ამ საკითხში”, – გვეუბნება არველაძე.

უცხოელი გამორიცხული არ არის

სადღეისოდ, საქართველოში უცხოელი მწვრთნელის იდეა თითქოს გაკოტრებულია. არჩილ არველაძე არც იმას გამორიცხავს, რომ საქართველოს ნაკრები სწორედ უცხოელმა ჩაიბაროს.

“როგორც ქართველი, ისე უცხოელი შეიძლება ვიხილოთ საქართველოს ნაკრების სათავეში. ამ ეტაპზე მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ. კონკრეტული კანდიდატები კი ჯერ არ არის გამოკვეთილი”.

მოგეხსენებათ, თემურ ქეცბაიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დატოვა ეროვნული გუნდი. საინტერესოა, ხომ არ მოუწევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ექსმწვრთნელისთვის საკომპენსაციო თანხის გადახდა?

“აქ ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია. როცა მწვრთნელი თავისი სურვილით ტოვებს თანამდებობას, მასთან ხელშეკრულება ავტომატურად უქმდება. ასე რომ, თემურ ქეცბაიასათვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ მოუწევს არანაირი საკომპენსაციო თანხის გადახდა...

როცა თემური გავაცილე, ერთადერთი რამ ვუსურვე – რაც შეიძლება კარგად დაისვენე-მეთქი. მწვრთნელის ბედს წინასწარ ვერ განსაზღვრავ – შეიძლება, ხუთ დღეში გამოუჩნდეს ახალი საქმე. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო მას იმისთვის, რაც გააკეთა საქართველოს ნაკრებში და სამომავლოდ წარმატება ვუსურვო”, – ამბობს ფედერაციის ტექნიკური დირექტორი.

შესაძლოა, საქართველოს ნაკრებმა, ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, პირველი მატჩი გერმანიასთან დაპირისპირებამდე, ანუ 29 მარტამდე გამართოს.

“რაც შეეხება ამხანაგურ მატჩს, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის აზრი. შეიძლება, გერმანიასთან თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე ის მოერიდოს ტრავმებს და ამხანაგურ შეხვედრაზე უარი თქვას.

ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან ამხანაგური შეხვედრის ჩატარება მალტას სურს, თუმცა, ვიდრე ახალი მწვრთნელი არ დაინიშნება, ალბათ, შეუძლებელი იქნება მალტელებისთვის პასუხის გაცემა”, – ესეც არჩილის სიტყვებია.

ჯანო ანანიძემ მოსკოვის “სპარტაკის” ახალგაზრდულ გუნდში ისევ გაიტანა

მოსკოვის “სპარტაკის” ახალგაზრდულ გუნდში გადაყვანილმა ჯანო ანანიძემ მორიგი გოლი გაიტანა. 1-ელ ნოემბერს მოსკოვური გუნდი პირველობის მე-12 ტურში კრანსოდარში **“ყუბანს”** დაუპირისპირდა და ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა.

22 წლის ქართველმა ჰაებეკმა, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში იყო, შეუცვლელად ითამაშა. მასპინძელთა კარში გოლი კი 68-ე წუთზე გაიტანა და თავისიანების უპირატესობა ორბურთიანი გახადა (2:0). მატჩის განაცხადში არ ყოფილა გუნდის კიდევ ერთ ქართველი ფეხბურთელი გიორგი მელქაძე.

ცნობისთვის, ეს ჯანოს მესამე გოლია”სპარტაკის” ახალგაზრდულ გუნდში ჩატარებულ მეოთხე შეხვედრაში.

ანანიძე მოსკოვის “სპარტაკის” მთავარი გუნდიდან დისციპლინის დარღვევისა და მწვრთნელის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო ახალგაზრდულში დაქვეითებით დასაჯეს.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი

ზურაბ თორდია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს გიორგი ხულორდავას ბიძაშვილის

ნიკოლოზ (ნიკო) ხულორდავას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

მიხო დასახვრეტად მიჰყავთ. უცბად იკითხა:

– ჯოო, რა დღეა დღესა?

– ორშაბათი.

– რა თარსად იწყება ე კვირა, ჯოო!

* * *

გურულმა სახლის დასალაგებლად დამხმარე ქალი მოუყვანა ცოლს. ცოტა ხანში ცოლი მაღაზიაში გავიდა. რომ დაბრუნდა, რას ხედავს!! ქმარი და ეს ქალი ერთ ამბავშია!

– რას შობი, კაცო?! – გადაირია ცოლი.

ადგა გურული, გადაუსვა თითი მაგიდას და მტვერი აყვა.

– ახლა, აი ქალი არ იყო სახმარი ?!

* * *

გურულმა სახლში მისვლა დააგვიანა, ცოლი ეკითხება:

– სა იყავი მთელი ღამე?

– სამსახურში.

– არ მჯერა.

– კინოში.

– ტყვილია მაი.

– მორიგე ვიყავი.

–არ მჯერა...

–აპა მაცალე პაწა ძილი, დილამდე მევიფიქრებ რაცხას.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: **ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)**

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე **WWW.saqinform.ge**